

# ავტორის სტილი დაცულია

იქ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი

დაგით მაზიაშვილი

ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი მანანა გელაშვილი



2012 წ.

## შინაარსი

შესავალი ---- (1)

თავი I

პოსტმოდერნიზმის ელემენტები ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში „როზენკრანცი და გილდესტერნი მკდვრები არიან“ ---- (9)

თავი II

პლატონის და ბიბლიის პოსტმოდერნისტული გააზრება ტომ სტოპარდის პიესაში „მოხტუნავენი“ ---- (39)

თავი III

ჯოისი და პოსტმოდერნიზმი ტომ სტოპარდის პიესაში „პაროდისტები“ ---- (76)

თავი IV

„არკადია“: პოსტმოდერნისტული ქაოსი „ედემის ბაღში“ ---- (95)

დასკვნები ---- (131)

ბიბლიოგრაფია ---- (136)

დანართი ---- (145)

## შესავალი

თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, ტომ სტოპარდის შემოქმედებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს როგორც ბრიტანეთის, ასევე მსოფლიო თეატრალურ სივრცეში. მისი შემოქმედება გამორჩეულია არა მხოლოდ დრამატურგიული ქმნილებებით, არამედ კინო-სცენარების უანრობრივი მრავალფეროვნების კუთხითაც. ამას მოწმობს უამრავი მნიშვნელოვანი თეატრალური თუ კინემატოგრაფიული ჯილდო, რომელიც სხვადასხვა დროს თან სდევდა სტოპარდის კინომატოგრაფიული თუ თეატრალური ნამუშევრების გამოჩენას მსოფლიო კინოში, თეატრალურ თუ ლიტერატურულ სივრცეში. მათ შორის გამოსარჩევია ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო „ოსკარი“, რომელიც სტოპარდმა მარკ ნორმანთან ერთად მიიღო ფილმისთვის „შეყვარებული შექსპირი“ (*Shakespeare in Love*) 1999 წელს წლის საუკეთესო კინო სცენარისათვის.

თუმცა, სტოპარდის შემოქმედება მხოლოდ კინო და თეატრალური საზოგადოებისათვის როდია საინტერესო. მისი შემოქმედებით თანაბრად არიან დაინტერესებული მკვლევარები როგორც პუმანიტარულ, ასევე ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან, აკადემიური და პოპულარული გამოცემები. ეს ყოველივე სტოპარდის შემოქმედების მიმართ თანამედროვეთა დიდ ინტერესზე მეტყველებს.

სტოპარდის შემოქმედების მიმართ განსხვავებული სამეცნიერო დარგების წარმომადგენელთა ინტერესი განპირობებულია დრამატურგის ნაწარმოებებში მრავალფეროვანი თემატიკის არსებობით, სადაც თანაბრად არის შერწყმული სამყაროს აღქმის როგორც ტექნო-მეცნიერული და რაციონალური, ასევე მითო-პოეტური და ემპირიული მხარეები, როგორც სოციალურ-საზოგადოებრივი, ასევე ფილოსოფიური პრობლემები. მისი ნაწარმოები თანაბრად მიმზიდველია როგორც „პოპ-კულტურის“, ასევე „მაღალი ხელოვნების“ მკვლევართათვის, რაც სტოპარდის ინტელექტუალურ დრამატურგობაზე მეტყველებს.

ტომ სტოპარდმა სახელი გაითქვა უამრავი დრამატურგიული, რადიო თუ კინო ნაწარმოებებით, თუმცა მისი შემოქმედების დრამატურგიული ნაწილიდან გამოსარჩევია: „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ (*Rosencrantz and Guildenstern Are Dead*) (1967), „მოხტუნავენი“ (*Jumpers*) (1972), „პაროდისტები“ (*Travesties*) (1975) და „არკადია“ (*Arcadia*) (1993).

წინამდებარე ნაშრომიც ამავე ქრონოლოგიით შეეცდება სტოპარდის შემოქმედების კვლევას, რაც განპირობებული იქნება არა მხოლოდ პიესების შექმნის თარიღების ქრონოლოგიით, არამედ იდეურ-შინაარსობრივი კუთხითაც, რადგან ავტორის შემოქმედებითი მოღვაწეობა ქრონოლოგიურად ემთხვევა XX საუკუნის ისეთი რთული ეპოქის დაბადებასა და განვითარებას, როგორიც პოსტმოდერნიზმია.

ტერმინი „პოსტმოდერნიზმი“, რომელიც გამორჩეულად ფართოდ ფიგურირებს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში, როგორიცაა ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, სოციალური თეორია, ისტორია, აულტურათმცოდნეობა, მხოლოდ აკადემიურ დარგებს არ მოიცავს, არამედ ის კიდევ უფრო გავრცელებულია ისეთ სფეროებში, როგორიცაა მასმედია, სატელევიზიო სახელოვნებო პროგრამები და არააკადემიური წიგნები. პოსტმოდერნიზმის ფართო თემატური სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ცნების სრულყოფილად გასაანალიზებლად ვაანალიზებ პოსტმოდერნიზმის კვლევით დაინტერესებულ ისეთ მკვლევართა აზრებს, როგორებიც არიან: ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი, სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავო ჟიჟეკი, არქიტექტურის თეორეტიკოსი ჩარლზ ჯენკსი, ლიტერატურის კრიტიკოსი ბრენ ნიკოლი, ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსი ფრედრიკ ჯეიმსონი და იტალიელი სემიოლოგი და მწერალი უმბერტო ეკო, რომლებიც თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში სიმულაკრულ და ჰიპერრეალურ, ირეალურ ყოფას აანალიზებენ და ამგვარი სინამდვილის ჰიპოსტაზიურ მიუთითებენ ამერიკის ქალაქებსა და „დისნეის სამყაროში“, ისევე როგორც პოლიგურის პროდუქციის სემიოტიკურ ნიშნებში. ნაშრომში ტექნოლოგიური მიღწევების შედეგებთან ერთად გაანალიზებულია გლობალური კაპიტალისტური ფინანსური ორგანიზაციების მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად არის მიჩნეული პოსტმოდერნისტული სამყაროს არსებობაში. ამგვარ მსოფლიოში

ადამიანისათვის გართულდა რეალობისა და სიმულაციის, სიმართლისა და სიცრუის, ჭეშმარიტებისა და სიყალბის გარჩევა, რაც ვლინება არა მხოლოდ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ფილოსოფიურ დონეზე, არამედ ლიტერატურულ-სახელოვნებო სფეროშიც, რადგან პოსტმოდერნისტულ რეალობაში დაირღვა საზღვრები აკადემიურ და არააკადემიურ, ასევე „მაღალ“ და „მასობრივ კულტურებს“ შორის, და როგორც „მაღალი“, ასევე „პოპ-ხელოვნება“ სანახაობრიობასა და კომერციულ მოგებაზე ორიენტირებული გახდა.

წინამდებარე ნაშრომის მოკრძალებული მიზანი ისიც არის, რომ სტოპარდის შემოქმედებაში პოსტმოდერნიზმის კვლევასთან ერთად წარმოაჩინოს ზოგადად პოსტმოდერნიზმის ეპოქის მეტ-ნაკლებად კომპლექსური გააზრება, რაც საინტერესო იქნება არა მხოლოდ სტოპარდის და თანამედროვე ბრიტანული დრამატურგიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, არამედ მკითხველთა ფართო სპექტრისთვისაც.

სტოპარდის შემოქმედების გარშემო არსებულ მონოგრაფიულ შრომებსა თუ სამეცნიერო კვლევებში, ლიტერატურისა და თეატრის მკვლევარები კომპლექსურად შეისწავლიან დრამატურგის შემოქმედების არა მხოლოდ დრამატურგიულ თუ კინომატოგრაფიულ მხარეებს, არამედ ბიოგრაფიულ დეტალებსაც. სიღრმისეულად განიხილავენ სტოპარდის ნაწარმოებებში დასმულ ფილოსოფიურ, თეატრალურ, სახელოვნებო თუ ლიტერატურულ საკითხებს. ჯონ ფლემინგი საკუთარ ნაშრომში „სტოპარდის თეატრი, წესრიგის პოვნა ქაოსში“ (*Stoppard's Theatre, Finding Order amid Chaos*) ქრონოლოგიურად შეისწავლის დრამატურგის ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, როგორებიც არის: „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ (*Rosencrantz and Guildenstern Are Dead*), „გალილეო“ (*Galileo*), „მოხტუნავენი“ (*Jumpers*), „პაროდისტები“ (*Travesties*), „ღამე და დღე“ (*Night and Day*), „არკადია“ (*Arcadia*), „სიყვარულის გამოგონება“ (*The Invention of Love*). ამ ნაწარმოებების კომპლექსური, ტექსტზე და სასცენო დადგმებზე ორიენტირებული კვლევები კი წარმოაჩენს კონკრეტული პიესის შექმნის უმთავრეს იდეებს. მელ გასოუს „საუბარი ტომ სტოპარდთან“ (*Conversation with Stoppard*) ერთგვარი ჟურნალისტურ-კრიტიკულ ინტერვიუთა კრებულია, სადაც წიგნის ავტორი 1968 წლის „ნამდვილი ინსპექტორი ჰაუნდის“ (*The Real Inspector Hound*) პრემიერიდან მოყოლებული 1997 წლის „სიყვარულის

გამოგონების“ (*The Invention of Love*) საპრემიერო ჩვენების ჩათვლით სტოპარდის ყველა მნიშვნელოვანი პიესის სასცენო დადგმის მომსწრე და თვითმხილველია. გასოუს და სტოპარდის დიალოგი კი (რომელიც ინტერვიუს სახით არის წარმოდგენილი) კარგად წარმოაჩენს კონკრეტული პიესის, თეატრალური დადგმის, რეჟისორის თუ მსახიობის მიმართ ავტორის დამოკიდებულებას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალაა, არა მხოლოდ სტოპარდის შემოქმედების კვლევით დაინტერესებული თეატრის, კინოსა თუ ლიტერატურის მკვლევართათვის, არამედ ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც. რაც შეეხება ჯიმ ჰანტერის *Tom Stoppard: A Faber Critical Guide: Rosencrantz and Guildenstern Are Dead, Jumpers, Travesties, Arcadia* ერთგვარი გზამკვლევია სტოპარდის თეატრალურ სამყაროში. წიგნის ავტორი განიხილავს დრამატურგის მნიშვნელოვანი პიესების და სასცენო დადგმების მეტაფორულ, სემიოტიკურ, ალუზიურ თუ მეტატექსტუალურ მხარეებს, რომლითაც გაჯერებულია სტოპარდის შემოქმედება. ენტონი ჯენკინსის „სტოპარდის თეატრი“ (*The Theatre of Tom Stoppard*) და „პემბრიჯის გზამკვლევი ტომ სტოპარდისკენ“ (*The Cambridge Companion To Tom Stoppard*), ჯონ ფლემინგის ზემოთ ნახსენებ ნაშრომთან ერთად სტოპარდის შემოქმედების შესახებ ყველაზე გამორჩეულ და მნიშვნელოვან ნაშრომებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მათ პკლევებში განხილული და გააზრებულია სტოპარდის უმნიშვნელოვანები პიესები, რადიოპიესები, თუ კინოსცენარები. ასევე დეტალურად არის შესწავლილი დრამატურგის ბიოგრაფია, მისი ადრეული თუ გვიანდელი შემოქმედების პერიოდები. პიესებში ჩართული სასიყვარულო, სექსუალური, სამეცნიერო, პოლიტიკური თუ ლიტერატურული თემები. ასევე გააზრებულია ნაწარმოებებში დასმული ეგზისტენციური, ფილოსოფიური, სოციალური თუ ლინგვისტური პრობლემები. განხილული და კომენტირებულია სტოპარდის შემოქმედების შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო თუ პოპულარულ კრებულებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები და სტატიები.

სტოპარდის შესახებ საუბრისას ასევე უნდა აღინიშნოს ის ზღვა საგაზეთო ინტერვიუები და პუბლიკაციები, აგრეთვე თეატრალური თუ კინო წარმოდგენების შესახებ შექმნილი რეცენზიები, რომლებიც 1967 წლიდან დღემდე მსოფლიოს მრავალ ავტორიტეტულ გამოცემებშია გამოქვეყნებული.

სტოპარდის პიროვნების და შემოქმედების პელეგით დაინტერესებულ მკვლევართა ნაშრომებსა თუ კრიტიკულ სტატიებში ეპიზოდურად, მაგრამ მაინც ვხვდებით სტოპარდის შემოქმედებაში პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის ანალიზს. ამ მხრივ გამოსარჩევია „კემბრიჯის გზამკვლევი ტომ სტოპარდისკენ“ (*The Cambridge Companion To Tom Stoppard*), სადაც მაიკლ ვანდენ პეუველის სტატია „არის პოსტმოდერნიზმი?“: სტოპარდი პოსტმოდერნისტებს შორის/დაპირისპირებული“ (“Is Postmodernism?”: *Stoppard among/against the postmoderns*) განიხილავს სტოპარდის შემოქმედების პოსტმოდერნისტულ მხარეებს. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ მასში კომპლექსურადაა გამოკვლეული სტოპარდისა და პოსტმოდერნიზმის ურთიერთმიმართების ყველა ძირითადი ასკექტი.

ადსანიშნავია, რომ სტოპარდის შემოქმედებაში პოსტმოდერნისტული ესთეტიკის შესწავლა და მისი მთლიანობაში განხილვა სიახლეა როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო მაშტაბით. უფრო მეტიც, საქართველოში წინამდებარე ნაშრომი სტოპარდის შესახებ პირველი სერიოზული ნაშრომის შექმნის მცდელობაა. საქართველოში, სტოპარდის შემოქმედების მიმართ უფრო მეტად სახელოვნებო და მთარგმნელობითი სფეროს წარმომადგენლები იყვნენ დაინტერესებულნი, თუ არ ჩავთვლით „ქართული შექსპირიანას“ მესამე ტომს, სადაც ჯერ კიდევ 1972 წელს პროფესორი ნიკო ყიასაშვილი საკუთარ სტატიაში „შექსპირი – ტრადიცია და ნოვატორობა“ სტოპარდის პიესის „როზენკრანცი და გილდენსტეინი მკვდრები არიან“ შესახებ აღნიშნავს: „ტომ სტოპარდის ამ გახმაურებულ ტრაგიკომედიაში შექსპირის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები „გმირებად“ გვევლინებიან, რაც უკვე მიუთითებს ავტორის განზრახვაზე – შექსპირის ტრაგედიის დეპეროზაცია მოახდინოს. აქაც შექსპირი თანამედროვე დრამატურგსა და თეატრს დასჭირდა იმისათვის, რათა რენესანსული იდეალების პაროდირების გზით ახალი დროის ევროპული ადამიანის სულიერი კრიზისი გამოეხატა“ (ყიასაშვილი 1972: 42).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და დრამატული ნაწარმოებების ანალიზზე დაყრდნობით მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, გაგარკვით სტოპარდის შემოქმედებაში პოსტმოდერნიზმის არსებობა როგორც ლიტერატურულ-სახელოვნებო, ასევე სოციალურ-

ფილოსოფიური კუთხით და კვლევის შედეგად წარმოვაჩინოთ ავტორის დამოკიდებულება პოსტმოდერნისტული ეპოქის მიმართ.

ნაშრომის ამოცანაა, ანალიზის საფუძველზე აჩვენოს პოსტმოდერნიზმის ესთეტიკისა და სტოპარდის შემოქმედების საერთო ნიშნები; განვსაზღვროთ მათი დამოკიდებულება სინამდვილის მხატვრული რეპრეზენტაციის საკითხის მიმართ; ასევე რელიგიისა და მეცნიერების, ბუნებისა და ხელოვნების, სიყვარულისა და სექსუალობის მათეული ინტერპრეტაცია; ისტორიზმის პრინციპის მათეული გააზრება, კერძოდ, პოსტმოდერნისტულ სინამდვილეში შეა საუკუნეების რეპრეზენტაციის საკითხი. ამ ძირითადი საკითხების გამოკვლევა, საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ როგორც მათ შორის არსებულ გარკვეულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ და ფილოსოფიურ-რელიგიურ კავშირებზე, ასევე განსხვავებებზე, რაც საბოლოოდ მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ერთიანი, მთლიანი სურათის წარმოჩენის საშუალებას მოგვცემს.

დისერტაციის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, პოსტმოდერნიზმის და მეორე მხრივ, სტოპარდის შემოქმედების მკვლევართა სამეცნიერო შრომები, ლიტერატურული, ფილოსოფიური, თეოლოგიური თუ ისტორიული პირველწყაროები, რომელიც თავად დრამატურგის შემოქმედების საფუძველია, ლიტერატურათმცოდნებითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა სადაც განხილულია XX საუკუნის მოდერნიზმის, ეგზისტენციალიზმის და პოსტმოდერნიზმის საკითხები, ასევე სტოპარდის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი სტილის ძირითადი თავისებულებები.

ნაშრომის პირველ თავში შევეცდებით განვიხილოთ ტერმინის „პოსტმოდერნიზმის“ არაერთგვაროვანი, ხშირად წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი დეფინიცია თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის, ხელოვნებისა და ზოგადად პოსტმოდერნისტული ეპოქის ჭრილში. ამავე თავში განვიხილავ პოსტმოდერნისტული ეპოქის კავშირს რენესანსულ ეპოქასთან, რაც რეპრეზენტირებულია არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგებში, არამედ სტოპარდის პიესისა და ფილმის „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდრები არიან“ მთავარი გმირების მხატვრულ კავშირშიც პოსტმოდერნისტულ და რენესანსულ ეპოქასთან, რაც

ნაჩვენებია ნახაზის სახით და შედარებითი ანალიზის გზით ცნობილი ამერიკელი რეჟისორისა და სცენარისტის ვუდი ალენის მოთხოვნასთან „კუგელმასის შემთხვევა“ (*The Kugelmass Episode*). ასევე გამახვილებულია ურადღება შექსპირის მეტაფორის „სამყარო სცენაა“ სტოპარდისეულინტერპრეტაციაზე სტოპარდის პიესასა და ფილმში „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდრები არიან“.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა სტოპარდის მეორე მნიშვნელოვანი პიესის „მოხტუნავენის“ (*Jumpers*) ანალიზს, სადაც იმ თემატიკას წარმოვაჩენთ, რომელიც სწორედ პოსტმოდერნიზმის ზეგავლენით გაჩნდა სტოპარდის დრამატურგიაში. შევეცდებით ტექსტის პერმენევტიკული კუთხით კვლევას, პიესის შიდა შრეების გახსნას და ნაწარმოებში არსებული სემიოტიკური ოუ სიმბოლიკური ნიშნების გააზრებას, რაც დაგვეხმარება გავიგოთ ოუ როგორი დამოკიდებულება აქვს ავტორს პიესის სინამდვილეში, შესაბამისად, პოსტმოდერნისტული ეპოქის რეალობაში ღმერთის არსებობა-არ არსებობის გავრცელებული შეხედულების მიმართ. წინამდებარე თავი შეისწავლის დასახელებული პიესის ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლოს-პირამიდას, როგორც პიესის ცენტრალურ სემიოტიკურ სიმბოლოს რომელზეც დაშენებულია ავტორის მთელი ფილოსოფია. ნაშრომში პირამიდის სიმბოლიკა განხილულია ორი კუთხით, ანტიკური ფილოსოფიის და იუდეურ-ქრისტიანულ აზრობრივ ჭრილში, რაც ავტორის დუალისტური ბუნებით არის განპირობებული. კვლევა წარიმართება პლატონის „ტიმეოსის“ ანალიზის გზით, სადაც გამოკვლეულია პირამიდასთან ანუ სამკუთხედოან დაკავშირებული სამყაროს შექმნის დიდი ტრიადისეული ვერსია. ხოლო პირამიდის სიმბოლოს იუდეურ-ქრისტიანული მხარე განხილულია წმინდა სამების შესახებ ნეოპლატონისტების (პლოტინი) და წმინდა მამათა (წმინდა აუგუსტინესა და იოანე დამასკელის) თეოლოგიური მსჯელობების განხილვით. ამასთანავე პირამიდის იუდეურ-ქრისტიანული სიმბოლიკა, როგორც სამკუთხედის, ციფრი სამის სიმბოლო შედარებულია უმბერტო ეკოს რომანში „ვარდის სახელი“ (*The Name of the Rose*) არსებულ მონასტრის ციტადელის სამების სიმბოლიკასთან.

ნაშრომის მესამე თავში შევეცდებით განვიხილოთ ავტორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პიესა „პაროდისტები“ (*Travesties*), სადაც წარმოვაჩენთ

ავტორის დამოკიდებულებას პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მიმართ. შევეცდებით დავადგინოთ პიესის სტრუქტურული ქსოვილი და ანალიზის შედეგად წარმოვაჩინოთ პიესაში პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობა. ამავე თავში შევეცდებით დავადგინოთ ავტორის დამოკიდებულება, როგორც „მაღალი ხელოვნების“ (ლიტერატურის) მიმართ, რომელსაც პიესაში ჯეიმზ ჯოისი და მისი „ულისე“ (Ulysses) წარმოადგენს, ასევე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში გავრცელებული „პოპ-კულტურის“ მიმართ, რომელსაც პიესაში დადაიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ტრისტან ძარა წარმოაჩენს.

მეოთხე თავში გამოკვლეულია სიდლეი პარკის ბაღის ანუ „არკადიას“ (Arcadia) სხვადასხვა პერიოდის რეპრეზენტაციის მნიშვნელობა, რაც პიესაში ოთხი დროის, 1730, 1760, 1809 და თანამედროვე ეპოქის სახითაა გამოხატული. მეოთხე თავი, ასევე შეეხება სიტყვა „არკადიას“ კონტაციებს, რომელიც სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებების ანალიზის და პიესის ჩემეული ინტერპრეტაციის საფუძველზე, დაკავშირებულია ერთი მხრივ, ანტიკური ხანის საკულტო ადგილთან, რომელიც ვირგილიუსის მიერ იყო იდეალიზებული, ხოლო მეორე მხრივ, ბიბლიური ედემის ბაღთან, სადაც ბუნების ქაოტურობას თავად ღმერთი აწესრიგებდა. ასევე განვიხილავთ პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ უამრავ თემას და პრობლემას. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს არის მეცნიერული თემა. ამ კუთხით გააზრებულია ისააკ ნიუტონის კლასიკური მექანიზმის სისტემა, რომელიც სამყაროს წესრიგს მიზეზ-შედეგობრიობის ანუ დეტერმინისტული მიდგომის საფუძველზე აღწერს. ნიუტონის კანონის პარალელურად, პიესაში მეორე მნიშვნელოვანი მეცნიერული თეორიაც არის რეპრეზენტირებული თერმოდინამიკის მეორე კანონის სახით, რომლის მიხედვითაც სამყარო ნიუტონის დეტერმინისტული შეხედულებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთ მიმართულებით, სითბოდან-სიცივისკენ მოძრაობს. წინამდებარე თავში დეტალურად არის განხილული პიესაში ამ ორი ურთიერთსაპირისპირო რეპრეზენტაციის ურთიერთმიმართება და იგი გააზრებულია თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქის ჭრილში.

კვლევის შედეგები შეჯამებულია დასკვნებში.

## I თავი

პოსტმოდერნიზმის ელემენტები ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში  
„როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“

დისნეის სამყარო გვეუძნება, რომ ტექნოლოგიას ბუნებაზე  
ძალი რეალობის მოცემა შეუძლია ჩვენთვის.

უმბერტო ეკო

1967 წელს, „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ ნიუ იორკული პრემიერის შემდეგ ტომ სტოპარდს ჰქითხეს თუ რას შეეხებოდა მისი პიესა, რაზეც ავტორმა პოსტმოდერნისტული ირონიით უპასუხა, რომ პიესა შეეხება იმას, რამაც იგი ძალიან მდიდარ კაცად აქცია (პოლდენი 2007: 1). მართლაც ამ პიესამ სტოპარდს დიდი წარმატება მოუტანა, ჯერ ედინბურგის ფესტივალზე, ხოლო შემდეგ ლონდონის ნაციონალური თეატრის სცენაზე, რასაც მოჰყვა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ მსოფლიო სხვადასხვა თეატრებში დადგმული ვერსიები. თუმცა 1990 წელს პიესის სასცენო ვერსიებს კინემატოგრაფიული ვერსიაც შეემატა, რითაც სტოპარდმა საზოგადოებას დრამატურგიულ და სცენარისტულ ტალანტთან ერთად რეჟისორული ნიჭიც დაანახა.

რადგან ნაშრომის კვლევის მიზანი სტოპარდის შემოქმედების და პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის ურთიერთმიმართების შესწავლაა, ამიტომ წინამდებარე თავი პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის ძირითადი პრინციპების ანალიზთან ერთად ეძღვნება პოსტმოდერნისტული ელემენტების დადგენას სტოპარდის პირველ მნიშვნელოვან პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“, რისთვისაც საჭიროა გამოვლინდეს ის მახასიათებლები, რომელიც პოსტმოდერნისტული ლიტერატურის და ზოგადად

პოსტმოდერნისტული ეპოქისა და ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ამ მახასიათებლების მეშვეობით დადგინდეს კავშირი პოსტმოდერნისტულ და რენესანსულ ეპოქებს შორის, პოსტმოდერნისტულ დრამატურგიასა და რენესანსულ დრამატურგიას შორის, ტომ სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ როგორც პოსტმოდერნისტული დრამა, ხოლო უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“ როგორც რენესანსული დრამა. ამგვარი კვლევის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ ტომ სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ შექსპირის „ჰამლეტის“ ერთგვარი პოსტმოდერნისტული „რიმეიკია“. ამიტომ ამ პიესის, როგორც პოსტმოდერნისტული დრამის, შედარება უილიამ შექსპირის „ჰამლეტთან“, როგორც რენესანსულ დრამასთან, საინტერესო კუთხით წარმოაჩენს პოსტმოდერნიზმის თავისებურებებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ დავადგინოთ კავშირი პოსტმოდერნიზმსა და ტომ სტოპარდის შემოქმედებას შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაანალიზდეს ზოგადად რა არის პოსტმოდერნიზმი. ამაზე ერთი წინადადებით ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან როგორც არქიტექტურის თეორეტიკოსი ჩარლზ ჯენკსი ამბობს: „უნდა გვესმოდეს, რომ პოსტმოდერნიზმი ცვალებადი და განვითარებადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუსტი პასუხის მიღება შეუძლებელია, სულ ცოტა იქამდე, სანამ ის არ შეწყვეტს მოძრაობას“ (ნიკოლი 2002:2). ხოლო ბრენ ნიკოლი აღნიშნავს: „პოსტმოდერნიზმი არის ეველაზე პრობლემური ცნება თანამედროვე კულტურის კრიტიკაში. ეს ტერმინი გამორჩეულად ფიგურირებს უწვეულოდ ფართო სპექტრის აკადემიურ დისციპლინებში, როგორიცაა ლიტერატურათმცოდნეობა, ვიზუალური ხელოვნება და არქიტექტურა, ფილოსოფია, სოციალური თეორია, ისტორია, კულტურათმცოდნეობა სადაც იგი სხვადასხვაგვარად გამოიყენება სრულიად განსხვავებული საგნების აღსანიშნად“ (ნიკოლი 2002: 1). ხოლო ფრედრიკ ჯეიმსონის თქმით, თანამედროვე პოსტმოდერნისტულ რეალობაში, მაშინ როცა ტელევიზიუმია და მასმედიამ, ტექნოლოგიური ხელოვნების ნიმუშებით დაიპყრო რეალობა, კულტურაც სავაჭრო საზოგადოების ნაწილად იქცა, რადგან კულტურა აღარ განისაზღვრება მისი ტრადიციისა თუ ექსპერიმენტული ფორმების მიხედვით, არამედ იგი მოიხმარება მომხმარებლური სამყაროს ყოველდღიური

მოთხოვნების შესაბამისად (ჯეიმსონი 1998:111). პოსტმოდერნიზმი მოიცავს არა მარტო აკადემიურ დარგებს, არამედ ეს ტერმინი კიდევ უფრო მეტად გავრცელებულია ისეთ საზოგადოებრივ დარგებში, როგორიც არის მასმედია, ბეჭდური მედია, სატელევიზიო სახელოვნებო პროგრამები და არააკადემიური წიგნები, რაც ტერმინის პოსტმოდერნიზმი განსაზღვრას კიდევ უფრო მეტად ართულებს (ნიკოლი 2002: 1).

ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე პოსტმოდერნიზმის განმარტება დამეწყო იმ მახასიათებლების გამოყოფით, რაც პოსტმოდერნისტულ ლიტერატურას, ხელოვნებას თუ ზოგადად ეპოქას ახასიათებს და შემდგომ ამ მახასიათებლების მეშვეობით დამედგინა კავშირი ტომ სტოპარდის პიესისა და ფილმის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ პოსტმოდერნისტულ ლიტერატურასა და ხელოვნებასთან.

პირველი, რაც პოსტმოდერნისტული სამყაროს მახასიათებლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ეს არის თანამედროვე სამყაროში ახალი, ირეალური რეალობის (რომელსაც ჟან ბოდრიარი - „სიმულაკრულ“, უმბერტო ეკო - „პიპერრეალურ“ სამყაროს უწოდებს) შექმნის მცდელობა. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი ამერიკაში დანახული სემიოტიკური ნიშნების ანალიზისას პიპერრეალური რეალობის სათავედ ამერიკის სიმულაკრულ რეალობას მიიჩნევს (ბოდრიარი 1989: 27). იგი აღნიშნავს: „რაც უნდა გააკეთო არის ის, რომ შეხვიდე ამერიკის ფიქციაში, შეხვიდე ამერიკაში, როგორც ფიქციაში. მართლაც, ამგვარი ფიქციური საფუძვლებით დომინირებს ის მსოფლიოში“ (ბოდრიარი 1989: 28). ასევე ამ სიმულაკრული, ფანტასმაგორიული, პიპერრეალური სამყაროს მოდელად ბოდრიარი კალიფორნიას, კერძოდ კი ლას ვეგასს მიიჩნევს. „ეს სამგანზომილებიანი ოცნებაა, სადაც ისე შეგიძლია შეხვიდე, როგორც სიზმარში“ (ბოდრიარი 1989: 28). უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რას წარმოადგენს ამგვარი სამყარო ეკოსაც და ჟან ბოდრიარსაც უოლტ დისნეის სამყაროს მაგალითი მოჰყავთ. აი როგორ ახასიათებს ბავშვების და არა მარტო ბავშვების ოცნების სამყაროს ჟან ბოდრიარი: „დისნეიილენდი არის სიმულაკრების ყველა გახლართული დალაგების ზუსტი მოდელი. უპირველეს ყოვლისა, ის არის ილუზიათა და ფანტაზიათა თამაში: მეკობრეები, ფრონტირი, მომავლის სამყარო და ა.შ. ამ წარმოსახვითმა სამყარომ უნდა უზრუნველყოს ოპერაციის

წარმატებულობა“ (ნიკოლი 2002: 97) (ბოდრიარი 1994: 12). ხოლო უმბერტი ეკო შენიშვნავს: „ასეთი ამერიკის იდეოლოგიას სურს იმიტაციის მეშვეობით დამაჯერებლობა დანერგოს. თუმცა სარგებელი ამარცხებს იდეოლოგიას, რადგან მომხმარებლებს არა მხოლოდ გარანტირებული კარგისგან მიღებული ქრუანტელი სურთ, არამედ ცუდისგან მიღებული ქრუოლაც. ამიტომაც, დისნეილენდში მიკი მაუსის და კეთილი დათვის გვერდით, ხელშესახები სიცხადით ასევე უნდა იყოს მეტაფიზიკური ბოროტება (მოჩვენებათა სახლი), და ისტორიული ბოროტება (მეკობრეები)....“ (ეკო 1998: 57).

„დისნეის სამყაროს“ ანალიზისას, ასევე საფიქრებელი და ხაზგასასმელია უოლტ დისნეის ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლოს, მიკი მაუსის მუდმივი დიმილი. უან ბოდრიარი ამერიკაში არსებულ დიმილზე უამრავ მოსაზრებას გამოოქვამს. პირველად იგი შენიშვნავს, რომ „ტაიმს სქუერზე“ მოსიარულე ადამიანების სახეზე აღბეჭდილი დიმილის ადრესატი არა ვინმე სხვა, არამედ თავად დიმილის ავტორია (ბოდრიარი 1989: 14). შემდეგ კი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების მხრიდან ყველანაირ სიტუაციაში დიმილზე. დიმილი მაშინაც კი როცა არ იცი რა პასუხი გასცე დასმულ კითხვას. მიცვალებულებსაც კი დიმილი დაპკრავთ სახეზე იმ იმედით, რომ მომავალ ცხოვრებაშიც გაუდიმებს ბედი. ამგვარ დიმილს კი ბოდრიარი რეიგანის და რეკლამის დიმილს ადრის (ბოდრიარი 1989: 32). თავად რეკლამა, როგორც ცნობილია, იწარმოება მასმედიური ტექნოლოგიებით და ვრცელდება მასმედიური საშუალებებით. შესაბამისად, ბოდრიარის მსჯელობა ამერიკული დიმილის შესახებ ლოგიკურად დაკავშირებულია მასმედიასთან ანუ სამყაროში ჰიპერრეალური და სიმულაკრული რეალობის მწარმოებელ ნომერ პირველ საშუალებასთან. ანუ თანამედროვე რეალობაში ეს უწყინარი ადამიანური ჩვევა თავის თავშივე უამრავ აზრს ატარებს და ეს ყველაფერი არა თავად საზოგადოების მიერ არის შექმნილი, არამედ პირიქით საზოგადოებისთვის არის შექმნილი და გავრცელებული იმ საშუალებებით, რომელსაც დისნეის და ჰოლივუდის სამყარო ჰქვია. ერთ-ერთი ჰოლივუდური „ბლობასტერის“, „ბეტმენის“ პერსონაჟის, ჯოკერის მიზანიც ხომ მსგავსია, გააღიმოს გოტემის საზოგადოება, ხოლო ამ დიმილით შექმნას იღუზია ბედნიერების, რასაც ქიმიური კოსმეტიკური საშუალებებით ცდილობს ანუ იმ სილამაზის საშუალებებით, რომელიც გამოიყენება ხელოვნური სილამაზის შექმნისთვისა და გაახალგაზრდავებისათვის, ისევე, როგორც 1998 წელს

ენდრიუ ნიკოლის სცენარის მიხედვით გადაღებული პეტერ ვეირის ფილმი „ტრუმენის შოუს“ (*The Truemen Show*) მთლიანი სიუჟეტი, სადაც პოლივუდის ტიპის უზარმაზარ სტუდიაში შექმნილია ხელოვნური ქალაქი, რომელიც ტელევიზიის და მასმედიის საშუალებით პირდაპირ ეთერში გადასცემს იმგვარ უტოპიურ რეალობას, რომელსაც ბოდრიარი/ეკოს მიერ ნახსენები „დისნეის სამყარო“ მოიაზრებს, სადაც ყოველი პერსონაჟი არსებული რეალობით ბედნიერი და გადიმებულია. ამგვარ დიმილებში ბოდრიარი შემდეგ გზავნილს ხედავს: „კარგია ეს ქვეყანა. მე ვარ კარგი. ჩვენ საუკეთესონი ვართ“ (ბოდრიარი 1989: 32). (იხ. დანართი 1)

ბოდრიარის მოსაზრებების ანალიზიდან გამომდინარე, ამგვარი საზოგადოება მასმედიის გავლენის ქვეშ იმყოფება. უფრო მკაფიოდ რომ განვმარტოთ, პოსტმოდერნისტული საზოგადოებისთვის რეალობა იქცა ეკრანის რეალობად, ხოლო ეკრანის რეალობა იქცა რეალურ რეალობად, ანუ სიყალბე იქცა სიმართლედ და სიმართლე სიყალბედ. ამიტომ როგორც ბოდრიარი აღნიშნავს: „თუ ვირწმუნებთ, რომ მთელი დასავლური სამყარო პიპოსტაზირებულია ამერიკაში, ხოლო ამერიკა კალიფორნიაში და კალიფორნია დისნეის სამყაროში, მაშინ ეს უკანასკნელი დასავლეთის მიკროკოსმოსია“ (ბოდრიარი 1989: 54). გამოდის, რომ თანამედროვე დასავლელი ადამიანი პირდაპირ მიერთებულია პოლივუდურ სტუდიებს და მათ სახეზე გამოსახული ზემოთ განხილული დიმილიც შედეგია მათი „რეალობის“, რადგან როგორც თავად ბოდრიარი ამ თემის შეჯამებისას აღნიშნავს: „ამერიკაში კინემატოგრაფი ნამდვილია, რადგან ის იმ სივრცის, იმ ცხოვრების მომცველია, რომელიც კინემატოგრაფიულია. ამ თრს შორის საზღვარი, ის აბსტრაქცია, რაზეც ვდარდობთ სინამდვილეში არ არსებობს, ცხოვრება კინოა“ (ბოდრიარი 1989: 97). ამგვარი კინემატოგრაფიული რეალობა არ არის მხოლოდ ამერიკის რეალობის ნაწილი, არამედ გლობალური მსოფლიოსიც, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს უზარმაზარი კულტურული თუ ეკონომიკური გავლენა აქვს დანარჩენ მსოფლიოზე, აქედან გამომდინარე ამერიკის პრობლემა დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოს პრობლემაცაა. ამის საილუსტრაციოდ უამრავ არგუმენტოაგან რამოდენიმეც საკმარისია.

პირველი არის ამერიკის ფინანსური გავლენა დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოზე, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა ამერიკაში 2008 წელს არსებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რომელიც დომინოსებური ეფექტით გადაედო ცივილიზებულ დასავლეთს და ფაქტიურად ამერიკის ფინანსური პრობლემა დასავლური სამყაროს პრობლემაც გახდა. ამ ეკონომიკური კრიზისის შედეგებს დღესაც ებრძვის დასავლეთ ევროპის რამდენიმე განვითარებული ქვეყანა. (მაგ. ესპანეთი, საბერძნეთი.)

მეორე, კულტურულ-კინემატოგრაფიული გავლენა, რომელიც 2011 წელს პრინც უილიამის და ქაით მიდღებონის ქორწილის დღეს გამოჩნდა. მსოფლიო პრესა ქორწილის მთავარი პერსონაჟების და უოლტ დისნეის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროდუქტის „პონკიას“ პერსონაჟების მსგავსებაზე ალაპარაკდა (ბიბისი ამერიკა 2011). (იხ. დანართი 2)

მესამე ეს არის თანამედროვე რეალობაში კინემატოგრაფიული, პოლიკური პერსონაჟის „ბეტმენის“ გამოჩენა მონტდგომერში, მერილენდის შტატში, სადაც იგი ძვირადღირებული ლამბორჯინის მარკის მანქანით პოლიციის მიერ საგზაო წესების დარღვევისათვის იყო გაჩერებული (ურთიერთების 2012). (იხ. დანართი 3)

და მეოთხე, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი, სადაც მთელ მსოფლიოს ტელევიზიით და ეკრანით პირდაპირ ეთერში უჩვენეს თუ როგორ მოაცილებდა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალისკენ დედოფალ ელიზაბეტს პოლიკური ბრენდის ერთ-ერთი გამორჩეული სახე აგენტი 007 (პოლიკური რიფორმერი 2012). (იხილეთ დანართი 4)

ამ პიპერეალური სამყაროს შექმნამ, ვფიქრობ, ზოგადად დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიურ განვითარებაზე. პიპერეალური სამყაროს შექმნაზე, განვითარებასა და გავრცელებაზე მასმედიასთან ერთად გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკაც ზრუნავს, რაზეც ბრენ ნიკოლი წერს: „რეალობა აღარ არის ის, რაც ჩვენ შეიძლება გვევონოს, რომ თავისთვად არის, არამედ ის, რაც გვაჰქვებს, რომ მუდმივად ორგანიზებულია და აგებული ჩვენთვის მასმედიისა და გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკისაგან შემდგარი ორმაგი ინსტრუმენტის მეშვეობით. ცხოვრობდე პოსტმოდერნიზმში ნიშნავს,

განიცდიდე რეალობას როგორც სიყალბეს, ხოლო სიყალბეს – როგორც რეალობას“ (ნიკოლი 2002: 5). ხოლო ამ პიპერრეალურ, გამოგონილ, ფალსიფიცირებულ სამყაროს ზეგავლენაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის გავრცელებასა და შედეგებზე კიდევ უფრო კარგად სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავოი ჟიუკი საუბრობს: „ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტები ცრუობენ, მაგრამ მაინც ვუჭერთ მათ მხარს. ჩვენ ვიცით, რომ რეკლამის მწარმოებლები აზვიადებენ თავიანთი პროდუქტების ღირებულებას, თუმცა ჩვენ მაინც ვყიდულობთ მათ“ (ნიკოლი 2002: 4). ანუ, ამ პიპერრეალურ, გამოგონილ სამყაროს, მასმედიის, „დისნეის სამყაროს“ მოწყობის მაგალითით, პოლივუდის ფილმების ზეგავლენით, როგორც სლავოი ჟიუკი ამბობს, პოლიტიკოსების და პრეზიდენტების ტყუილებთან ერთად გლობალური ფინანსური ორგანიზაციები და ზოგადად ფული ქმნის და წარმართავს.

ჯეიმსონი თავის წიგნში „კულტურული შემობრუნება, რჩეული წერილები პოსტმოდერნზე“ (*The Cultural Turn, selected writings on the postmodern*) აღნიშნავს იტალიული მეცნიერისა და სოციოლოგის, ჯოვანი არიგის ნაშრომს „გრძელი მეოცე საუკუნეს“ (*The Long Twentieth Century*), სადაც თანამედროვე სამყაროში ფულის, როგორც ძალაუფლების წყაროს მნიშვნელობაზეა საუბარი. ასევე თანამედროვე სამყაროში საფონდო ბირჟების მნიშვნელობის გაზრდასა და ინდუსტრიულ წარმოებაზე, ასევე ფულის კაპიტალიზაციასა და მისი საინვესტიციო სფეროების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც ჯეიმსონი „მონეტარიზმის“ ტერმინით მოიხსენიებს, თანამედროვე სამყაროში შექმნილი ფინანსური თუ პოლიტიკური რეალობის და მდგომარეობის გამოსახატად (ჯეიმსონი 1998: 136).

ისმის კითხვა: რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს თანამედროვე ბრიტანელ დრამატურგ ტომ სტოპარდთან და მის პიესა თუ ფილმთან „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“? ვფიქრობ კავშირი ძალიან ბევრია. უპირველეს ყოვლისა როზენკრანციცა და გილდენსტერნიც შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით სამეფო კართან ძალიან დაახლოებული პირები არიან და მეფე კლავდიუსის პოლიტიკის გამტარებელნი. ეს ყველაფერი თანამედროვე სამყაროში, რომ გადმოვიტანოთ და ვფიქრობ, რომ უნდა გადმოვიტანოთ, რადგან თრივე პერსონაჟი სტოპარდის პიესისა და ფილმის მიხედვით ზუსტადაც რომ პოსტმოდერნისტული ეპოქის პერსონაჟები

არიან (რის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებ), რომლებიც რაღაც საფასურის თუ უბრალოდ რაღაც პოლიტიკის ზეგავლენით თუ იმ შექმნილი რეალობის თუ ირეალობის გამო ემსახურებიან ისეთ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს მოკლას რეალობა, მოკლას სიმართლე და სამყაროში დაისადგუროს ტყუილმა და იმ ხელოვნურად შექმნილმა რეალობამ, რომელსაც ერთი მხრივ თანამედროვე სამყაროში „დისნეის სამყარო“ და სხვა ზემონახსენები ფაქტორები ქმნიან, ხოლო მეორე მხრივ რენესანსულ სამყაროში, შექსპირის „ჰამლეტში“ მევე კლავდიუსი და მისი პოლიტიკა ცდილობდა შეექმნა. ტომ სტოპარდის ფილმისა და პიესის, ასე ვთქვათ, პროლოგშიც მონეტების ანუ ფულის თამაშის ეპიზოდი, ვფიქრობ, შემთხვევითი ეპიზოდი არ არის; პირიქით, ის ძალიან ბევრ სიმბოლურ დატვირთვას შეიძლება ატარებდეს.

1. ფული როგორც მთავარი წარმართველი ფაქტორი არარსებული, ვირტუალური „რეალური“ სამყაროს შექმნაში, ანუ მთავარი პერსონაჟების მხრიდან მონეტის თამაშის ეპიზოდით, ჩვენება ფულის, როგორც ყველაზე უპირატესი ძალის მატარებლისა ამ პიპერეალურ, „დისნეის სამყაროს“ მსგავს სამყაროში („დისნეილენდშიც“ ხომ ყოველი სათამაშო ატრაქციონი ფული დირს ისევე როგორც იმ სამყაროში, რომელსაც ჩვენ რეალურს ვუწოდებთ), 2. ფული და მონეტა, როგორც მაკავშირებელი ამ პერსონაჟებისა ერთი მხრივ „ჰამლეტის“ სამყაროსთან და მასში წარმოდგენილ კლავდიუსის პოლიტიკასთან და მეორე მხრივ თანამედროვე სამყაროსთან და მასში არსებულ ფულის ბატონობასთან. და კიდევ ერთი: მონეტის ერთი მხარის „ალჩუს“ („არიოლის“) (“Heads”) უსაშველო მოსვლით, რომელზეც ფილმში შექსპირის მსგავსი პორტრეტია გამოსახული, მინიშნებულია, რომ როზენკრანცი და გილდენსტერნი მათთვის დაუკითხავად იმყოფებიან იმ სამყაროში, ასრულებენ იმ როლებს, თამაშობენ იმ თამაშს, რომელიც მათთან შეუთანხმებლად დაიწერა და შეიქმნა; და ამ ყველაფრის კავშირი ფულთან კიდევ უფრო სიმბოლურ ელფერს აძლევს თანამედროვე სამყაროში ფულის ძალას და ფულით პიპერეალური სამყაროს შექმნასა და ამ გზით ადამიანთა ცხოვრების განსაზღვრას.

საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრის იდეურ ჭრილში ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამერიკული ავტოსტრადების სემიოტიკური

მნიშვნელობა, რომლის შესახებაც ბოდრიარი საკმაოდ ვრცლად საუბრობს. თანამედროვე პოსტმოდერნული სამყარო, რომლის ნათელი მაგალითი, როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს ამერიკა, ცხოვრობდე რეალობაში ნიშნავს ცხოვრობდე კინემატოგრაფიაში ანუ ჰოლივუდში ან „დისნეის სამყაროში“, ხოლო ამგვარად მაცხოვრებელი საზოგადოების ცხოვრება პგავს ამერიკულ ავტოსტრადას, რომელიც ყველას ერთმანეთთან აკავშირებს და თავად განსაზღვრავს ამ კავშირების მოძრაობის წესებს, ხოლო თუ არ ემორჩილები დადგენილ წესებს გაქვს ნიშანი „MUST EXIT“ („უნდა გახვიდე“) (ბოდრიარი 1989: 52). გამოდის, რომ იმ ადამიანისთვის, რომელიც ცხოვრობს ამგვარი კინემატოგრაფიული რეალობით, განსაზღვრულია არა მხოლოდ გადაადგილება, არამედ ადგილ-სამყოფელი და შესაძლოა მომავალიც, რადგან თუ საზოგადოების რეალობა კინოს მსგავსია, კინოში დასასრულიც გადადებული და შექმნილია. ალბათ ამიტომ ადარებს ბოდრიარი ავტოსტრადების მოძრაობის წესებსა და ნიშნებს მსოფლიოს მოწყობის წესებსა და ნიშნებს. ამ მხრივ „Must Exit“ შესაძლოა ატარებდეს შემდეგ დატვირთვასაც, თუ ადამიანი არ არის გაწევრიანებული ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ თუ იდეოლოგიურ ავტოსტრადაში ანუ დადგენილ, დადგმულ რეალობაში, მისი კავშირები და გადაადგილება შეზღუდულია და იგი ავტომატურად ამ ავტოსტრადის გარეთ რჩება.

სტოპარდის მთავარი მოქმედი გმირებიც პიესის დასაწყისში, ხომ გზაზე მოემართებიან, სადაც ისინი თეატრს ხვდებიან, რისი მეშვეობითაც ისინი ელსინიორის რეალობაში აღმოჩნდებიან, ანუ იმ რეალობაში, რომელსაც მოთამაშე მსახიობი მთავარ მოქმედ გმირებს ამგვარად სთავაზობს:

„ჩვენ შეგიყვანთ ინტრიგებისა და ილუზიების სამყაროში....“<sup>1</sup>

(“We transport you into a world of intrigue and illusion....” (სტოპარდი 1967: 16))

ანუ როზენკრანცსა და გილდესტერნს სთავაზობენ მსგავს სამყაროში გადაყვანას, რაზეც ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ. ამ მოსაზრებას მოთამაშე პროტაგონისტის შემდეგი სიტყვებიც ამყარებს:

<sup>1</sup> წინამდებარე თავში ციტატების თარგმანი პიესიდან „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ ეპუთვნის დისერტაციის ავტორს.

„ჩვენ სწორედ იმას ვაკეთებთ სცენაზე, რაც მის მიღმა ხდება ხოლმე.“

(“We do on stage the things that are supposed to happen off” (სტოპარდი 1967: 20))

ამგვარი ფიქციური რეალობის მიმართ საინტერესოა სტოპარდის მთავარი გმირების დამოკიდებულება, რომელსაც ავტორი გილდენსტერნის სიტყვებით ავლენს:

“-გილ: ჩაგვითრიეს. ერთ გაუფრთხილებელ ნაბიჯს მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე, მესამეს ისევ პირველთან მივყავართ და ასე. ახლა თვალები ჭყიტე და ყურები ცქვიტე. ფრთხილად იყავი და მიუევი ინსტრუქციებს. ყველაფერი კარგად იქნება.

-როზ: კი, მაგრამ როდის?!

-გილ: როცა ის მოხდება, რაც უნდა გადაწყდეს. აქ ერთგვარი ლოგიკაა – შენი გასაკეთებელი თავისით გაკეთდება. ამიტომ, არ ინერვიულო. მოდუნდი და იხალისე.”

(“**Guil:** We've been caught up. Your smallest action sets off another somewhere else, and is set off by it. Keep an eye open, an ear cocked. Tread warily, follow instructions. We will be all right.

**Ros:** For how long?

**Guil:** Till events have played themselves out. There's a logic at work — it's all done for you, don't worry. Enjoy it. Relax.....” (სტოპარდი 1967: 29))

გამოდის, რომ ბოდრიარის მიერ აღწერილი საზოგადოებისათვის, ისევე როგორც სტოპარდის გმირებისთვის, რეალობა დადგმული და შექმნილია, სადაც თავისუფალი ნება, ბიბლიური ადამ და ევასეული ნება ნელ-ნელა უკან იწევს და წინ დეტერმინისტული ნიუტონისეული თეორია მოიწევს ანუ სამყაროს მეცნიერული, დეტერმინისტული შემეცნება, რომელიც სტოპარდის ფილმში ვაშლის ეპიზოდით გლინდება და რომელზეც ქვემოთ უფრო დეტალურად კიმსჯელებ.

პოსტმოდერნისტული კულტურის, აზროვნების თუ ზოგადად ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანამედროვე დასავლური

საზოგადოების გაურკვევლობა ე.წ. „მაღალ კულტურაში“ და შესაბამისად მისდამი გაუცხოება. უმბერტო ეკო თავის წიგნში „ყალბის რწმენა: მოგზაურობა პიპერეალობაში“ (*Faith In Fakes Travels in Hyperreality*) სან ფრანცისკოს, ლოს ანჯელესისა და სანტა კრისტინას ცვილის მუზეუმებში გამოფენილ ლეონარდო და ვინჩის რეპროდუქციული ნამუშევრებისა და იმ ხელოვნური ემოციური აურის შექმნით, რომელიც თანამედროვე მუსიკითა და განათების სისტემით შეიარაღებულ მუზეუმში სუფეს (ეკო 1998: 16,17), რეპროდუქციული ხელოვნების ავტორებისგან თანამედროვე საზოგადოების, კერძოდ კი, ამ მუზეუმის დამთვარიელებლების მიმართ ასეთ გზავნილს ხედავს: „ის შორსაა, მილანში, ადგილი, რომელიც, ფლორენციის მსგავსად, მთლად რენესანსია. თქვენ შეიძლება ვერასოდეს მოხვდეთ იქ, მაგრამ ხმა გაფრთხილებთ, რომ ორიგინალი ფრესკა ამჟამად დაზიანებულია, თითქმის უხილავია და არ შესწევს ძალა მოგანიჭოთ ის ემოცია, რომელსაც განიჭებთ სამგანზომილებიანი ცვილი, რომელიც უფრო რეალურია და სრულყოფილი“ (ეკო 1998: 18). თანამედროვე სამყაროში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რენესანსის „მაღალი კულტურა“, რომელსაც ლეონარდო და ვინჩი თავისი შემოქმედებით წარმოადგენს, თანამედროვე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ლოს ანჯელესისა და სან ფრანცისკოს მუზეუმებში რეპროდუქციული ცვილის ნიმუშების სახით, რომლებიც არაფრით განსხვავდებიან იმ ორიგინალებისაგან, რომლებიც მილანისა და ფლორენციის ტაძრებსა თუ მუზეუმებშია დაცული. იმიჯური ხელოვნების გაჩენამ, შეითვისა როგორც „პოპ“, ასევე „მაღალი კულტურა“, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი გახდა ბაზარზე, ამიტომ ამგვარი იმიჯური სილამაზის შექმნით, როგორც ეს ეკოს და ვინჩის მაგალითშია მოყვანილი (დ.მ), თანამედროვე ფსევდო-ესთეტიკური მანევრის საშუალებით იქმნება არა შემოქმედებითი, არამედ იდეოლოგიური სილამაზე (ჯეიმსონი 1998: 135). ხელოვნებაში ასეთ რეპროდუქციას უან ბოდრიარი კოპირებას უწოდებს. „ადრე ტექნოლოგია აწარმოებდა ასლებს – მუსიკის ჩანაწერებს, მხატვრულ რეპროდუქციებს – მაგრამ ისინი აშკარად ორიგინალის ასლებს წარმოადგენდნენ და ჯერ კიდევ იცნობოდნენ ასეთებად. ახლა კი მეცნიერება და ტექნოლოგია იმდენად განვითარდა, რომ წარმოებული ასლები ისევე განურჩეველია ორიგინალებისაგან, როგორც კლონირებული ცხოველები ერთმანეთისაგან“ (ნიკოლი 2002: 6). ამავე

საკითხზე საინტერესოა ბოდრიარის მოსაზრება სიმულაკრუმის მუდვივი დაბადების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ყველაფერს შეუძლია ხელმეორედ დაიბადოს (ბოდრიარი 1989: 39,40).

თანამედროვე ტექნოლოგიებით ამგვარი კოპირების და სიმულაკრუმის შექმნის ბრწყინვალე მაგალითია 2012 წელს ამერიკაში, კალიფორნიის შტატის ქალაქ კოაჩელას ფესტივალზე გაცოცხლებული ცნობილი რეპერის თუფაქ შაქურის კონცერტი, სადაც პოლოგრამის ფორმის ტექნოლოგიების მეშვებით 16 წლის წინ გარდაცვლილმა მომდერალმა, მეგობრებთან ერთად ცოცხალი კონცერტი გამართა. (იხ. დანართი 5) ამგვარი რამ რეალურ სამყაროში პირველად განხორციელდა, თუ არ ჩაგთვლით 2010 წელს იაპონერი მედია კომპანია *Crypton Future Media*-ს მიერ შექმნილ იაპონელი პოპ ვარსკვლავის ჰეტცუნე მიკუს 3D პოლოგრამის ტიპის კონცერტს, სადაც მიკუ ციფრული ავატარის მეშვეობით წარსდგა მაყურებელთა წინაშე (კიიქი 2010). (იხ.დანართი 6) თუმცა ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებას და მის რეალობაში ასახვას პირველად ისევ პოლიგურის ფილმებში ვხვდებით. ჯერ ჯორჯ ლუკასის 1977 წელს გადაღებულ „ვარსკვლავთა ომებში“ (*Star Wars*), ხოლო მეორედ 2002 წელს ენდრიუ ნიკოლის მეცნიერული რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „სიმონა“ (*SimOne*), ალ პაჩინოს მონაწილეობით. (იხ.დანართი 7)

ამ გადმოსახედიდან, სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი პოსტმოდერნისტი კოპირებული პერსონაჟები არიან, რომლებიც ჰიპერრეალური სამყაროს, „პოპ კულტურის“ წარმომადგენლები არიან და მათთვის რენესანსული „მაღალი კულტურა“, რომელსაც შექსპირი და მისი „ჰამლეტი“ განასახიერებს, ისევე გაუგებარია, როგორც თანამედროვე ჰიპერრეალური სამყარო, რაღაც როგორც ანდრეას ჰუისენი აღნიშნავს: „თანამედროვე პოსტმოდერნიზმი მოქმედებს ტრადიციასა და ინოვაციას, კონსერვაციასა და განახლებას, მასკულტურასა და მაღალ ხელოვნებას შორის არსებულ დაძაბულობის ველში, სადაც მეორენი უკვე ავტომატურად ადარ აღემატებიან პირველებს“ (ნიკოლი 2002: 66). აქედან გამომდინარე თანამედროვე პოსტმოდერნისტი ხელოვანები და შესაბამისად მწერლებიც გ.წ. „მაღალი კულტურის“ გარდა, არანაკლებ

დაინტერესებულნი არიან ე.წ. „მასკულტურით“ ანუ „პოპ-კულტურით“, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ პირველი არაფრით არის უფრო აღმატებული მეორეზე და პირველი. ამის მკაფიო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ტომ სტოპარდის პიესა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მპვდრები არიან“, სადაც ავტორი წერს არა შექსპირის „პამლეტის“ მთავარ მოქმედ გმირზე, მის შეხედულებებსა თუ იდეალებზე, არამედ მისი მთავარი განხილვის საგანი შექსპირის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ხდება. რენესანსული ეპოქის „მაღალი კულტურის“ გამომხატველი შექსპირის „პამლეტიდან“ კოპირებული მეორეხარისხოვანი, „მასკულტურის“ გამომხატველი პერსონაჟები (თეატრალურ ენაზე რომ ვთქვათ „მასოვკის“ პერსონაჟები) სტოპარდის თეატრისათვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

პიესაში „მაღალი კულტურისა“ და „პოპ-კულტურის“ შესახებ პუისენისეული მოსაზრება როზენკრანცისა და გილდენსტერნისგან პამლეტის პერსონაჟის გათამაშების ეპიზოდშიც ვლინდება.

**-Ros:** ის თავის თავს არ ჰგავს.

**-Guil:** ის ახლა მე ვარ.

(ნაბიჯის ხმა ისმის.)

**-Ros:** მე ვინდა ვარ მაშინ?

**-Guil:** შენივე თავი.

**-Ros:** და ის ვინ არის, შენი თავი?

**-Guil:** სულაც არა.“

( “**Ros:** He is not himself, you know.

**Guil:** I'm him, you see.

(beat.)

**Ros:** Who am I then?

**Guil:** You're yourself.

**Ros:** And he's you?

**Guil:** Not a bit of it. “ (სტოპარდი 1967: 33))

ხელოვნებაში ამგვარი მიმართულების განვითარებაზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ თეატრის მკვლევარებს შორის არ მიმდინარეობს. მაგალითად, კულტურის მკვლევარები სახელოვნებო თუ კულტურულ სფეროებში გართობის ელემენტების ე.წ. „კულტურულ პერფორმანსზე“ (ინგ. performance – შესრულება, წარმოდგენა, გამოსვლა) საუბრობენ და მიაჩნიათ, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ხელოვნების ნიმუშებმა მიატოვეს მუზეუმის კედლები. „პოსტმოდერნისტული კულტურის უმთავრესი მახასიათებელია ყველაფრის პერფორმანსად გადაქცევა: ტექნოლოგიები პერფორმანსია; ხელოვნებას აღარ აქმაყოფილებს მუზეუმის კედლებში დარჩენა; ლიტერატურის კრიტიკოსები საკუთარ ნაშრომებს პერფორმანსად აღიქვამენ; პოლიტიკური და სოციალური განვითარება საზოგადოებრივ ასპარეზზე სრულდება როგორც პერფორმანსი – განსაკუთრებით, ეს ეხება მედიას, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებას საშემსრულებლო სახეს აძლევს“ (კონორი 2004: 99).

პოსტმოდერნისტული ეპოქის „გაპერფორმანსების“ მსგავსი საუბარი შეიძლება დავინახოთ როზენკრანცი და გილდესტერნის და თეატრის მოთამაშე-პროტაგონისტს შორის, სადაც მოთამაშე-პროტაგონისტი პირდაპირ განმარტავს ხელოვნების ამგვარი გარდაქმნის მიზეზს, რაც კიდევ უფრო ამყარებს პიესაში პოსტმოდერნისტული ელემენტების არსებობას და პერსონაჟების კავშირს პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან.

**“-როზ:** მაშასადამე, თქვენ.... მთლად მსახიობები არ ყოფილხართ.

**-პროტაგ:** შეთავსებით ვსახიობობთ, სერ.

**-როზ:** სანახაობებს მართავთ, არა?

**-პროტაგ:** წარმოდგენებს, სერ.

**-როზ:** გასაგებია. ეტყობა ასე უფრო მეტს შოულობთ.

**-პროტაგ:** ასე უფრო მეტს ვიხარჯებით.”

(“**Ros**: You’re not-ah-exclusively players, then?

**Player**: We’re inclusively players, sir.

**Ros**: So you give---exhibitions?

**Player**: Performances, sir.

**Ros**: Yes, of course. There’s more money in that, is there?

**Player**: There’s more trade, sir.” (სტოპარდი 1967: 19))

უილიამ დიმესტესი თავის წიგნში „კომედიის საკითხები შექსპირიდან სტოპარდამდე“ (*Comedy Matters From Shakspeare To Stoppard*) ჰამლეტისა და გარე სამყაროს შესახებ ანალიზისას აღნიშნავს, რომ „იმ იდეალისტურ, სულიერ ცხოვრებას, რომელსაც წიგნებითა და იდეებით გარშემორტყმული ჰამლეტი მისდევს ვიტენბერგში, ეჭვებეშ აყენებს ელსინორის სამეფო კარის დრმად ფიზიკური და თეატრალიზებული ცხოვრება. ამ განსხვავებულ სამყაროთა შეჯახებას კი მივყავართ წარმოდგენების ტრანსფორმაციისაკენ, რაც ფუნდამენტურად ცვლის ჰამლეტის მსოფლმხედველობას“ (დიმესტესი 2008: 44). ანუ ჰამლეტი ცხოვრობდა „მაღალ კულტურულ“, ვინტერბერგისეულ იდეალურ სამყაროში და ემიჯნებოდა ელსინიორის სასახლის ფარისევლურ სამყაროს. შეიძლება ითქვას, ასევეა თანამედროვე რეალობაშიც, სადაც არსებობს ფიზიკური, თეატრალიზებული, ნიდბისებური რეალობა, კარნავალური და გასართობი სიმულაკრული რეალობით, რომელზეც ჯაჭვისებურად მიბმულია საზოგადოებები და ყველაფერს განაგებს, მართავს და განსაზღვრავს ფული. ალბათ ამიტომაც წარმოთქვამს როზენკრანცი შემდეგ სიტყვებს: “Give us this day our daily mask” (სტოპარდი 1967: 28) („ნიდაბი ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“).

როზენკრანცის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც ძალიან ჰგავს სახარებისეულ სიტყვებს “Give us this day our daily bread” („პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“) (მათე 6.11) შესაძლოა თავის თავში გულისხმობდეს შემდეგს: ის სახარებისეული, ქრისტიანული პური, რომელსაც ახალ ადთქმაში იქსო ქრისტეს დანაბარები ლოცვა, „მამაო ჩვენო“ ახსენებს, განკუთვნილია ადამიანის, როგორც ინდივიდის, ერთადერთი და შეუცვლელი სულის

საკვებად, რომელმაც იგი უნდა შეამზადოს რეალური სულისმიერი, იდეალური სამყაროსათვის. როზენკრანცისა და გილდენსტერნის შემთხვევაში ბიბლიური პური ჩაანცავლა ფიზიკური არსებობისათვის საჭირო სიცრუის, გაურკვევლობისა და სიყალბის ნიდაბმა, რაღაც ფიზიკურმა სიმულაკრულმა „იდეალურმა“ რეალობამ ფიზიკური რეალობისათვის ახალი ფიზიკური ლოცვა შექმნა, ფიზიკური „მამაო ჩვენო“ და ახალი „ახალი აღთქმა“ ანუ ახალი „სიმართლე“, ახალი „ჭეშმარიტება“, სადაც ადგილი აქვს სწრაფვას არა ინდივიდუალიზმისაკენ, არა ინდივიდის მოკვდინების გზით ახალი ფიზიკური „იდეალურის“ შექმნისაკენ, სადაც მასობრივი გასართობი თუ კარნავალური რეალობაა, რომელიც შექმნილი და მართულია ზემოთ ნახსენები პოლივუდის, მასმედიის თუ გლობალური ფინანსური ორგანიზაციების მიერ.

მსგავსი კარნავალური ნიდაბი იქნა გამოყენებული 2011 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებზე „დაიკავე ვოლ სტრიტი“, რომელიც ნიუ იორკის, ლონდონისა და ტოკიოს ქუჩებში გლობალური ფინანსური ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო მიმართული. გაი ფოქსის ტიპის ნიდაბი გამოხატავდა რეალობის მიმართ საზოგადოების პროტესტს, ანარქიას, თუმცა ამგვარი პროტესტის ფორმაც თუ სიმბოლიკაც ისევ „ვოლ სტრიტის“ რეალობის ნაწილი იყო, რადგან საზოგადოება არა რეალური რევოლუციური სულისკვეთებით იყო აღტყინებული, არამედ კარნავალური „პერფორმანსის“ ტიპის პროტესტით. თავად „ვ ესე იგი ვენდეტას“ ნიდაბის ღიმილი და ზოგადად მისი პერსონაჟი კი ძალიან ჰგავდა ზემოთ განხილულ ბოდრიარის ნააზრევს, როგორც ღიმილის ასევე ამერიკის და გლობალური მსოფლიო საზოგადოების რეალობის კინემატოგრაფირების კუთხით. ამ აქციების მთავარი სიმბოლოს გაი ფოქსის გაღიმებული სახეც, ხომ პოლიციური კინემატოგრაფიული ველიდან მომდინარეობს და თავად პერსონაჟი ერთგვარ სუპერგმირად, საზოგადოების მსსნელის სიმბოლოდ გვევლინება. „ვოლ სტრიტის“ საპროტესტო აქციების შესახებ მართებულ ანალიზს გვთავაზობს „გარდიანი“, სადაც სტატიის ავტორი აღნიშნავს: „სინამდვილეში, ნიდბის რეალური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე პროტესტი არის გამოცდილი, საკუთარი თავის მცოდნე და ცბიერი. არ არის აუცილებელი, რომ მან თავის ნამდვილი სახე აჩვენოს – და არც აქვს დიდი სურვილები და მოლოდინები. მსოფლიო შეძრა ფინანსური ექსცესების

წინააღმდეგ პროტესტმა, მაგრამ ეს არ არის რევოლუცია – ეს კარნავალია. ის კი არ აყალბებს, არამედ პირიქით უფრო ბრძნულს ხდის მას. ნამდვილი რევოლუცია სისხლიანი, სასტიკი და შეშლილია. კარნავალი კი გასართობია და გზას უხსნის იმგვარ კითხვებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ ისმება ხოლმე. გაი ფოქსი კი გახდა კითხვების კარნავალის მეფე. ავტედობისგან შორს, მისი ნიღაბი მოზეიმე მოქალაქეების სახუმარო გამოსახულებაა“ (გარდიანი 2011).

ამ ტექნოლოგიური ევოლუციისა თუ რევოლუციის გავლენით, ადამიანის მხრიდან სამყაროს აღქმამ, საკუთარი იდენტობის და რაობის დადგენის მცდელობამ პოსტმოდერნისტულ სამყაროსა და საზოგადოებაში ბიბლიური საწყისებიდან ანუ დმურთის სიტყვისადმი რწმენიდან ადამიანის შესაძლებლობებისადმი რწმენაზე გადაინაცვლა. ეს მოვლენა, როგორც ცნობილია, რენესანსის ეპოქაში იდებს დასაბამს, მაგრამ რომანტიზმის ეპოქაში, უფრო კონკრეტულად კი – ბაირონის შემოქმედებაში კიდევ უფრო საინტერესო სახე მიიღო, რადგან ერთი მხრივ ბიბლიური კაენიდან, ჩამოყალიბდა მოაზროვნე ლოგიკოსი, ბაირონის „კაენი“ და მეორე მხრივ კი ზეადამიანური შესაძლებლობების მქონე, მეცნიერული და ჯადოქრული უნარების მქონე „მანფრედი“. ამ პერსონაჟების გამგრძელებელნი თანამედროვე პოსტმოდერნისტულ სამყაროში, მის „პოპ-კულტურულ“ თუ კინემატოგრაფიულ ველში ისეთი პერსონაჟების გამოჩენაა, როგორებიც არიან ყოვლისშემძლე სუპერმენი, ბეტმენი, თუნდაც გაი ფოქსის თანამედროვე გააზრება და სხვა პოლივუდური პერსონაჟები. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში თანამედროვე ადამიანის მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა რწმენამ თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაზეც დიდი ზეგავლენა იქონია. სუზან სონთაგი საკუთარ ესეში „ერთი კულტურა და ახალი შეგძნებები“ მართებულად აღნიშნავს: „დღევანდელი ხელოვნება, სიმშრალეზე თავის დაუინებით, მისი უარით იმაზე, რასაც იგი თვლის სენტიმენტალურად, თავისი სიზუსტის სულიკვეთებით, „პვლევისა“ და „ამოცანების“ მისეული შეგრძნებით უფრო ახლოს დგას მეცნიერულ სულთან, ვიდრე ხელოვნების სულთან, ამ უკანასკნელის ძველმოდური გაგებით“ (ნიკოლი 2002: 156). ანუ პოსტმოდერნისტული ხელოვნების და შესაბამისად, ლიტერატურის ერთ-ერთი მახასიათებელია მეცნიერული სულისა და აზროვნებისადმი რწმენა. ამ მეცნიერული რწმენის, მეცნიერული სულის მრავალი მაგალითის ჩამოთვლაა

შესაძლებელი სტოპარდის შემოქმედებიდან, (მაგალითად, „მოხტუნავენი“ ან კიდევ „არკადია“, რომელშიც მოქმედება თანამედროვე ეპოქის პარალელურად რომანტიზმის ეპოქაშიც მიმდინარეობს, სადაც ბაირონი და მისი შემოქმედებაც ფუნქციონირებს) თუმცა ამჯერად ყურადღების ფოკუსირებას მისი პიესისა და ფილმის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ გარშემო მოვახდენ. რაღაც კონკრეტული ისტორიული მოვლენის განმეორებადობის ჩვენებით, კოპირებითა და პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ირონიით, „პასტიშით“ როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებლის გამოყენებით, (რომელსაც ფრედრიკ ჯეიმსონი შემდეგნაირად განმარტავს: „პასტიში, ისევე როგორც პაროდია, არის განსაკუთრებული, უნიკალური, იდიოსინკრეტული სტილის იმიტაცია, ლინგვისტური ნილბის ტარება, მკვდარი ენით მეტყველება. მაგრამ ის არის ასეთი იმიტაციის მხოლოდ ნეიტრალური პრაქტიკა, პაროდიისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი ფარული მოტივების გარეშე... ამგვარად, „პასტიში“ არის გამოცარიელებული პაროდია, ქანდაკება ბრმა თვალის კაპლებით“ (კონორი 2004: 105)) სტოპარდი საკუთარი ფილმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდში, როცა მთავარი მოქმედი გმირები ელსინიორის სასახლის ეზოში იმყოფებიან, ხიდან ჩამოვარდნილ ვაშლს როზენკრანცს ახვედრებს თავში, რის შემდეგაც როზენკრანცი ამ ვაშლს მიირთმევს. (იხილეთ დანართი 9) ეს ეპიზოდი ირონიული კოპირებით ერთი მხრივ მოგვაგონებს ადამის და ევას ცოდნის ხეს და მეორე მხრივ ცნობილი მეცნიერის ისააკ ნიუტონის რევოლუციურ აღმოჩენას. ფილმში ეს ეპიზოდი სხვა ფაქტორების გამოც არის გამოსარჩევი, კერძოდ, იმ კონტექსტან მიმართებაში, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი. ამ ეპიზოდით ავტორი თითქოს მიანიშნებს, რომ თანამედროვე ადამიანისთვის სამყაროს ნიუტონისებურმა ანუ მექანიკურ-დეტერმინისტულმა აღქმამ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორიც ჰქონდა სამყაროს ბიბლიურ აღქმას. სხვა სიტყვებით, სტოპარდმა ნიუტონის ანეკდოტის (ვაშლის როზენკრანცის თავზე მოხვედრის ეპიზოდის) ბიბლიურ ალუზიასთან (ადამისა და ევას მიერ ვაშლის ჭამის ეპიზოდთან) გათანაბრებით გამოყო და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიო უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება სამყაროს არა ბიბლიური, არამედ მეცნიერულ-ტექნოლოგიური აღქმისგან.

ტომ სტოპარდს, როგორც პოსტმოდერნისტ ავტორსა და უილიამ შექსპირს, როგორც რენესანსული ეპოქის ავტორს შორის კავშირის დადგენა ერთი შეხედვით რთული არ უნდა იყოს, რადგან სტოპარდის პიესის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ მთავარი მოქმედი გმირები ხომ შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟებიც არიან და სტოპარდის გმირების კავშირი თავად შექსპირის „ჰამლეტთან“ ხომ ყველასათვის ნათელია; მაგრამ საინტერესოა, არის თუ არა ეს მარტივი მსგავსება, ან არის თუ არა ეს უბრალოდ თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის მხრიდან შექსპირის „ჰამლეტის“ სიუჟეტისა და გმირების საკუთარი პიესის სიუჟეტისათვის გამოყენების მცდელობა. ან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე დრამატურგიას და არა მხოლოდ დრამატურიგიას, არამედ ზოგადად თანამედროვე სამყაროს რენესანსულ კულტურასა და აზროვნებასთან?

ამ დაკვირვების საფუძველი გახდა უმბერტო ეკოს ესე „შუა საკუნეების დაბრუნება“ (ეკო 1998: 68), სადაც ეკო საუბრობს პოსტმოდერნიზმისა და შუა საუკუნეების ერთმანეთთან კავშირზე. „შუა სააკუნეები არის სათავე ჩვენი თანამედროვეობის ყველა „ცხელი“ პრობლემისა და გასაკვირი არც არის, რომ ჩვენ ამ პერიოდს ვუბრუნდებით ყოველთვის, როცა თავს ვუსვამთ შეკითხვას საკუთარი წარმოშობის შესახებ“ (ეკო 1998: 65). ვფიქრობ, ეს ციტატა განმარტავს იმ ჩანაფიქრს, რომელიც ჩადებულია ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმი „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“, სადაც ჰიპერრეალურ სამყაროში შეგდებული მთავარი გმირები ცდილობენ საკუთარი იდენტობის გარკვევას, საკუთარი როლისა და არსის დადგენას შექსპირის გპოქასა და მის თეატრში შესვლის გზით. გავიხსენოთ თეატრის დასისა და როზენკრანცისა და გილდენსტერნის შეხვედრის ეპიზოდში როზენკრანცის შეკითხვა: „და ვინ ვართ ჩვენ?“ (“And who are we?”) (სტოპარდი 1967: 16) თეატრალური დასის ხელმძღვანელისა და მოთამაშე-პროგრამისტისადმი (the Player), რომელიც ფილმის მიხედვით ძალიან ჰგავს თავად უილიამ შექსპირს, ანუ როზენკრანცი და გილდენსტერნი საკუთარ თავს შექსპირის თეატრში ეძებენ. რატომ შექსპირის თეატრში? ალბათ იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი შექსპირის „ჰამლეტის“ გმირებიც არიან; თუმცა სტოპარდის პიესაში მათი ყოფნა და არსებობა კიდევ უფრო ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს იმ კუთხით, რომ თუ

სტოპარდის პიესის მთავარი მოქმედი გმირები შექსპირის ეპოქის, შექსპირის „ჰამლეტის“ გმირები არიან, მაშინ როგორდა არის ტომ სტოპარდის ეს პიესა პოსტმოდერნისტული ან ამ პიესის გმირები პოსტმოდერნისტული ეპოქის გმირები?

კითხვას „არიან თუ არა როზენკრანცი და გილდენსტერნი თანამედროვე, პოსტმოდერნისტი გმირები?“ თავად ტომ სტოპარდი საკუთარი პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ უამრავი ეპიზოდის მეშვეობით პასუხობს დადებითად. ამ უამრავი ეპიზოდიდან აღვნიშნავ რამდენიმეს. პირველი, პიესის მთავარი გმირები თანამედროვე ინგლისურით საუბრობენ, განსხვავებით შექსპირის „ჰამლეტის“ რეალობის სხვა პროტაგონისტებისგან. მეორე, ეპიზოდი, როცა ფილმის დასაწყისში მონეტების ეპიზოდის გაანალიზებისას, მთავარი გმირების ტყეში შესვენებისა და საუბრისას როზენკრანცი ჯიბიდან იღებს საგზალს და აკეთებს ჰამბურგერს, მაკდონალდსის „ბიგ მაკის“ მსგავს ჰამბურგერს (მაკდონალდსისა და „ბიგ მაკის“ სიმბოლოზე როგორც პოსტმოდერნისტული ეპოქის ერთ-ერთ სიმბოლოზე ასევე უამრავი არგუმენტირებული მოსაზრებები აქვს უმბერტო ეკოს თავის ესეთა კრებულში „ყალბის რწმენა: მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“) და მესამე – ეპიზოდი უკვე ელსინორში ყოფნისას, სადაც ისევ როზენკრანცი ქაღალდისგან ამზადებს თვითმფრინავს და ელსინორის სასახლეში უშვებს, მაგრამ ეს ქაღალდის თვითმფრინავი მას უკანვე უბრუნდება. (იხილეთ დანართი 10)

ძალიან საინტერესოა ეს ეპიზოდი, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება ზემოთ მოყვანილ უმბერტო ეკოს სიტყვებსაც, ანუ როზენკრანცი და გილდენსტერნი – თანამედროვე პერსონაჟები, რასაც „ბიგ მაკის“ ჭამის ეპიზოდთან ერთად თვითმფრინავის შესახებ ცოდნაც ადასტურებს. როზენკრანცი და გილდენსტერნი საკუთარი რაობის დადგენის მიზნით ცდილობენ შევიდნენ საკუთარ წარსულში, რასაც შექსპირის „ჰამლეტის“ სამყარო და ელსინორის სასახლე წარმოადგენს. ისევ უმბერტო ეკო წარსულის მნიშვნელობაზე ამბობს: „ამგვარად, ჭვრეტა შუასაკუნეებში ნიშნავს ჭვრეტას ჩვენს ყრმობაში, რაც იგივეა, ექიმი რომ გვეკითხება ჩვენი ბავშვობის შესახებ, რათა დაადგინოს ჩვენი ამჟამინდელი ჯამრთელობის მდგომარეობა, ან როცა ფსიქოანალიტიკოსი ატარებს პირველადი სცენის ფრთხილ გამოკვლევას, რომ ჩაწვდეს ჩვენი ამჟამინდელი ნევროზის არსე“

(ექო 1998: 65). ასევე საინტერესოა ის წრე, რომელსაც ფილმში როზენკრანცის მიერ გაშვებული თვითმფრინავი ხაზავს. წრიულობაზე მინიშნება, რა თქმა უნდა, დაკაგვირებულია „აბსურდის თეატრთან“, რომლის დიდ გავლენას ბეკეტის და პინტერის სახით თავად ტომ სტოპარდიც განიცდიდა და განიცდის; (როგორც ჯილ ლევენსონი აღნიშნავს: „სტოპარდის ალუზიათა ქსელში, შექსპირს უკავია ადგილი არა მხოლოდ წარსულის დიდ ხელოვანებს შორის, არამედ სტოპარდის თანამედროვე უაილდს, ბეკეტსა და პინტერს; ჯოსა და ბაიეტს; ვორდსვორთს, ტენისონს, ტ.ს. ელიოტსა და პოპულარული მუსიკის სასიმღერო ტექსტებს შორის...“ (ქელი 2001: 156)) მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ სიმბოლოს, ის დატვირთვაც აქვს, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ანუ ქადალდის თვითმფრინავის მიერ წრის შეკვრით სტოპარდმა შეკრა კავშირი პოსტმოდერნისტულ სამყაროსა (რომელსაც სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი წარმოადგენენ) და რენესანსულ სამყაროს შორის (რომელსაც შექსპირის პიესა „ჰამლეტი“ და ელსინორის სასახლე განასახიერებს). ამგვარი კავშირი 2012 წელს „ბრიტანეთის მუზეუმში“ შექსპირის ნაწარმოებების გამოფენისთვის დამზადებულ ვიდეო რგოლშიც კარგად ჩანს, სადაც ვიდეო რგოლის რეჟისორი შექსპირის გმირებს თანამედროვე ლონდონის ქუჩებში ასეირნებს და ბოლოს „ბრიტანეთის მუზეუმისაკენ“ მიმართავს, რითაც იგი აღნიშნავს, არა მხოლოდ შექსპირის გამოფენას თანამედროვე ლონდონში, არამედ ამ ორი ეპოქის ერთმანეთთან კავშირსაც. (იხ. დანართი 11)

სამეცნიერო სტატიების კრებულის „პოსტმოდერნიზმი და თანამედროვე რომანის“ (*Postmodernism and The Contemporary Novel*) რედაქტორი ბრენ ნიკოლი საკუთარი რედაქციით გამოცემული კრებულის შესავალ სიტყვას „რას გვულისხმობთ, როცა პოსტმოდერნიზმზე ვსაუბრობთ“ ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსის რობერტ სქოულზის სიტყვებით იწყებს: „ერთ დროს ჩვენ ვიცოდით, რომ მხატრული ლიტერატურა ეხებოდა ცხოვრებას, ხოლო კრიტიკა მხატრულ ლიტერატურას, და ყველაფერი მარტივად იყო. ახლა ვიცით, რომ მხატრული ლიტერატურა ეხება სხვა მხატრულ ლიტერატურას, ანუ ის რეალურად არის კრიტიკა, ან მეტათხულება. და ჩვენ ვიცით, რომ კრიტიკა ეხება შეუძლებლობას იმ ყველაფრისა, რაც ეხება ცხოვრებას, მართლაც, ან მხატრულ ლიტერატურასაც კი, ან ბოლოს და

ბოლოს – ყველაფერს. კრიტიკამ წაიდო ჩვენგან „შესახებობის“ ცნება. იგი გვასწავლის, რომ ენა არის ტავტოლოგიური, თუ საერთოდ აბდაუბდა არა, და რამდენადაც ის ეხება რაიმეს, იმდენად ეხება საკუთარ თავს. მათემატიკა ეხება მათემატიკას, პოეზია – პოეზიას, ხოლო კრიტიკა – საკუთარი არსებობის შეუძლებლობას“ (ნიკოლი 2002: 1).

რობერტ სქოულზის ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი მკაფიოდ გამოხატავს პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც „მეტას“ გარშემო ერთიანდება. ეს იქნება „მეტაპოეზია“, „მეტაენა“, „მეტამათემატიკა“ თუ „მეტათეატრი“. სტოპარდის „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდრები არიან“ „მეტათეატრის“ ტექნიკის თვალსაჩინო მაგალითია. მართალია ამგვარ ტექნიკას შექსპირიც იყენებს „ჰამლეტში“, როგორც მეტაფორას „სამყარო სცენაა, ხოლო ადამიანები ამ სცენაზე მოთამაშე მსახიობები“, რომელსაც შექსპირი „ჰამლეტში“, „გონზაგოს მკვლელობის“ ეპიზოდში მიმართავს, სადაც თეატრის საშუალებით ვლინდება დანიაში დაბუდებული ტყუილი, რაც ესმარება ჰამლეტს საბოლოოდ დარწმუნდეს ბიძის დანაშაულში, თუმცა სტოპარდთან სულ სხვაგვარად არის. როგორც ზემოთ ავღნიშნე როზენკრანცი და გილდენსტერნი საკუთარი რეალობის და იდენტობის დასადგენად თეატრს მიმართავენ. „ჰამლეტის“ მსახიობების მიერ ნათამაშები „გონზაგოს მკვლელობისაგან“ განსხვავებით ისინი, არა რეალური რეალობის გასაგებად, არამედ საკუთარი ფიქციური ანუ „ჰამლეტისეული“ რეალობით შედიან საკუთარ რეალობაში, რომელიც რეალურად ფიქციაა, მხატრული ნაწარმოები ანუ შექმნილი მხატრული რეალობა. ამიტომაც პასუხობს გილდენსტერნი როზენკრანცს, რომ მოჟმას და ისიამოვნოს იმით, რაც ხდება, რადგან მათი საქმე დაწერილი და გადაწყვეტილია (სტოპარდი 1967: 29).

შექსპირისეული მეტაფორა „სამყარო სცენაა“ სტოპარდის პიესაში იმავე იდეური ძალის მატარებელია, როგორც ეს შექსპირის „ჰამლეტში“ თუ „როგორც გენებოთშია“ (*As You Like It*), თუმცა შექსპირის გმირებისაგან განსხვავებით, სტოპარდის გმირების რეალობა ფიქციაა და შესაბამისად „მეტათეატრი“ არა რეალობაზე, არამედ ისევ თეატრზე. როზენკრანცი და გილდენსტერნის თეატრი და სცენა სარკეა გარე სამყაროსი, რომელიც კინემატოგრაფირებული, ჰოლივუდური სამყაროს რეალობის ნაწილად არის

ქცეული და შექსპირისეული „სამყარო სცენაა“ სტოპარდთან გვევლინება, როგორც „სამყარო სცენაა, ხოლო ჩვენ ადამიანები ამ სცენაზე დადგმულ ნაწარმოებში შექმნილი დრამის მონაწილე პერსონაჟები“. სტოპარდს ალბათ ამიტომაც შემოჰყავს თეატრი პიესის დასაწყისში და არა შუაში, როგორც ამას შექსპირი „ჰამლეტში“ აკეთებს. ანუ პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მახასიათებლის „მეტათეატრის“ ტექნიკის გამოყენებით სტოპარდი არა მხოლოდ მისი ნაწარმოების პოსტმოდერნულობაზე მიუთითებს, არამედ ანგითარებს შექსპირული მეტაფორის „სამყარო სცენაას“ მხატრულ გააზრებასაც და გვიჩვენებს, რომ თუ „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ პოსტმოდერნისტული ნაწარმოებია (რაზეც ზემოთ განხილულ მახასიათებლებთან ერთად „მეტა“ ტექნიკის გამოყენებაც გვარწმუნებს) მაშინ მისი პიესა, მისი თეატრი შექსპირული მეტაფორის მიხედვით თანამედროვე სამყაროზეა, შესაბამისად სტოპარდის გმირები თანამედროვე სამყაროში მაცხოვებელი გმირები არიან, რომელთა რეალობა ფიქციურია.

საინტერესო ის თუ, როგორ ახდენს სტოპარდი პოსტმოდერნისტი გმირების, როზენკრანცისა და გილდენსტერნის რენესანსული ეპოქის შექსპირის გმირებთან ერთ სათამაშო არეალში მოქცევას, ან როგორ ხდება სტოპარდის მხრიდან პიესაშიც და ფილმშიც (რომელშიც უფრო მკაფიოდ არის გამოხატული) „მეტათეატრის“ მხატრული ხერხის გამოყენება, სადაც თანამედროვე გმირები სხვა ეპოქის თეატრის სცენასა თუ პიესაში ყოფნასთან ერთად, იმ ეპოქაში გათამაშებულ ფიქციურ რეალობაშიც გვევლინებიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფიქცია რეალობაში, რეალობა კი ფიქციაში ირეც. მით უფრო, რომ როზენკრანცის და გილდენსტერნსაც „ჰამლეტის“ რეალობაში შესვლამდე მოვლენების განმეორებადოების შეგრძნება აქვთ, თითქოს ისინი უკვე იყვნენ იმ ადგილას და ასრულებდნენ იმავე მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც მათ სტოპარდის პიესაში უწევთ.

**„გილ:** ფულაობანას ვთამაშობთ იქნება უკვე... მოკლედ, დღეს პირველად ხომ არ ვთამაშობთ?

**-როზ:** რა თქმა უნდა, არა... რაც თავი მახსოვს, სულ ვთამაშობთ.“

(“**Guil**: We have been spinning coins together since---This is not the first time we have spun coins!

**Ros**: Oh no---we've been spinning coins for as long as I remember.” (სტოპარდი 1967: 9))


სტოპარდის გმირების დროში მოგზაურობას მხოლოდ „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიანში“ არ ვხვდებით, არამედ ეს თემა „არქადიას“ დასასრულსაც ვლინდება, სადაც თანამედროვე ეპოქის სცენაზე ორივე ეპოქის, რომანტიზმისა და თანამედროვე ეპოქის გმირები ერთ სივრცეში, ერთ სცენაზე ერთად გამოდიან, ისევე, როგორც „პაროდისტებში“, სადაც ერთმანეთში ირევა სტოპარდის პიესის გმირების სათამაშო როლები და ოსკარ უალდის „როგორი მნიშვნელოვანია იყო სერიოზულის“ (*The Importance of Being Earnest*) პროტაგონისტების როლები.

ამ საკითხის უფრო მეტად გასაგებად, შედარებისთვის გამოვიყენებ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის ვუდი ალენის მოთხრობას „პუბელმასის შემთხვევას“, სადაც მოთხრობის მთავარი გმირი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სიტიკოლეჯის ლიტერატურის პროფესორი მისტერ კუბელმასი, პირველი უილბლო ქორწინების შედეგად ორი მოსულელო ვაჟიშვილის ალიმენტების ხდით გადაღლილი და მეორე ცოლის დაფნა კუბელმასის თავქარიანი ხასიათისგან ღონებისდილი, ახალი სასიყვარულო ისტორიებისა და რომანების სურვილით საკუთარი თავბრუდამხვევი ოცნებების ასასრულებლად, ტექნოლოგიური ჯადოქრობის მეშვეობით, 20 დოლარის გადახდის შედეგად აღმოჩნდება ჯადოსნურ კარადაში, სადაც სასურველი წიგნის მოთავსების შემთხვევაში კარადაში მყოფი ადამიანი, იქ მოთავსებული წიგნის რეალობაში ტრანსპორტირდება და სასურველი წიგნის პერსონაჟად გარდაისახება. მისტერ კუბელმასის სასურველი რომანი „მადამ ბოვარი“ გახდა, სადაც ის შარლისა და ემას საძინებელში აღმოჩნის შემდეგ სასიყვარულო რომანს აბამს ემა ბოვარისთან, რომელთან ერთადაც დროს ატარებს არა მხოლოდ რომანის რეალობაში, არამედ თანამედროვე სამყაროშიც. იმავე ჯადოსნური კარადის დახმარებით იგი ემა ბოვარის თანამედროვე ნიუ იორკში წამოყვანას ახერხებს და მასთან ერთად ფეშენებელურ სასტუმრო „პლაზაში“ ნებივრობით არის დაკავებული (ხვედელიძე 2005: 81).

იგივე შეიძლება ითქვას სტოპარდის ფილმის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ და პიესა „არკადიას“ შესახებაც, სადაც ვუდი ალენისეულ კარადის ფუნქციას ამ შემთხვევაში სტოპარდისეული თეატრი და სცენა განასახიერებს. როზენკრანცის და გილდენსტერნის სცენაზე ასვლის და მონეტის ანუ ფულის „თოხარის“ („რეშას“) (“tails”) მხარის გათამაშების შემდეგ, რომელსაც წინ მონეტებით თამაში უსწრებდა, სცენაზე ფურცლების ფრიალი იწყება, რომელიც ალენის კარადაში წიგნის არსებობის მსგავსად, პერსონაჟების სხვა სამყაროში, ფურცლებზე დაწერილ სამყაროში გარდასახვისაკენ მიგვითოთებს, ამ შემთხვევაში რენესანსის ეპოქის შექსპირის „პამლეტი“. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ როზენკრანცი და გილდენსტერნი ამგვარი მხატვრული ხერხის მეშვეობით გარდასახული რეალობის ანუ „პამლეტის“ პერიოდის თეატრის სცენაზე გამართული „გონზაგოს მკვლელობის“ და „პამლეტის“ წარმოდგენის როგორც მაყურებელნი და დამკვირვებელნი, ასევე მონაწილე-მსახიობებიც არიან, რადგან ისინი სპექტაკლის მსვლელობისას იმავე სცენის უკანა პლანზე იმყოფებიან, სადაც თამაშდება მათი როლები, ისევე, როგორც პიესის მიხედვით გადაღებული ფილმის სხვა ეპიზოდშიც, სადაც თეატრალური დასის მიერ გათამაშებულ „გონზაგოს მკვლელობის“ რეპეტიციისას სცენის უკანა ნაწილიდან უცაბედად სცენაზე პამლეტისა და ოფელის შემოჭრაა ასახული, სადაც ირდვევა „პამლეტისა“ და „გონზაგოს მკვლელობის“, როგორც ნაწარმოების რეალობისა და ნაწარმოების ფიქციის ზღვარი. ეს ვლინდება სტოპარდის მთავარი გმირების „პამლეტის“ რეალობაში გადასვლის სახითაც. (იხილეთ დანართი 12)

„არკადიას“ შემთხვევა კი პირიქით არის. ემა ბოვარის თანამედროვე ეპოქაში გადმოსვლის მსგავსად, რომანტიზმის ეპოქის გმირები თანამედროვე ეპოქის სცენაზე თანამედროვე პერსონაჟების გვერდით ჩნდებიან, რაც მაყურებელსა თუ მკითხველში ქმნის აზრს, რომ ორივე ეპოქის გმირები პოსტმოდერნისტული თეატრალური სცენის ერთ რეალობაში, თანამედროვე რეალობაში იმყოფებიან, ხოლო თუ ამას რომანტიკული ეპოქის მაყურებელთა თვალით შევხედავთ, ისინი იფიქრებდნენ პირიქით, რომ თანამედროვე ეპოქის გმირები რომანტიზმის ეპოქაში აღმოჩნდნენ, რადგან თანამედროვე პერიოდის პროტაგონისტებიც რეგენტის სტილის სამოსელით არიან შემოსილნი.

ქვემოთ მოცემული სქემა სტოპარდის თეატრის როგორც დროის მანქანის იდეის გაგების მცდელობაა, რომელიც ლიტერატურულ გმირებს სხვადასხვა ეპოქასა და ნაწარმოებს შორის მოგზაურობით უზრუნველყოფს.



წინამდებარე სქემა მცდელობაა ნათელი მოპფინოს ზემოთ დასმულ კითხვებს თუ როგორ მოძრაობებ ლიტერატურული გმირები სხვადასხვა ეპოქის სცენიდან სცენაზე და ამასთან ერთად როგორი წრიულობაა გმირების ამგვარ მოძრაობაში.

როგორც სქემიდან ჩანს ნახაზის შუაში სცენაა, რომელსაც შეიძლება მარადიული, უდროო სცენა ვუწოდოთ. ე.წ. ზედროული სცენის გარშემო კი წრიული გზაა, რომლის გარშემოც მოძრაობებ სტოპარდის გმირები. წრიულობაში ვლინდება არა მხოლოდ სტოპარდის თეატრის კაგშირი ბეკეტის, პინტერის თუ იუნესკოს აბსურდის თეატრის პრინციპებთან, არამედ მთავარი გმირების მხრიდან მოვლენების განმეორებადობის განცდაც.

სქემაზე მოცემული მარადიული სცენის გარშემო ნაჩვენებია კონკრეტული ეპოქები, რომელსაც კონკრეტული ეპოქის პერიოდის სცენა აქვს, სადაც კონკრეტული ეპოქის ესთეტიკის თუ მსოფლმხედველობრივი წარმოდგენით მიმდინარეობს ესა თუ ის პიესა თუ ლიტერატურული ნაწარმოები ან თუნდაც იმ ეპოქის რეალური ყოფა. მაგრამ ამგვარი ეპოქის თეატრალურ სცენასა თუ რეალობაში სხვადასხვა ლიტერატურული გმირებიც ჩნდებიან, რომელთა იქ არსებობა კონკრეტული ეპოქისათვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორც ეს სტოპარდთან იმავე როზენკრანცი და გილდენსტერნის შექსპირის სცენაზე პამბურგერის, თვითმფრინავის თუ თანამედროვე ინგლისური ენის ცოდნის ეპიზოდებით არის ნაჩვენები.

ამგვარად პოსტმოდერნისტულ ეპოქაში მოქმედი სტოპარდის თეატრი, პოსტმოდერნისტული ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა ეპოქების ლიტერატურული ნაწარმოებების სცენებიდან პერსონაჟების კოპირებით, ახდენს საკუთარი თეატრის თუ ლიტერატურული ნაწარმოების და პერსონაჟების შექმნას, რომლებიც იმავდროულად სხვა ეპოქის პერსონაჟებიც არიან. ამიტომ მათი მოგზაურობა საკუთარი ისტორიული რეალობის თეატრალურ სცენაზე, ერთი მხრივ ბუნებრივია, თუმცა მეორე მხრივ გასაკვირიც, რითაც თანამედროვე მაყურებლის თვალწინ პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მხატვრული ხერხი მეტა-თეატრი თამაშდება.

თუმცა საინტერესოა ის უმთავრესი ზედროული სცენის დატვირთვა, რომლის გარშემოც მიდი-მოდიან პერსონაჟები კონკრეტული ეპოქის კონკრეტულ სცენაზე. ეს ზედროული სცენა ის იდეალური, პირველი, მარადიული სცენაა, რომლის ცქერიდანაც შექმნა პლატონის დემიურგოსმა ის სამყარო, რომელსაც ჩვენ რეალობას, ხოლო შექსპირი, „სამყაროს სცენას“ უწოდებს, რომელზეც ჩვენ ადამიანები მსახიობების როლს ვასრულებთ. ამიტომაც არის ერთი დიდი სცენის გარშემო პატარ-პატარა ეპოქალური სცენები.

სტოპარდის ფილმი „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ ხომ მთავარი გმირების გზაზე სვლით იხსნება, გზა, რომელიც წარსულს აწმყოსთან ან კიდევ პირიქით აწმყოს წარსულთან აკავშირებს, რომელიც ზემოთ მოყვანილი ნახაზის მიხედვით დემიურგოსული მარადიული სცენის

გარშემოა გავლებული. მთელი დრამა მას შემდეგ იწყება, როცა მთავარ გმირებს იმავე გზაზე თეატრი ხვდებათ, საიდანაც იწყება პიესის იმგვარი რეალობის შექმნა, რომელსაც ჩვენ პოსტმოდერნიზმი ვუწოდეთ და საიდანაც ისინი გარდაისახებიან „პამლეტის“ რეალობაში, რომელიც იმავე გზაზე, იმავე თეატრის სცენაზე მიმდინარეობს, რომელიც პიესის დასაწყისში დაიწყო. (იხილეთ დანართი 13) საფიქრებელია რომელი ეპოქის სცენა იქნება ამ გზაზე მოსიარულე თეატრის შემდეგი გაჩერება.

ამგვარად წინამდებარე თავის კვლევამ აჩვენა, რომ პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა დიდ გავლენას ახდენს, როგორც სტრარდის შემოქმედებაზე, ასევე თანამედროვე ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და სოციალურ ყოფაზე. ამგვარი გავლენა გამოიხატება თანამედროვე ცხოვრებაში რეალობის დადგენის პრობლემურობაშიც, ორიგინალის ასლისაგან გარჩევის, ტყუილის ჭეშმარიტებისგან განსხვავების საქმეშიც. ამგვარი გაურკვევლობის და ქაოსის შექმნას პოსტმოდერნისტულ სამყაროში ტექნოლოგიაზე დამყარებული მეცნიერება და მასმედია განაპირობებს, რომლის მიკროკოსმოსად ამერიკა, კალიფორნია, უფრო ზუსტად კი პოლივუდი გვევლინება. ამგვარმა მიკროკოსმოსმა თანამედროვე რეალობის კინომატოგრაფიულება მოახდინა, რაც გულისხმობს რეალური რეალობის კინოს რეალობით ჩანაცვლებას, სინამდვილის ფიქციით გარდაქმნას ანუ ეკრანის რეალობა იქცა სინამდვილედ.

კვლევამ გვიჩვენა, რომ პოლივუდის და კინოს მსგავსად სიმულაციური სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი „დისნეის სამყაროცაა“, სადაც ადამიანი სხვადასხვაგვარი ფიქციური სინამდვილის ნაწილად იქცევა და პირიქით, იქმნება ისეთი პირობები, როცა შესაძლებელია დისნეის და კინოს ფიქციური გმირები რეალურ გმირებად იქცნენ. უფრო მეტიც, დისნეის პარკის სამყაროში რეალური ადამიანები უფრო ფიქციურია, ვიდრე მართლაც გამოგონილი, ფიქციური გმირები. შესაბამისად, დისნეის და პოლივუდის მიერ შემოთავაზებული სინამდვილე მომავლის მიკრომოდელს წარმოადგენს. ამგვარი პიპერრეალობის შექმნაზე ტრანსნაციონალური ფინანსური ორგანიზაციებიც ზრუნავენ. დისნეის მიკროსამყაროს მსგავსად, არსებულ პიპერრეალურ ყოფაში ადამიანის ცხოვრების, მისი თავისუფლების,

განათლების და ინდივიდუალიზმის სარისხის განმსაზღვრელ ფაქტორად ფული იქცა.

შესაბამისად, სტოპარდის პიესის გმირების, როზენკრანცისა და გილდენსტერნის ინტერესი რენესანსის ეპოქისა და შექსპირის „ჰამლეტის“ მიმართ, თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შექმნილი ქაოსურობით, არარეალურობით და გაურკვევლობით მოტივირებული ქცევის ზუსტი ასახვა, რადგან ახლა ადამიანები უკვე ვეღარ არ კვევენ სად არის და რა არის მათი ნამდვილი (ჭეშმარიტი) სინამდვილე. აქედან გამომდინარე, სტოპარდის მთავარი გმირების ინტერესი და რენესანსისკენ მიბრუნების მცდელობა ჭეშმარიტის, გაუყალბებელის ძიებას ასახავს, რომელიც თავად გმირებისათვის მაინც ფიქცია.

კვლევაში დასაბუთებულია სტოპარდის პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ პოსტმოდერნისტული ელემენტების არსებობა და გმირების კავშირს პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან, რაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს სტოპარდის იმავე სახელწოდების ფილმში, კერძოდ:

1. მიუხედავად იმისა, რომ პიესაც და ფილმიც შექსპირის ეპოქას ასახავს, მთავარი პერსონაჟები თანამედროვე ინგლისურით მეტყველებენ;
2. ფილმში როზენკრანცის ჭამის ეპიზოდში „ბიგ მაკის“ მსგავსი ჰამბურგერი ჩნდება;
3. ფილმში ჩანს რომ შექსპირის ეპოქაში მცხოვრებმა როზენკრანცმა იცის თვითმფრინავის არსებობის შესახებ;
4. გმირების მიერ მონეტების აგდების ეპიზოდში მინიშნებულია პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ფულის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, როგორც ადამიანთა ცხოვრების საზრისულად განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორზე.

თუმცა ის მთავარი, რაც ამ ორი ეპოქის კავშირს ქმნის არის რენესანსული ეპოქის დრამის „ჰამლეტის“ და პოსტმოდერნისტული ეპოქის დრამის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ მსატრული გააზრება, რაც შემდეგში მდგომარეობს: პოსტმოდერნისტული ლიტერატურისა და ეპოქისათვის, შექსპირისეული „მაღალი კულტურის“ გამომხატველი „ჰამლეტი“ და ჰამლეტური იდეები გაუგებარი და ხშირ შემთხვევაში მიუდებელი

აღმოჩნდა, რადგან პოსტმოდერნისტულ კულტურულ სივრცეში „პოპ-კულტურა“, იგივე „მასკულტურა“ შექსპირისეულ „მაღალ კულტურას“ გაუთანაბრდა, რაც კარგად არის ნაჩვენები სტოპარდის პიესაში. სტოპარდის მთავარი გმირი არა ჰამლეტი და მისი იდეებია, არამედ „ჰამლეტის“ ეპიზოდური („მასობრივი“) პერსონაჟები, რომლებიც „დაბალი კულტურის“ მხატვრული რეპრეზენტაციას წარმოადგენენ. სტოპარდის თანამედროვე გმირები „მაღალი კულტურის“ პერსონაჟების ასლებია. სტოპარდის პიესაში პოსტმოდერნისტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი „პერფორმანსი“ მოთამაშებმირის თეატრის სახით არის ნაჩვენები. ამგვარი „პერფორმანსისთვის“ საჭიროა ნიღაბი, რომლითაც მთავარი გმირები სახარებისეულ „მამაო ჩვენოს“ ლოცვას ანაცვალებენ. აქ კარგად ჩანს თუ როგორ ხდება პოსტმოდერნისტულ ხელოვნებისა და ეპოქაში სინამდვილის კარნავალად გადაქცევა.

პოსტმოდერნიზმის ელემენტების არსებობა ვლინდება არა მხოლოდ პერსონაჟების კოპირებასა და პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი წარსულის ირონიზებაში, ასევე „პასტიშის“ ტექნიკის გამოყენებაში, არამედ კონკრეტული ისტორიული მოვლენის განმეორებადობასა და იმ მეცნიერული თემატიკაში, რაც ნიუტონის და ადამ და ევას ვაჟლის ეპიზოდში ვლინდება. ამით ავტორი მიანიშნებს, რომ თანამედროვე ადამიანისათვის სამყაროს ნიუტონისეულმა ანუ მექანიკურ-დეტერმინისტულმა აღქმამ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ეს სამყაროს ბიბლიურ აღქმას ჰქონდა. სტოპარდის ამ პიესაში პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა ვლინდება „მეტა“ ტექნიკის გამოყენებაშიც, რაც პიესაში „მეტათეატრის“ სახით ვლინდება.

## II თავი

პლატონის და ბიბლიის პოსტმოდერნისტული გააზრება ტომ  
სტოპარდის პიესაში „მოხტუნავენი“

ა. ტომ სტოპარდი პოსტმოდერნისტია;

ბ. ტომ სტოპარდი უარყოფს პოსტმოდერნიზმს.

ორივე ერთი და იგივეა.

მაიკლ ვანდენ ჰეუველი

1967 წელს „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ წარმატების შემდეგ ტომ სტოპარდი არა მხოლოდ კრიტიკოსების დაკვირვების ობიექტად, არამედ ლონდონის ნაციონალური თეატრის სამიზნეც აღმოჩნდა. ბრიტანეთის მთავარი თეატრალური სივრცე სულმოუთქმელად ელოდა მის მეორე მნიშვნელოვან ქმნილებას, რადგან დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ სტოპარდის სახით რეალურად დიდი ტალანტის მქონე დრამატურგთან ჰქონდათ საქმე. ამით იყო განპირობებული ნაციონალური თეატრის ინტერესი, სტოპარდის მეორე მნიშვნელოვანი პიესის „მოხტუნავენის“ მიმართ.

1968 წლისთვის „მოხტუნავენის“ რამდენიმე გვერდი უკვე დაწერილი ჰქონდა ავტორს, თუმცა ჯერ პირად ცხოვრებაში პირველ ცოლთან განშორებამ, სასამართლო დავებმა და შემდეგ რადიო თუ ტელე პიესებმა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიესის შექმნა რამდენიმე წლით შეაფერხა. „მოხტუნავენის“ შექმნის საფუძველი ტელე პიესა „სხვა მთვარე, რომელსაც დედამიწა ჰქვია“ (*Another Moon Called Earth*) გახდა (ფლემინგი 2001: 82).

„მოხტუნავენის“ სამი განსხვავებული გამოცემა არსებობს. პირველი ვარიანტი დაიბეჭდა 1972 წლის 2 თებერვალს, ლონდონის ნაციონალურ

თეატრში გამართული პრემიერის მიხედვით. მეორე გამოცემა მიეკუთვნება 1973 წელს, როდესაც ნაციონალურ თეატრის სცენაზე დაბრუნდა წარმოდგენა, ხოლო „მოხტუნავენის“ მესამე ვერსია 1976 წლის ვერსიაა, რომლითაც ნაციონალური თეატრის დასმა ლონდონის სამხრეთ სანაპიროზე, „ლიტელტონის“ თეატრში აღადგინა სტოპარდის პიესის ჩვენება (ფლემინგი 2001: 85). წინამდებარე მსჯელობა ემყარება 1972 წლის პრემიერის ვერსიის გამოცემას.

„მოხტუნავენი“ წვეულებით იხსნება, რომელიც მორალური ფილოსოფიის პროფესორის ჯორჯ მურის სახლში იმართება, რომლის მასპინძელიც პროფესორის მეუღლე, კარიერა ნაადრევად მიტოვებული, კაბარეს მომღერალი უმშვენიერესი დოროთი მურია. ავტორი ამ წვეულების სახით პოსტმოდერნისტული ეპოქის გადმოსახედიდან, პიესაში რამდენიმე მნიშვნელოვან თემას და პრობლემას აყალიბებს, რაზეც დაშენებულია პიესის მთელი აზრი და იდეა. ამიტომ სანამ უშუალოდ განსახილველ საკითხზე გადავიდოდე, ორიოდე სიტყვით მინდა ვისაუბრო იმ შინაარსობრივ და სიუჟეტურ ხაზზე, რომელსაც ავტორი პოსტმოდერნისტული სამყაროს ჭრილში განიხილავს.

პირველი, „მოხტუნავენის“ მთავარი მოქმედი პერსონაჟების, მორალური ფილოსოფიის პროფესორის ჯორჯ მურისა და მისი მეუღლის კაბარეს მომღერლის დოთის დაოჯახება და ერთ სახლში თანაცხოვრებაა. ავტორი პერსონაჟების შეწყვილებით, მხატრულად გვიჩვენებს ორი განსხვავებული ხედვის, აზროვნებისა და კულტურის, ე.წ. „მაღალი კულტურისა“ და „პოპ კულტურის“ შეუდლებას, კულტურულ თანასწორულებიანობას, რაც, როგორც ცნობილია დამახასიათებელია პოსტმოდერნისტული ეპოქისათვის.

მეორე ასეთი ნიშანი პიესაში წვეულებაა, რომელიც რადიკალურ-ლიბერალური პარტიის ანუ ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის ძალაუფლებაში მოსვლის და გამარჯვების აღსანიშნად იმართება, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ იმ პოლიტიკური ძალის სინონიმად, რომელიც პოსტმოდერნისტული ეპოქის მსოფლმხედველობის წარმართვას ცდილობს. ზემო ორ ფაქტორთან ერთად პიესის პოსტმოდერნისტულ შტრიხზე მიუთითებს სცენაზე ეკრანის არსებობა, სადაც ბრიტანელი კოსმონავტების

მთვარეზე სეირნობა და იქ განვითარებული დრამატული მოვლენების სატელევიზიო ჩვენებაა ასახული, რომელიც სცენაზე მიმდინარე მოვლენების პარალელურად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ავტორის მიზანი მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებისა და საზოგადოებაზე მასმედიისა და ტელევიზიის ზეგავლენის ჩვენებაა.

მეოთხე, პოსტმოდენისტული ტექნიკისათვის დამახასიათებელი ელემენტი, რომელსაც ავტორი პიესის დასაწყისში, პიესის სამშენებლო მასალად იყენებს რადიკალ-ლიბერალ მოხტუნავე ფილოსოფოსთა გიმნასტიკური გუნდია, რომელიც სცენაზე ცოცხალი პირამიდის აღმართვას ცდილობს, თუმცა დროებით, რადგან იარაღის გასროლის შემდეგ ერთ-ერთი ფილოსოფოსი კვდება და ცოცხლად აღმართული პირამიდა იშლება. პიესის დასაწყისშივე სიკვდილის თემატიკასთან ერთად ავტორი დეტექტიურ სიუჟეტს “whodunit” („ვინ ჩაიდინა“) ანვითარებს, რადგან მონაწილე პერსონაჟებისთვის მკვლელის ვინაობა უცნობია, ხოლო ამგვარი დეტექტიური სიუჟეტი კი პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მახასიათებელია.

რვა ადამიანისაგან შემდგარ ფილოსოფოს-გიმნასტიკოსთა გუნდს უბრალო დატვირთვა არ უნდა პქონდეს პიესაში. მით უფრო მაშინ, როცა ისინი პიესის დასაწყისსა (სტოპარდი 1972: 20) და დასასრულს (სტოპარდი 1972: 86) პირამიდის ფორმის რვა კაციან ფიგურას ქმნიან სცენაზე, ხოლო მკვლელობის შემდეგ რვა კაციდან შვიდი(!) რჩება, რაც ბუნებრივია პირამიდის დაშლის მიზეზი ხდება.

როგორც ვხედავთ პიესის დასაწყისში პირამიდის სახით, პირდაპირ თუ ირიბად გარკვეული ტიპის სიმბოლიკასთან თუ სემიოტიკური მნიშვნელობის რიცხვებთან გვაქვს საქმე, სადაც ჩადებულია ავტორის მთელი სათქმელი, მისი ფილოსოფია.

რა პრობლემაა დასმული პიესაში?

როგორც თავად სტოპარდი ამბობს, მისი სურვილი იყო თეისტური პიესის შექმნა, რომელიც გავრცელებული აზრის საწინააღმდეგო იქნებოდა, თითქოს ის ვისაც დმერთის სჯერა გარკვეული აზრით ხეიბარია, რომელიც დმერთს ყავარჯნად იყენებს. სტოპარდის აზრით ამგვარი ათეისტური აზრის მატარებელი ადამიანები შეიძლება თავად იყვნენ ხეიბრები, რომელთაც არ

შესწევთ ძალა იცხოვრონ დმერთის არსებობის იდეით (ფლემინგი 2001: 84). ხოლო კენებ ტინანის აზრით, „მოხტუნავენი“ არის ფარსი, რომლის უმთავრესი მიზანი დმერთის არსებობის მტკიცებაა. ის არის ტრანსცენდენტული მორალური დირექტულებების იუმორისტული დაცვა და პრაგმატული მატერიალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება (ფლემინგი 2001: 82).

როგორც ვხედავთ, კენებ ტინანის და თავად ავტორის მხრიდანაც პიესაში დასმული მთავარი პრობლემა, სამყაროში გაბატონებული ახალი მსოფლმხედველობრივი ფილოსოფიაა, რომელიც პრაგმატული პოზიტივიზმის სახით და პოლიტიკაში ახალი პოლიტიკური მოძრაობის რადიკალ-ლიბერალების მოსვლით არის ნაჩვენები, ხოლო ამ ყველაფერს ადამიანის მთვარეზე ასვლაც დაემატა, რამაც ადამიანს თავდაჯერებულობა და სამყაროსადმი მეცნიერულ-ტექნოლოგიური რწმენა უფრო მეტად განუმტკიცა. ანუ ავტორი პიესის დასაწყისშივე პოსტმოდერნისტული ტექნიკის მეშვეობით ხაზავს იმ რეალობას, რომ პიესის სამოქმედო დრო პოსტმოდერნისტულია, ხოლო პიესის მთვარი თემა და პრობლემა კი პოსტმოდერნულ სამყაროში დმერთის არსებობა-არარსებობაა.

### სად ჩანს ეს პრობლემა?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად კრიტიკოსები პიესაში უამრავ ეპიზოდს განიხილავენ, რომელიც ძირითადად ჯორჯის და არჩის ფილოსოფიურ შეხედულებებშია ჩამალული თუ განხილული, მაგრამ არავინ ეხება თანამედროვე სამყაროში დმერთის არსებობის თუ არარსებობის თემატიკას პიესის პირველივე აბზაცებში, რომელიც სემიოტიკურ სამოსელშია გამოწყობილი და როგორც აღვნიშნე ნაწარმოების საფუძველთა საფუძველია.

1994 წელს, სტოპარდი აღმოაჩენს, რომ მას წინაპრებში ერთი ებრაელის ნაცლად ოთხი ჰყოლია (ქელი 2001: 34), რომლებიც ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1999 წლიდან გაზეთებში ჩნდება სტატიები, სადაც კრიტიკოსები სტოპარდის ორ ბუნებიანობაზე იწყებენ საუბარს (ქელი 2001: 35). სტოპარდთან ეს პიროვნული დუალიზმი, რომელიც ტომიკიდან სერ ტომამდე, შტრაუსლერიდან სტოპარდამდე, ებრაელობიდან არაებრაელობამდე, ჩეხობიდან ინგლისელობამდე, დრამატურგობიდან სცენარისტობამდე ჩანდა ბუნებრივია

მის შემოქმედებაშიც გამოვლინდა, როგორც ეს ჩანს ერთი მხრივ როზენკრანცის და მეორე მხრივ გილდენსტერნის პერსონაჟში, ასევე „არქადიას“ რომანტიკული და რაციონალური სულის დაპირისპირებასა და სამყაროს ნიუტონისებურ და ბიბლიურ აღქმაში, რომელიც ვაშლის ორმაგი ინტერპრეტირებით არის ნაჩვენები. ზემოთ ჩამოთვლილი დუალიზმის ნიუანსები მეტ-ნაკლებად ხილულია მკითხველისა თუ მაყურებლის თვალისათვის. საინტერესოა ის სემიოტიკური თუ სიმბოლური არაპირდაპირი გზავნილები, რომლითაც გაჯერებულია სტოპარდის შემოქმედება, განსაკუთრებით კი „მოხტუნავენი“, რაც პიესის პირველსავე გვერდებში პირამიდის ანუ სამკუთხედის სახით არის ნაჩვენები.

რისი აღმნიშვნელი შეიძლება იყოს რვა მოხტუნავე ფილოსოფოსის მიერ შექმნილი პირამიდა?

პირველი, საიდანაც პირამიდის ანალიზი შეიძლება დავიწყოთ, ალბათ არის პლატონის „ტიმეოსი“, სადაც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, ყველაფრის საწყისად სამკუთხედს მიიჩნევს, საიდანაც ოთხი გვარი (ოთხი სტიქიონი) იღებს დასაბამს (პლატონი 1994: 315).

„კოსმოსის შექმნას რომ შეუდგა, დმერთმა, უწინარეს ყოვლისა, ეს ოთხი საწყისი (იგულისხმება ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. დ.მ.) მოაწესრიგა იდეაბისა და რიცხვების მეშვეობით“ (პლატონი 1994: 313). ამის შემდეგ „ტიმეოსის“ ავტორი ამ ოთხ სტიქიონს როგორც სხეულებს ისე განიხილავს, როგორც სიღრმის მქონეს და როგორც ცნობილია, ნებისმიერი სიღრმე გარემოცული უნდა იყოს ზედაპირისა თუ სიბრტყის ბუნებით და მას მერე პლატონი მიდის იმ მსჯელობამდე, რომ „ყოველი ბრტყელი ზედაპირი სამკუთხედებისაგან შედგება“ (პლატონი 1994: 314). (იხილეთ სურათი A) უფრო მკაფიო რომ გახდეს ჩემი მსჯელობა, ვფიქრობ, პირამიდის, როგორც სამკუთხედის, უკეთ განმარტებისათვის საჭიროა ამ კონკრეტული ეპიზოდის ბაჩანა ბრეგვაძისეული კომენტარი დავურთო. „აქ პლატონი მარტო იმას როდი გულისხმობს, რომ სამკუთხედია პირველი უმარტივესი, ელემენტარული გეომეტრიული ფიგურა. არა, პლატონის „სამკუთხედს“ თავისი დრმად სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს: ის წარმოადგენს „ტიმეოსის“ მთელ „სამებას“, რომლის პირველი წევრია სამყაროს შემოქმედი („პოიეტეს“) და


მამა („პატერ“), ჭეშმარიტი არსი („ტო ონგოს ონ“), უცვლელობის, წარუგალობის, თვითიგივეობის, ყოვლის ერთობის მარადიული საწყისი – „ერთი“ („ტოპენ“) ანუ „მონადა“, მეორე – ყოვლისმიმრქმელი („პანდეხებ“) მატერია, ყოველგვარი დაბადების ძიძა („ტითენე“) და დედა („მატერ“), ამორფულობის განუსაზღვრელობის პრინციპი, ანუ „ორი“ – „დიადა“ („დიას აორისტოს“ – „განუსაზღვრელი ორი“); მესამე კი – ერთის გაორებით, ანუ „მონადის“ „დიადაში“ გადასვლით წარმოქმნილი გრძნობად-კონკრეტული სამყარო (შვილი), რომელიც ერთდროულად წილნაყარია, როგორც მამის, ისე დედის ბუნებასთან...“ „სამკუთხედი არის პირველი გეომეტრიული ფიგურა – წერს სანტიაგო არგულერიო, – რომელიც სამყაროს შექმნისას ვლინდება“ (პლატონი 1994: 430, კომენტ.197).

ამის შემდგომ დიდი ბერძენი მოაზროვნე „ტიმეოსში“ იწყებს სამკუთხედების მეშვეობით სამყაროს შექმნის გეომეტრიულ ამოხსნას, სადაც როგორც აღვნიშნე ყველაფრის საწყისი სამია, სამკუთხედია და იგი სამ სახედ ჰყოფს ამ გეომეტრიულ ფიგურებს. თუმცა შენიშნავს, რომ „მართალია, ოთხივე გვარი ჩვენს მიერ არჩეული სამკუთხედებისაგან იღებს დასაბამს, მაგრამ სამი გვარი ერთი და იმავე – არატოლფერდა სამკუთხედებისაგან იბადება, ხოლო მეოთხე – ტოლფერდა სამკუთხედებისაგან; ეს კი ნიშნავს, რომ ოთხივეს როდი შეუძლია დაშლისას ერთი მეორედ გარდაიქმნას და ერთმანეთისაგან დაიბადოს მრავალი მცირე ოდენობის უფრო დიდ ოდენობათა ნაკლებ სიმრავლედ გაერთიანების გზით, ანდა პირუპუ. ასე რომ, ოთხი კი არა მხოლოდ პირველი სამი გვარი თუ შეიძლება დაიბადოს ერთმანეთისგან“ (პლატონი 1994: 315).

პირველი სახე ყველაზე მცირე ნაწილებისაგან შედგება, რომლის პირველსაწყისი, რა თქმა უნდა, სამკუთხედია, სადაც პიპოტენუზა პატარა კათეტზე ორჯერ უფრო გრძელია (პლატონი 1994: 315). (იხ. ილუსტრაცია 1) „მეორე სახეც იმავე სამკუთხედისაგან იგება: რვა ტოლგვერდა სამკუთხედი ერთდება, რათა ოთხ-ოთხი ბრტყელი კუთხით შეადგინონ თითო სივრცული კუთხე. როცა ამნაირი სივრცული კუთხე ექვნი გვექნება, მეორე სხეულის აგება დამთავრებულია“ (პლატონი 1994: 316). (იხ. ილუსტრაცია 2) ამის შემდგომ მსჯელობაა მესამე სახეზე, რომლის ასაგებადაც საჭიროა, როგორც

პლატონი ამბობს, „ორჯერ სამოცი დასაბამიერი სამკუთხედი და თორმეტი სივრცული კუთხე, რომელთაგანაც თითოეული, ხუთ-ხუთი ტოლგვერდა სამკუთხედის სიბრტყითაა გარემოცული, ასე რომ, მთელ სხეულს ოცი წახნაგი აქვს, რომელთაგანაც თითოეული ტოლგვერდა სამკუთხედებად გვევლინება. (იხ. ილუსტრაცია 3) ამ სამი სხეულის დაბადებით ამოიწურა პირველსაწყისის დანიშნულება. რაც შეეხება მეოთხე სამკუთხედს, მან დასაბამი მისცა მეოთხე სახის ბუნებას: ოთხი სამკუთხედი, რომლებიც ერთ წერტილში, როგორც ცენტრში იყრიან თავს, ტოლგვერდა ოთხკუთხედს ქმნიან, ექვსი ამნაირი ოთხკუთხედით იგება რვა სივრცული კუთხე, რომელთაგანაც თითოეული ჰარმონიულად მოცულია სამ-სამი ბრტყელი კუთხით. ამნაირად აგებულ სხეულს კუბის ფორმა აქვს, რომლის წახნაგებადაც ექვსი ტოლგვერდა ოთხკუთხედი გვევლინება“ (პლატონი 1994: 316). (იხ. ილუსტრაცია 4) პლატონისეულ ფილოსოფიურ მსჯელობაში რომ არ გადავარდეთ, გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც შესაძლოა ჩადებული იყოს სტოპარდის „მოხტუნავენის“ აზრობრივ საფუძვლებში. ეს არის, რა თქმა უნდა, პლატონურ სამკუთხედთან ერთად, მისი ოთხი სახიდან პირველი, სადაც საუბარია ტოლგვერდა სამკუთხედზე ანუ პირამიდაზე ანუ ტეტრაედრზე. შემდგომ ამისა პლატონი „ტიმეოსში“ ოთხი გვარის, ოთხი სტიქიონის რანგირებას ახდენს, როგორც სამყაროს შემადგენელ ელემენტებად და საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დაბადებით მოცულობის მქონე პირამიდის ფორმა იყო ცეცხლის პირველსაწყისიცა და თესლიც; მეორე – პაერი, მესამე კი – წყალი“ (პლატონი 1994: 317). ანუ სამკუთხედთან ერთად პირველსაწყისად და თესლად სამკუთხედის ერთ-ერთი სახე, პირამიდის ფორმაა. ხოლო რაც შეეხება ოთხი გვარიდან ყველაზე მძიმეს, მიწას, ის პლატონმა კუბის ფორმას მიაწერა (პლატონი 1994: 316).

## სურათი A



- ილუსტ. 1 (ცეცხლი) ილუსტ. 2 (ჰაერი) ილუსტ. 3 (წყალი) ილუსტ. 4 (მიწა)  
 (ტეტრაედრი) (ოქტაედრი) (იკოსაედრი) (კუბი)

ჩვენ ვიცით, რომ „მოხტუნავენის“ ფილოსოფოსები ცდილობენ რვა კაციანი პირამიდისეული სამკუთხედი შექმნან (სტოპარდი 1972: 20). ანუ პირამიდასთან ერთად ფიგურირებს ციფრი რვა.

რისი აღნიშვნელი შეიძლება იყოს რვა?

შესაძლოა სტოპარდი რვა ფილოსოფოსის გამოყენებით პლატონურ ტეტრაედრთან ერთად პითაგორელთა მოძღვრებასაც გულისხმობდა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორი პროპორციიდან პირველს, რომლის რიცხვები, 1,2,3,4 ქმნიან ე.წ. „ტეტრაქტისს“, ანუ „ოთხებს“, რომელნიც პითაგორელთა მოძღვრების მიხედვით იმარხავენ რიცხვთა მთელ სისავსეს, დათაებრივ „დეკადას“ – „ათს“, სამყაროს საკრალურ სიმბოლოს, რომლისგანაც გრძნობად-კონრეტული სამყაროს ყველა ნივთი, ყველა საგანი „ოთხებისაგან“ შედგება, იქნება ეს ოთხი გეომეტრიული ელემენტი – წერტილი, ხაზი, სიბრტყე, სხეული თუ ოთხი მატერიალური სტიქიონი –

ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი (პლატონი 1994: 176) (გათრი 1983: 55). (იხილეთ სურათი B)

პითაგორელთა მოძღვრების კომენტირებისას ბაჩანა ბრეგვაძე მართებულად შენიშნავს, რომ „ორი გეომეტრიული პროგრესის შერევის შედეგად მიღებულ რიცხვთა თანმიმდევრულ მწკრივში პირველი 4 რიცხვი (1,2,3,4) სხვა არა არის რა თუ არა პითაგორელთა დვთაებრივი 10 „დეკადა“ ( $1+2+3+4=10$ ), რომელიც სამყაროს საკრალურ სიმბოლოდ ითვლება პითაგორიზმში და პლატონიზმშიც“ (პლატონი 1994: 176). ხოლო ციფრი რვა შეიძლება იყოს სამგანზომილებიანი, მოცულობის მქონე სხეული, რომელიც, როგორც ამას ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს, „პირველ პროპორციაში (1:2:4:8), რომელსაც პირობითად „დიადური“ ანუ „ორობითი“ ვუწოდეთ, 1 შეესაბამება წერტილს, 2 – ხაზს, 4 – სიბრტყეს ხოლო 8, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამგანზომილებიანი მოცულობის მქონე სხეულს. სწორედ ამ თანმიმდევრობით გადავდივართ წერტილიდან ხაზზე, ხაზიდან – სიბრტყეზე და სიბრტყიდან – სხეულზე“ (პლატონი 1994: 176-177). (იხ. ილუსტრაცია 5) ხოლო რაც შეეხება პითაგორელთა მეორე პროპორციას, (1:3:9:27) მას შეიძლება „მონადური“ ეწოდოს, რაზეც ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს, რომ „ამ არითმეტიკულ მწკრივსაც პლასტიკური, ფიგურალური ან თუ გნებავთ სხეულებრივი წარმოსახვის პრინციპი უდევს საფუძვლად. პლატონის მიხედვით 3 შეესაბამება კვადრატის გვერდს, 9 ( $3^2$ ) – მის ფართობს, ხოლო 27 ( $3^3 \cdot 3^2$ ) – იმ კუბის მოცულობას, რომლის წახნაგადაც გვევლინება ზემოთხსენებული კვადრატი“ (პლატონი 1994: 177). (იხ. ილუსტრაცია 6)

სურათი B





FIGURE 8. THE TETRAKTYΣ.



ილუსტრაცია 5 (ტეტრაქტის) ილუსტრაცია 6 (დიადური და მონადური)


ამ ორი პროპორციის შერევით განაპირობებენ სამყაროს სხეულის ერთარსობასა და მრავლობითობასაც. ზუსტადაც, რომ ამ რაღაც გარკვეული სხეულის შექმნას ცდილობენ პიესაში მოხტუნავე ფილოსოფოსები და ეს სხეული შეიძლება იყოს ახალი სამყარო, ხოლო ამგვარი სამყაროს მშენებლობის მსოფლმხედველობრივი კერსია შეიძლება იყოს ავტორის დუალისტური ხედვის ერთ-ერთი გამოვლინება.

თუ პლატონურ-პითაგორული ანალიზის მიხედვით რვა ფილოსოფოსის მიერ შექმნილი პირამიდა შეიძლება იყოს სტოპარდის დუალისტური ბუნების ერთ-ერთი გამოვლინება, რა შეიძლება იყოს მეორე?

პლატონთან პირამიდა და სამკუთხედი მუდამ სამის, „სამების“ იდეის გარშემო ბრუნავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე სამი პლატონთან დიდი ტრიადის სახით არის ნაჩვენები ანუ პლატონური სინამდვილის სამი ძირითადი სფერო – „დემიურგოსული პრინციპის ანუ კოსმიური გონების, მატერიისა და გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დიალექტიკური ერთიანობა“ (პლატონი 1994: 117). „ერთის მხრივ იდეალური სინამდვილე, არსის აბსოლუტური სისრულე და სისავსე, მეორეს მხრივ არსებობის სრული უარყოფა, აბსოლუტური არარსი და ბოლოს, არსისა და არარსის დიალექტიკური ერთიანობა“ (პლატონი 1994: 117). ანუ, როგორც ბაჩანა ბრეგვაძე განმარტავს, ის, რაც იბადება, ის, რაშიც იბადება და ის, რის მსგავსებადაც იზრდება და ვითარდება დაბადებული. პირველქმნილი შედარებულია დედასთან, პირველნიმუში – მამასთან, ხოლო შუალედური ბუნება – შვილთან. ანუ დემიურგოსი შედარებულია მამასთან, იდეალურ

ფორმათა მიმღები – დედასთან, ხოლო გრძნობად-კონკრეტული სამყარო, რომელიც პირველნიმუშის ანუ მამისა და პირველნიმუშის იდეალურ ფორმათა მიმღების, მატერიის ანუ დედის ურთიერთშერწყმით იძენს არსებობას, – შვილთან (პლატონი 1994: 117).

„ტიმეოსში“ „დემიურგოსი“ და ლმერთი (თეოს) სინონიმებად გვევლინებიან, რადგან პლატონი დემიურგოსულ გონებას ლმერთად სახავს (პლატონი 1994: 137,138). ბუნებრივია ეს შეხედულება აზრთა მრავალმხრივ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი დემიურგოსის ინტერპრეტაცია კი, როგორც ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს, ევროპულ კულტურაში, ქრისტეანიზაციაში „აბსოლუტურ პიროვნებასთან“ ანუ ბიბლიურ ლმერთან იგივდება (პლატონი 1994: 138). ამ შეხედულებას რომ მივყვეთ და უფრო მეტად განვავრცოთ, ის პლატონური დიდი ტრიადა, იუდეურ-ქრისტიანულ რეალობაში მამად, ძედ და სული წმინდად გამოისახება, რაც ნიშნავს იმას, რომ სტოპარდის დუალისტური ბუნების და იმ რვა ფილოსოფოსისგან შემდგარი პირამიდის მეორე მხარე შეიძლება იყოს იუდეურ-ქრისტიანული მხარე.



პლატონის და ზოგადად ანტიკური სამყაროს სამკუთხედის გაგების შემდგომ, ჩვენი წელთაღრიცხვით უამრავი ფილოსოფოსი, თეოლოგი ოუქრისტიანული სამყაროს მიერ წმინდა მამებად შერაცხული სწავლულნი უამრავს საუბრობდნენ სამების ჰიპოსტაზის შესახებ. მათ შორის, რა თქმა უნდა, ნეოპლატონისტებიც იყვნენ. პლოტინუსი (204-70), რომელიც ნეოპლატონიზმის ფუძემდებლად მიიჩნევა, საკუთარ მეტაფიზიკურ შეხედულებებს ყოვლადწმინდა სამების არსის განხილვით იწყებს, თუმცა არა ისე, როგორც ეს ქრისტიანებს აქვთ განხილული. იგი ყოვლადწმინდა სამების

რანგირებას ახდენს: პირველს წარმოაჩენს როგორც უპირატესს, მეორეს როგორც უფრო ნაკლებს, ხოლო მესამეს პირველსა და მეორეზე უფრო ქვემოთ მდგომს (რასელი 1946: 272), რაც ქრისტიანული თეოლოგიისათვის მიუღებელია, რადგან მათთვის სამება არის ერთარსი, სამივე ერთმანეთის თანასწორი. ასევე სამების პიპოსტაზის შესახებ საუბარია ადრეული ქრისტიანული თეოლოგის, ორიგენეს (185-254) ნაშრომებში. ასევე დიდი თეოლოგისა და ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის წმ. ავგუსტინეს (354-430) ნაშრომში სამების შესახებ, სადაც იგი წერს: „მამა, ძე და სულიწმინდა, მოსილია ერთიანი განუყოფელი არსობით (სუბსტანციით), განუყოფლად თანასწორნი არიან დვთაებრივი ერთიანობით; ეს სამი ღმერთი კი არა, ერთი ღმერთია“ (წმინდა ავგუსტინე IV).

სამების შესახებ აზრობრივად იგივეს აყალიბებს ასევე დიდი ქრისტიანი და დვთისმეტყველი იოანე დამასკელი (645-749) და კიდევ მრვალი სხვა თეოლოგი, დვთისმეტყველი თუ ფილოსოფოსი, რომლებიც სამების პიპოსტაზს განიხილავენ, როგორც ფუნდამენტს და საყრდენს იუდეურ-ქრისტიანული რწმენის, ფილოსოფიის თუ მსოფლმხედველობის, რადგან სამება არის ის პირველსაწყისი, აღმატებული ძალა, ღმერთი, რომელიც არის შემოქმედი მთელი სამყაროსი.

სამება, როგორც უმთავრესი ქრისტიანული სიმბოლო, უამრავ ქრისტიანულ კათედრალებში არის გამოსახული, მათ შორის შუა საუკუნეების გოთური არქიტექტურის უბრწყინვალეს ქმნილებაში პარიზის დვთისმშობლის ტაძარში, სადაც სამის სიმბოლიკა კათედრალის კედლებზეა გამოსახული. (იხილეთ დანართი 14)

ზემოთ მოყვანილი აზრები, თუ შეხედულებები სხვადასხვა მოაზროვნეთა, თუ წმინდა მამათგან მიზნად არ ისახავს იმ დისკუსიაში ჩაბმას, რაც უკვე საუკუნეების მანძილზე სამების პიპოსტაზის გარშემო არსებობს, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამების იდეა განხილულია იუდეურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, სამება როგორც ღმერთის, სამყაროს შემოქმედის ჭრილში.

ახლა კი, სამების პიპოსტაზის შესახებ მცირე შესავლის შემდეგ სტოპარდის დუალისტური ბუნების მეორე მხარის უფრო ღრმა ანალიზზე მინდა გავადავიდე, რომელიც „მოხტუნავენში“ რვა ფილოსოფოსის მიერ შექმნილი პირამიდის, იუდეურ-ქრისტიანულ ჭრილში შეიძლება იყოს განხილული. უფრო მკაფიო და ზუსტი რომ იყოს პირამიდის ანუ სამკუთხედის იუდეურ-ქრისტიანული მხარე, შესადარებლად გამოვიყენებ ცნობილი იტალიელი მეცნიერის, სემიოლოგის და მწერლის უმბერტო ეკოს პოსტმოდერნისტული ლიტერატურის კლასიკად აღიარებულ რომანს „ვარდის სახელს“, რომელიც სტოპარდის პიესაში იუდეურ-ქრისტიანულ სიმბოლიკასთან ერთად კარგად წარმოაჩენს „მოხტუნავენის“ კავშირს პოსტმოდერნიზმთან და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურასთან.

სტოპარდის მსგავსად, უმბერტო ეკოც ნაწარმოების პირველ ნაწილში გვიჩვენებს იმ იდუმალი, სემიოტიკური ოუ რელიგიურ-ფილოსოფიური სიმბოლიკით გაჯერებულ ფუნდამენტს, რომელზეც დაშენებულია მთელი ნაწარმოები. ეს მსგავსება შეიძლება დავინახოთ „ვარდის სახელის“ პირველ დღეში (რომანი სულ შვიდი(!) დღისგან ანუ შვიდი თავისგან შედგება), როცა ადსო (მთხოვთ ადსო) გადმოგვცემს პირველ ემოციას და ინფორმაციას ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე ბენედიქტელთა მონასტრის ციტადელის შესახებ და რომანის მეექსე დღის მეცხრე ჟამზე, როცა მონასტრის წინამდღვარი მონასტრის ციტადელის არქიტექტურულ სიმბოლიკაზე საუბრობს.

ეკოს რომანში სამების ანუ სამკუთხედის ანუ პირამიდის სიმბოლოს მსგავსება სტოპარდის ცოცხალ პირამიდასთან, ციტადელის ფანჯრების სამ წყებად ჭრაში ჩანს, რომელიც ადსოს თქმით კედელს სამების რიტმს უქმნის (ეკო 2011: 46). ციტადელის სამების სიმბოლიკაზე მონასტრის წინამდღვარი უილიამ ბასკეულთან საუბრის დროსაც აღნიშნავს: „შთამბეჭდავი ქმნილებაა, მის პროპორციებში ის უზენაესი წესი მეორდება, რომლითაც ოდესდაც ნოეს კიდობანი აიგო. სამ სართულადად ნაგები, რამეთუ სამი სამების რიცხვია, აბრაამსაც სამი ანგელოზი გამოეცხადა, სამი დღე დაყო იონამ ვეებერთელა თევზის(!) ფაშვში, სამი დღე გაატარეს სამარეში იესომ და ლაზარემ, სამჯერ შეპდალადა იესომ მამას, ამაცილე სამსალით სავსე თასიო და სამჯერ განმარტოვდა მოციქულებთან სალოცავად. სამჯერ უარყო პეტრემ მაცხოვარი

და სამჯერ გამოეცხადა იქსო ოჯახის წევრებს აღდგომის შემდეგ. სამია ლვთიური ნიჭი, სამია წმინდა ქნა, სამია სულის ნაწილი, სამგვარნი არიან გონიერი ქმნილებანი: ანგელოზნი, კაცნი და დემონნი, სამნაირად ახასიათებს ბგერას: vox, flatus, pulsus (ტონი, სიმაღლე, რიტმი), სამი ხანა კაცობრიობის ისტორიისა: სჯულის კანონამდე, ეპოქა სჯულის კანონისა და მის შემდეგ“ (ეკო 2011: 698).

მეორე რაც დამაფიქრებელია „მოხტუნავენის“ საფუძველში, ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არის რვა ფილოსოფოსი, რომლებიც სამ სართულად ქმნიან პირამიდას ანუ სამკუთხედს ანუ სამებას (სტოპარდი 1972: 20).

ადსო ბენედიქტელთა მონასტრის ციტადელის არქიტექტურაზე და ფანჯრის სამ წყებად ჭრაზე შთაბეჭდილებას ვერ მაღავს და ამ სიმბოლიკით თავბრუდახვეულს ისეთი განცდა აღემგრება, რომ მიწაზე ოთხკუთხად(!) დაწყებულ ქმნილებას სულიერად ზეცისაკენ გასამებულს ადრის (ეკო 2011: 46). მონასტრის წინამდგარიც ციტადელის არქიტექტურაში ციფრი ოთხთან მიმართებით უამრავ ქრისტიანულ თუ ფილოსოფიურ სიბმოლიკაზე მიუთითებს: „თავად კვადრატულ ფორმაშიც არაერთი სულიერი სწავლებაა ჩადებული; ოთხია ქვეყნის მხარე, ოთხია წელიწადის დრო, ოთხია სტიქია, არის ცხელი, ცივი, სველი, მშრალი, არის შობა, ზრდა, სიმწიფე და სიბერე, ოთხგვარნი არიან ცოცხალი არსებანი: ცისა, მიწისა, წყლისა და ჰაერისა, ოთხი ფერისაგან შედგება ცისარტყელა და ოთხ წელიწადში ერთხელაა ნაკიანი წელი“ (ეკო 2011: 699).

როგორც ზემოთ პლატონისეულ პირამიდაზე მსჯელობისას აღვნიშნე, პლატონისეული პირამიდა ოთხებისგან შედგება, ხოლო ციფრი რვა, როგორც „ვარდის სახელში“ ბერი ადსოს პირით უმბერტო ეკო ციტადელის რვაკუთხედზე აღნიშნავს, რვა – ყოველი ოთხკუთხედის სრულყოფილების რიცხვია, რომელსაც ოთხ სახარებას აღრის (ეკო 2011: 46). ანუ „ვარდის სახელის“ ციტადელი და „მოხტუნავენის“ რვა კაციანი ფილოსოფიური პირამიდა, შეიძლება ითქვას, ერთ სიმბოლიკურ არქიტექტურულ ქმნილებას წარმოადგენს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება სამებასთან, სამკუთხედთან, პირამიდასთან ანუ იმ აღმატებულ ძალასთან, რომელსაც ანტიკურ სამყაროში სამყაროს შექმნა უკავშირდება, ხოლო იუდეურ-

ქრისტიანულ სამყაროში სამყაროს შემქმნელი სამება ანუ მამა, მე და სულიწმინდა ანუ ღმერთი.

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“, ისევე, როგორც სტოპარდის „მოხტუნავენშიც“, სამებასთან, პირამიდასთან, სამკუთხედთან, ოთხთან თუ სხვა სიმბოლიკურ მსგავსებებთან ერთად, რომელიც ასოცირდება სამყაროს შექმნის, იუდეურ-ქრისტიანულ თუ პლატონურ შეხედულებასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი მსგავსება. უმბერტო ეკო „ვარდის სახელის“ დასაწყისში მთხობელის ანუ ადსოს პირით საუბრობს აღმოსავლეთის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მკითხველს სამყაროს წარმოშობის იუდეურ-ქრისტიანული შეხედულების ალეზიისაკენ უბიძებს. „ჩრდილოეთისაკენ მივიწევდით, მაგრამ ბევრჯერ გადაგუხვიერ გზას სხვადასხვა მიმართულებით და ბოლოს დასავლეთში აღმოვჩნდით, თუმცა კი ჩვენი საბოლოო მიზანი აღმოსავლეთი იყო“ (ეკო 2011: 34). იგივე სიმბოლიკაზე საუბრობს ჯორჯ მური „მოხტუნავენის“ დასკვნით ნაწილში, სადაც იგი აღმოსავლეთის ფანჯარას მოიხსენიებს სინათლის ამომავალ მხარედ (სტოპარდი 1972: 88). აღმოსავლეთის ფანჯარა კი ჯიმ ჰანტერის განმარტებით ქრისტიანული ტაძრის საკურთხეველი ნაწილია, რომელიც ღმერთის არსებობის მხარე და ადგილია (ჰანტერი 2000: 103). ხოლო მათე მოციქული მის სახარებაში აღნიშნავს, რომ ქრისტეს შობის ჟამს ვარსკვლავი აღმოსავლეთიდან ანათებდა, როგორც მხსნელის დაბადების ადგილი (მათე 2.9). სტოპარდის მხრიდან პიესის დასასრულს აღმოსავლეთის ამგვარი სიმბოლური გააზრება, ისევე როგორც „კოდას“ (“coda”) ნაწილში ადამის და ევას ცოდნის ხის აღნიშვნა (სტოპარდი 1972: 84), და პურის და ლვინის, როგორც ქრისტეს სისხლის და ხორცის სიმბოლოს ფიგურირება (სტოპარდი 1972: 86) პიესაში კიდევ უფრო ამყარებს სტოპარდის ინტერესს იუდეურ-ქრისტიანული ღმერთისა და რელიგიისადმი. ამით ჩვენ ვიგებთ, რომ როგორც ერთი ავტორი, სტოპარდის სახით ასევე მეორე ავტორი ეკოს სახით საკუთარ ნაწარმოების საფუძვლებში, საკრალური სიმბოლიკით აშენებენ საკუთარ შემოქმედებრივ რეალობას და ამ რეალობაში, უპირველეს ყოვლისა, ქმნიან ღმერთს, როგორც რეალური რეალობის შემოქმედს. უფრო ზუსტად კი ნაწარმოების რეალობაში მოქმედი პერსონაჟების მხრიდან მცდელობაა ღმერთის შექმნისა.

## რატომ მცდელობა?

როგორც ვიცით, ეპოს ნაწარმოებშიც ისევე, როგორც სტოპარდთან, მთელი ეს სიმბოლიკური ველი ირდვევა, რომელიც ეპოსთან ციტადელის და მონასტრის მეშვიდე დღეს განადგურებაში, ხოლო სტოპარდთან პირამიდის შემქმნელი რვა ფილოსოფოსიდან ერთ-ერთის განადგურებით ვლინდება. ანუ ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც მკვლელობაა ამ დვთაებრიობის თუ საკრალურობის მოშლის მიზეზი, რომელიც ორივე ნაწარმოებში სიმბილიკურ ჭრილშია ნაჩვენები. ერთ შემთხვევაში ეს არის ციტადელის მეშვიდე დღეს განადგურება, რომელსაც წინ იოანეს გამოცხადების მსგავსი აპოკალიფსური სიმბოლოს მატარებელი მკვლელობების მთელი სერია უსწრებდა, ხოლო მეორე შემთხვევაში რვა ფილოსოფოსიდან ერთ-ერთის მკვლელობა, სადაც შედეგად ჩამოშლილი, შეუმდგარი, შვიდი ფილოსოფოსისგან შემდგარი არასრულყოფილი პირამიდა და რიცხვი შვიდი რჩება.

უმბერტო ეპოს რომანის ბოლოს ჩვენ ვიგებთ ამ მკვლელობათა სერიების მიზეზს, რომელსაც შედეგად ზემოთ ნახსენები დვთაებრივი სიმბოლიკით გაჯერებული არქიტექტურული შედეგრის მონასტრის ციტადელის განადგურება მოსდეგს. იგივეა სტოპარდის მიერ შექმნილ რვა ფილოსოფოსისგან შემდგარ ასევე დვთაებრივი სიმბოლიკით გაჯერებული არქიტექტურული ქმნილების ჩამოშლის შემთხვევაშიც, რადგან პიესის მსვლელობისას გაურკვეველია მკვლელობის მიზეზი, რომელიც ანგრევს მთელ იმ სიბოლიკას, რომელიც ასოცირდება უზენაეს ძალასთან, სამებასთან ანუ ღმერთან. მასაშასადამე, ვერ ვილაპარაკებთ რიცხვი შვიდის მნიშვნელობაზე სანამ არ ჩაგრევებით მკვლელობათა მიზეზებს. ამიტომ, მართებულად მიმაჩნია სტოპარდის პიესაში ჯერ ამ მკვლელობების მიზეზი გამოვარკვიოთ და შემდეგ გადავიდეთ რიცხვი შვიდის გარშემო ჩამალული აზრის ამოხსნაზე, მით უფრო მაშინ, როცა სტოპარდი რვა ფილოსოფოსის მიერ შექმნილი პირამიდის რდვევას და მკვლელობების საიდუმლოებას, როგორც პიესის პროლოგში, ასევე პიესის ბოლო ნაწილშიც, „კოდაში“ ანგიოთარებს.

რა შეიძლება იყოს „მოხტუნავენში“ მკვლელობების მიზეზი?

პიესაში პირამიდის, როგორც სამების სიმბოლიკის აღმნიშვნელის, არსებობა საინტერესო შეიძლება იყოს დროის აღქმის კუთხითაც. როგორც ვიცით, სამყაროში დრო, ისევე, როგორც განზომილება სამია, ისევე, როგორც უამრავი რამ, რაც სამების იდეასთან და ზოგადად ციფრ სამთან არის დაკავშირებული. საინტერესოა წმინდა ავგუსტინეს მოსაზრება დროის შესახებ. იგი სვამს კითხვას იმის შესახებ თუ რატომ არ შეიქმნა სამყარო უფრო ადრე? და იქვე პასუხობს, რომ დრო „ადრე“ არ არსებობდა; დრო სამყაროს შექმნასთან ერთად შეიქმნა, ხოლო სამყაროს შემქმნელისთვის ანუ დმერთისთვის დრო როგორც ასეთი არ არსებობს, რადგან იგი მარადიულია და დროც მისთვის მარად ერთია, აწმყო (რასელი 1946: 330). მაშ, რა არის დრო წმინდა ავგუსტინესთვის? მისთვის დრო არის მხოლოდ აწმყო. ბერტრანდ რასელი წმ. ავგუსტინეს დროის ცნების შესახებ კომენტირებისას წერს: „წარსული“ უნდა გაიგივდეს მეხსიერებასთან, ხოლო „მომავალი“ – მოლოდინთან, მეხსიერებაც და მოლოდინიც, ორივე აწმყო ფაქტია“ (რასელი 1946: 330). მაშ, მოხტუნავენის მიერ შექმნილი პირამიდის ფორმის სხეული, მთელს ზემოთ მოყვანილ სიმბოლიკასთან ერთად, დროის სიმბოლიკასაც შეიძლება ატარებდეს და ეს დროის სიმბოლიკა შეიძლება იყოს წმ. ავგუსტინეს დროის თეორია, რაც სტოპარდის ორბუნებიანობიდან, იუდეურ-ქრისტიანულ ბუნებას სრულიად ლოგიკურად უნაოესავება. მაშ, წმინდა ავგუსტინეს აზრით, სამყაროში სამი დროა, თუმცა ამავდროულად ერთი, აწმყო, ისევე, როგორც წმინდა სამება. შესაძლოა დროის ცნების წმინდა ავგუსტინისეული შეხედულებით სტოპარდი ცდილობს იმ დროის, ანუ 1972 წლის აწმყოსკენ გაგახედოს და იმ პერიოდის მნიშვნელობაზე მიგვითოთოს. ამიტომ სრულიად ლოგიკურია გადავიდეთ პიესის შექმნის და ამავდროულად სამოქმედო დროის, პიესის აწმყოს განხილვაზე, რომ მივიღეთ ზემოთ დასმულ კითხვამდე და დავადგინოთ პირამიდის, სამკუთხედის, სამების რღვევის, მკაფელობის მიზეზი.

დავიწყოთ პიესის შექმნის რეალობით, პიესის „აწმყოთი“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, „მოხტუნავენის“ შექმნას ტელე პიესა „სხვა მთვარე, რომელსაც დედამიწა ჰქვია“ (*Another Moon Called Earth*) დაედო საფუძვლად, რაც „მოხტუნავენის“ ერთ-ერთ წამყვან სიუჟეტთან, ადამიანის მთვარეზე გასეირნებასთან ერთად იმ რეალობის, იმ „აწმყოს“ წამყვან მოვლენად

ითვლებოდა, რაც ამ ორ პიესაში, როგორც სათაურში, ასევე შინაარსობრივ მხარეშიც მკაფიოდ არის ერთ-ერთ იდეად გამოხატული. 1960-იან წლებში კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა მოხდა, ჯერ 1961 წელს იური გაგარინის ლია კოსმოსში გასვლა, ხოლო შემდეგ 1969 წელს ნილ არმსტრონგის მეთაურობით ამერიკელ ასტრონავტთა ჯგუფის მთვარეზე გასეირნება. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იმ დროისთვის იყო ტექნოლოგიური რევოლუცია, რომლის მეშვეობითაც ადამიანმა შეძლო, არა მხოლოდ დედამიწის საზღვრებს იქით გასვლა, არამედ მთვარეზე დაშვება და იქ გარევეული სამეცნიერო კვლევების დაწყებისათვის საფუძვლების მომზადება. ამ აზრის მნიშველობას „მოხსენენავენში“ ტელე ეკრანის არსებობა და მთვარეზე მიმდინარე მოვლენების მოქმედებაც ცხადყოფს (სტოპარდი 1972: 22).

ამავე პერიოდში დასავლეთში კერძოდ კი ბრიტანეთში მძვინვარებს ისეთი ფილოსოფიური მოძრაობა, რომელსაც „ლოგიკური პოზიტივიზმი“ ეწოდა. ამ მოძრაობას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქ ვენაში, კაფე „ცენტრალში“ ჩაეყარა საფუძველი და ცნობილია როგორც „ვენის წრე“ (Vienna Circle). ამ ფილოსოფიურ მოძრაობაში მოიაზრებოდნენ მეოცე საუკუნის ისეთი ცნობილი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: ბერტრანდ რასელი და ლუდვიგ ვიტგენშტეინი, რომლებმაც ფორმალიზმი მოახდინეს ლოგიკური პოზიტივიზმისა.

ენტონი ჯენკინსი, ავტორი წიგნისა „სტოპარდის თეატრი“ ძალიან ზუსტად აღნიშნავს ამ მოძრაობის მთავარ არსეს: „ლოგიკური პოზიტივიზმი“ უკან, 1920-იან წლებში ბრუნდება, როცა „ვენის წრე“ ისტრაფოდა ფილოსოფიური ძიებებისთვის მოეცილებინა ყოველგვარი მისტიკა და მეცნიერების შესაბამისად მოეხდინა მისი რაციონალიზმი, „ყველა შემოწმებად მტკიცებათა ერთობლიობის შესაბამისად“ (ჯენკინსი 1990: 88). და იმავე მოსაზრებას ცოტა მოგვიანებით ვიტგენშტეინისა და ბრიტანული ლოგიკური პოზიტივიზმის ბიბლიად შერაცხული წიგნის „ენა, ჭეშმარიტება და ლოგიკის“ ავტორის, აიერის მოსაზრებები უფრო ნათელს ჰყენს მათ იდეებს. ვიტგენშტეინი ამბობს: „იმას რაზეც ჩვენ ვერ ვახერხებთ საუბარს დუმილს უნდა მივანდოთ“, ხოლო აიერი ამბობს: „ყველა გამონათქვამი ლმერთის ბუნების შესახებ აზრს მოკლებულია“ (ჯენკინსი 1990: 88).

შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნის 50-60-იანი რეალობის, ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ეს იქნება ლოგიკური პოზიტივისტური ფილოსოფიის პოპულარობისა თუ მთვარეზე ადამიანის მიმოსვლის დაწყების თემა პირდაპირ ასახულია პიესაში, რაც გვაძლევს საფუძველს ეპოქაც და პიესაც ერთ ჭრილში, ერთ „აწმუოში“ განვიხილოთ, მით უფრო მაშინ, როცა ყველაფერ ზემოთ აღნიშნულთან ერთად, პიესაში ლოგიკური პოზიტივიზმის ფუძემდებელი ბერტრანდ რასელიც ფიგურირებს (სტოპარდი 1972: 31).

როგორც ზემოთ აღნიშნე ლოგიკური პოზიტივიზმის მიმდევრები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, რაციოთი ცდილობდნენ სამყაროს შემცნებას და ყოველგვარ მისტიციზმს დევნიდნენ მათი ფილოსოფიიდან, რაც, შეიძლება ითქვას, გულისხმობს სამყაროს ღმერთისმიერი შემცნების უარყოფას და ყველაფრის პრაგმატულ, რაციონალურ ჭრილში გადაყვანას. ზუსტადაც, ასეთი ფილოსოფიის მიმდევრები არიან მოხტუნავე ფილოსოფოსები, რომელთა მეთაური მედიცინის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასევე ფსიქიატრიულ მედიცინათა და გიმნასტიკის დიპლომის მფლობელი, სერ არჩიბალდ ჯამფერია (სტოპარდი 1972: 61).

ერთი მხრივ, ეს ყოვლისმცოდნე ტიტულები ძალიან ირონიულ-პაროდირებულია სტოპარდის მხრიდან, მაგრამ ამავდროულად ძალიან დამაფიქრებელი, რადგან სერ არჩიბალდ ჯამფერი, თანამოაზრე ფილოსოფოს მოხტუნავეებთან ერთად, ახლად გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის არა მხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ამ პარტიის აქტიური წევრიცაა, შესაბამისად ლოგიკურ-პოზიტივისტური ფილოსოფიისა და იდეოლოგიის გამტარებელი პიესის რეალობის „აწმუოში“. ეს აზრი ძალიან კარგად ჩანს რამდენიმე ეპიზოდში. პირველი არის დოთის და მისი მეუღლის ჯორჯის საუბრის ეპიზოდი, სადაც ჯორჯი „ნაციონალურ საგაზეთო მფლობელთა ასოციაციის“ დაპატიმრებაზე მიუთითებს (სტოპარდი 1972: 37). ანუ ახალმა პოლიტიკურმა მოძრაობამ სცადა გავლენა მოეპოვებინა თავისუფალ მედიაზე, რადგან როგორც ცნობილია მასმედია არის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იმ იდეოლოგიის გასატარებლად, რომელიც მმართველ პარტიებს, თუ ხელისუფლებას სურს. მეორე არის ის, რომ ფილოსოფოსები, მსგავსად რადიკალ-ლიბერალური პარტიის მხარდამჭერებისა, გამოწყობილნი არიან

ყვითელი ფერის მანტიებში (სტოპარდი 1972: 83) ანუ ერთგვარი ვიზუალური, სიმბოლური ფერი. მესამე და ერთ-ერთი უმათავრესი ეპიზოდი არის ის, რომ რადიკალ-ლიბერალური პოლიტიკური მოძრაობის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტი ეპლესია გახდა რაციონალური, რაც ასევე კარგად ჩანს დოთისა და ჯორჯის საუბრის ეპიზოდში:

„**ჯორჯი**: რას მეუბნები, რომ სოფლის მეურნეობაში რადიკალ ლიბერალთა წარმომადგენელი კენტენბერიის არქიეპისკოპოსი გახდა?!“<sup>2</sup>

(“**George**: Are you telling me that the Radical Liberal spokesman for Agriculture has been made the Archbishop of Canterbury?!” (სტოპარდი 1972: 38))

ანუ პოლიტიკური ძალაუფლებით გამყარებულმა ლოგიკურმა პოზიტივისტურმა ფილოსოფიამ პრესასთან ერთად ისეთ მგძნობიარე სამყაროშიც კი შეაღწია, რასაც რელიგია და სამყაროს რელიგიური გზით შემეცნება ჰქვია, რაც ამგვარ ფილოსოფიურ შეხედულებას უმყარებს ბერკეტებს რელიგიური ინსტიტუტის მსოფლმხედველობაც საკუთარ შეხედულებას მოარგოს. მეოთხე შემთხვევა კი არის პიესის დასაწყისში, სადაც პირდაპირ გაჟღერებულია ის, რომ ეს ფილოსოფოსები, არჩის მეთაურობით, ამავე პარტიის წევრები არიან:

„**ხმა (არჩის ხმა)**: ახლა კი!- ქალბატონებო და ბატონებო! – დაუჯერებელი რადიკალი! ლიბერალი! მოხტუნავენი!“

(“**Voice (Archie's voice)**: And now!–ladies and gentlemen!–the Incredible Radical! Liberal!!-Jumpers!!”) (სტოპარდი 1972: 18)

ჯონ ბული აღნიშნავს, რომ სტოპარდი მის ადრეულ შემოქმედებაში ყოველმხრივ ცდილობდა გაქცეოდა პოლიტიკურ სფეროს, დებატებში ჩაბმას, არა იმიტომ, რომ ის დაინტერესებული არ იყო პოლიტიკით, არამედ ის უნდობლობით უმზერდა ამგვარი თეორიების მართებულობას, თუმცა ამისდამიუხედავად 1972 წლის „მოხტუნავენის“ ჩვენების შემდეგ მან აღნიშნა, რომ ეს პიესა პოლიტიკაზე ან იდოლოგიაზე იყო, თუმცა იქვე დაამატა, რომ მისი რწმენით ყველა პოლიტიკურ ქმედებას მორალური საფუძველი უნდა

<sup>2</sup> წინამდებარე თავში ციტატების თარგმანი პიესიდან „მოხტუნავენი“ ეპუთვნის დისერტაციის ავტორს.

გააჩნდეს, რის გარეშეც ის უმნიშვნელო და უაზრო იქნება (ქელი 2001: 137). რა მორალის მატარებელია ამ პიესაში გატარებული პოლიტიკური იდეოლოგია, ზემოთ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, თუმცა სტოპარდი ამას არ ჯერდება და ერთ ძალიან საინტერესო ირონიულ პარალელსაც გვთავაზობს, რაც შესაძლოა პირამიდის, სამკუთხედის რდევის ერთ-ერთი იდეური ნაწილიცაა. მოხტუნავე ფილოსოფოსების დაინტერესება გიმნასტიკის მიმართ, ასევე მუსიკის თანხლებით მათი არსებობა იმ პირამიდული ფორმის სამკუთხედში, რომელზეც ზემოთ დაწვრილებით ვიმსჯელეთ, შეიძლება კავშირში იყოს იმ იდეალური სახელმწიფოს მშენებლობის იდეასთან, რომელსაც პლატონი „სახელმწიფოში“ ანვითარებს, რაც შესაძლოა „მოხტუნავენის“ მორალურაციონალურ, ფილოსოფიურ-რელიგიურ თემატიკას პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დატვირთვასაც მატებდეს.

პლატონი, სოკრატეს სიტყვებით, იდეალურ სახელმწიფოს სამ(!) უმთავრეს პრინციპზე დაყრდნობით აყალიბებს, რაც კარგად არის განხილული „სახელმწიფოს“ პირველ ოთხ თავში. ეს პრინციპები არის ზომიერება, სიმამაცე და სიბრძნე ანუ პლატონის თქმით ეს სამი თვისება ქმნის სამარათლიანობას, მაშინ, როცა ბუნებით ეს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული წოდება თავ-თავის საქმეს ასრულებს (პლატონი 2003: 142,143). ეს სამი თვისება კი ასოცირდება სულის იმ სამ თვისებასთან, რომელზეც ზემოთ უპვე ვიმსჯელეთ, შესაბამისად სამართლიანი და იდეალური სახელმწიფოს მშენებლობა პლატონის აზრით იმთავითვე იმ დიდი ტრიადის იდეაში მოიაზრება, რომლის შექმნასაც სტოპარდის მოხტუნავე ფილოსოფოსები მხოლოდ გარეგნულად ცდილობენ. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ ამ პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ ფილოსოფიური ხედვით, რომელსაც რადიკალ-ლიბერალი ლოგიკური პოზიციისტები წარმოადგენენ, შეიქმნება იდეალური სახელმწიფო მმართველობა, თავის თავშივე მოიცავს ტყუილს, რადგან ისინი საკუთარი მსოფლმეხდველობით თუ ფილოსოფიით ეწინააღმდეგებიან, ჯერ პლატონურ და შემდეგ იუდეურ-ქრისტიანულ სამების უმთავრესს პრინციპს, ანუ სამყაროს შექმნის დმერთისმიერ, სამებისმიერ, პირამიდისეულ შეხედულებას. შესაბამისად მათი გამარჯვება თანამედროვე პოლიტიკურ სარბიელზე და მათი მხრიდან მცდელობა იდეალური სამყაროს მშენებლობისა თავიდანვე ტყუილია, როგორც ბოდრიარი ამბობს,

სიმულაკრული და როგორც ეს თანამედროვე რეალობაში იდეალური ქვეყნის სიმბოლოდ შექმნილი „დისნეის სამყაროს“ მაგალითით, ხოლო პიესაში მოხტუნავე ფილოსოფოსების მიერ სამკუთხედის შექმნის მცდელობის მაგალითით ჩანს, რომელიც შეიძლება ითქვას ერთი მხრივ სწრაფვაა იმ პირველქმნილ იდეალურ სამყაროს შექმნისკენ, რომელსაც ედემის ბალი ერქვა, თუმცა მეორე მხრივ ამ სამყაროთი ადამიანის სიმულაციურ ველში მოქცევის მცდელობაა და ყალბი მოჩვენებაა იმისა, რომ ადამიანსაც შეუძლია შექმნას ის, რაც უზენაესმა ძალამ შექმნა.

პლატონი „ტიმეოსში“ სამყაროს პირველსაწყისებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნებოდა სამყაროს შემქმნელის, დემიურგოსის მხრიდან სამყაროს შექმნა, თუ მას პირველნიმუში არ ექნებოდა, რადგან: „ყოველივე ის, რაც იბადება, აუცილებლად ამა თუ იმ მიზეზის ძალით იბადება, რადგან შეუძლებელია უმიზეზოდ დაიბადოს რამე. ამიტომ, როცა შემოქმედი მარად უცვლელსა და იგივეობრივ არსს უმზერს და საგნის ფორმისა თუ თვისების შექმნისას პირველნიმუშად იყენებს მას, მთელი ქმნილება აუცილებლად მშვენიერი გამოვა; ხოლო თუ ის დაბადებულს უმზერს და დაბადებულსვე იყენებს პირველნიმუშად, მისი ქმნილებისათვის უცხო იქნება მშვენიერება“ (პლატონი 1994: 288). გამოდის, რომ თავად პლატონი უარყობს იმ იდეალური სამყაროს არსებობის შესაძლებლობას, რომელსაც თანამედროვე სამყაროში, თანამედროვე ტექნოლოგიებით ადამიანი ცდილობს, რომ შექმნას, რადგან ადამიანისათვის დემიურგოსული, თეისტური „შემოქმედის“ (პოეტეს), „მამის“ (პატერის), „შემკრების“ (სინაგონ), „კეთილის“ (აგათოს) და სხვ. ერთი სიტყვით სამებისა და ღმერთის აზრი და იდეა მკვდარია, ხოლო ამგვარი საზოგადოება, პლატონისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ ის (ანუ შემქმნელი დ.მ.) დაბადებულს უმზერს და დაბადებულსვე იყენებს პირველნიმუშად, მისი ქმნილებისათვის უცხო იქნება მშვენიერება“ (პლატონი 1994: 288). ამით სტოპარდი ერთი მხრივ გვიჩვენებს იმ აწმუნს, რომელშიც შეიქმნა და მიმდინარეობს პიესის მთელი სიუჟეტი, რომელსაც დღევანდელი გადმოსახედიდან პოსტმოდერნისტული სამყაროს სიუჟეტი შეიძლება ვუწოდოთ, ხოლო მეორე მხრივ გვიჩვენებს ამგვარ რეალობასა და აწმუნში დიდი ტრიადის, სამების, როგორც ნამდვილის, ჭეშმარიტის არსის მნიშვნელობას, რომელზეც უნდა იყოს დაშენებული არა მხოლოდ სამყაროს

შექმნის შეხედულებები, არამედ სახელმწიფოსიც, რადგან, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს „მორალის“ გარეშე უველაფერი, მათ შორის პოლიტიკაც უაზროა. მესამე და უმნიშვნელოვანესი, რასაც სტოპარდი ამ ტრიადის იდეის გარშემო აერთიანებს არის ის, რომ მსგავსად მოხსენიავე ფილოსოფოსებისა, თანამედროვე ადამიანიც, თანამედროვე სამყაროში, ვეღარ ქმნის იმ პირამიდას, სამკუთხედს, დიდ ტრიადას თუ სამებას, რადგან როგორც ზემოთ უკვე ვახსენე არსებობს მკვლელობა ანუ სიკვდილი.

სტოპარდის შემოქმედების მკვლევარები უამრავს საუბრობენ და წერენ „მოხსენიავენში“ მორალის თემის შესახებ. პიესაში ასეთი აზრის გამტარებელი მორალური ფილოსოფიის პროფესორი, იდეალისტი ჯორჯ მურია, რომელიც საკუთარი მოხსენებით „ადამიანი – კარგი, ცუდი თუ გულგრილი?“ (“Man – good, bad or indifferent?”) (სტოპარდი 1972:46) ცდილობს სამყაროში ღმერთის არსებობის დამტკიცებას. თუმცა ეს ჯორჯ მური არ განასახიერებს ბერტრანდ რასელის, ლუდვიგ ვიტგენშტეინის და აიერის თანამოაზრე ჯორჯ მურს, რადგან, როგორც ცნობილია, მათ ღმერთის არ სწამდათ.

ჯონ ფლემინგი საკუთარ წიგნში „სტოპარდის თეატრი“, „მოხსენიავენში“ ღმერთის არსებობა-არარსებობაზე კომენტირებისას, გამორიცხავს პიესაში ღმერთის ქრისტიანული რელიგიური გაგების მნიშვნელობას და ღმერთის ჯორჯისმიერ რწმენას თეისტურ ჰუმანისტურს უწოდებს, რასაც ჯერ თავად მთავარი მოქმედი პერსონაჟის აზრის ციტირებით ხსნის: „თუ ღმერთი არსებობს, უეჭველია, იგი რელიგიამდეც არსებობდა. ის არის ფილოსოფოსთა ღმერთი, ლოგიკურად გამოყვანილი ცხადი წანამძღვრებიდან. ის, რომ მას კურთხეულ მხარდაჭერთა კლუბი გაუჩნდებოდა, მხოლოდ ფსიქოლოგიური ინტერესის საკითხია“ (ფლემინგი 2001: 91) (სტოპარდი 1972: 39,40) და მოგვიანებით ფლემინგი ციტირებს სტოპარდის დამოკიდებულებას რელიგიის შესახებ, სადაც ის ამბობს, რომ მას ღმერთის სჯერა და იგი ცდილობს, რომ მოიქცეს ისე, რომ ის არსებობს, მაგრამ მისთვის გაუგებარია რელიგიური ცერემონიები, რადგან მას მიაჩნია, რომ ღმერთზე ფიქრი ინტელექტუალური თვალსაზრისით დაუშეგებელია. თუმცა მას უფრო მეტად აღიზიანებს მილიტანტური ჰუმანიზმი, ვიდრე ეგანგელიზმი (ფლემინგი 2001: 93). პიესის მთავარი გმირის და სტოპარდის აზრები ღმერთის შესახებ სრულებით

ესადაგება ერთმანეთს და ფლემინგის ეს დაკვირვებაც შეიძლება ითქვას გამოხატავს ავტორის დუალისტური ბუნების ერთ-ერთ მაგალითს, რაღაც ზემოთ მოყვანილი სტოპარდის სიტყვების მიუხედავად, „მოხტუნავენის“ აზრობრივი ქსოვილი ცნობიერად თუ არაცნობიერად გამოხატავს ავტორის ინტერესს, როგორც ფილოსოფიური ასევე იუდეურ-ქრისტიანული დმერთისადმი.

დმერთის ფილოსოფიური დაკვირვება კარგად ვლინდება პიესის სხვა მონაკვეთშიც, სადაც ჯორჯი დმერთის შესახებ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ აღნიშნავს: “Cogito ergo dues est” (I think, therefore God is) (მე ვფიქრობ, მაშასადამე დმერთი არსებობს) (სტოპარდი 1972: 72), რომელიც დეკარტეს ცნობილი გამონათქვამის “Cogito ergo sum” (I think therefore I am) (მე ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ) შეცვლილი ვარიანტია.

რას შეიძლება აღნიშნავდეს “Cogito ergo dues est”?

„ვაზროვნებ მაშასადამე დმერთი არსებობს“ დეკარტეს გამონათქვამის სტოპარდისეული ინტერპრეტაციაა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველაფრის შემოქმედი არის დემიურგოსი, რომელიც პლატონის „ფილებოსში“, როგორც ამას ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს: „ზეცისა და მიწის მეუფედ – კოსმიურ თუ ზეკოსმიურ „გონებადაა“ სახელდებული“ (პლატონი 1994: 119). ანუ ჯორჯი, შესაბამისად სტოპარდი ანვითარებს შემდეგ აზრს, რომ აზროვნება, ფიქრი, როგორც საფუძველი სიბრძნისა, სიბრძნისმოყვარეობისა ანუ ფილოსოფიისა, არის სწრაფვა რეალური ცხოვრებისაკენ ანუ ჭეშმარიტებისაკენ ანუ იმისკენ, რასაც დემიურგოსი უჭვრებდა, შესაბამისად ფიქრი არის უპირველესი, რაც შექმნილი მატერიალური რეალობის, როგორც პირველნიმუშის ასლის ამაოებაში გვაფიქრებს და სხვა რეალობის, ჭეშმარიტების ძიებისაკენ გვიბიძგებს, მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა ჯორჯის თანამედროვე სამყარო ანუ პოსტმოდერნისტული სამყარო სიმულაციური, ხელოვნური, ჰიპერრეალური სამყაროა, ხოლო ამ სიმულაციული სამყაროდან გამოსვლა ფიქრის გარეშე წარმოუდგენელია. დეკარტესეულად თუ ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ, მაგრამ სად ვარსებობ? ის სამყარო, რასაც მე ვუმზერ რეალურია? თუ რეალური არსებობა ფიქრი და აზროვნებაა, შესაბამისად დმერთი არის,

რადგან მე ვიწყებ კოპირებული, სიმულაციური სამყაროდან გამოსვლას, რომელიც რეალობაში არსებობს და ვისტრაფი ორიგინალისაკენ ანუ ჰეშმარიტებისაკენ ანუ ღმერთისაკენ. ისევე, როგორც ქრისტე ამბობს: „მე ვარ გზა, სიცოცხლე და ჰეშმარიტება“ (იოანე 14.6) ანუ ფიქრის დაწყება არის გზა, რომელიც გვარკვევს არსებულ ბურუსში. თუ გზა ვიპოვნე შესაბამისად ვფიქრობ, ხოლო თუ ვფიქრობ შესაბამისად ვარსებობ ანუ ვცოცხლობ, ხოლო თუ ვცოცხლობ ამ აზრით შესაბამისად ვისტრაფი ჰეშმარიტებისაკენ. შესაბამისად, როცა მე ვფიქრობ ესე იგი ვარსებობ ანუ ვცოცხლობ და თუ ვცოცხლობ ესე იგი ახლოს ვარ ჰეშმარიტებასთან ანუ ღმერთთან ანუ მამა, ძე და სულიწმინდასთან ანუ სამებასთან. როგორც ვხედავთ, იუდეურ-ქრიტიანული ღმერთის გზა, სიცოცხლე და ჰეშმარიტება იგივეა, რაც პლატონური ღმერთის გონება, ფიქრი და სიბრძნე.

როგორც დეკარტესეული გამონათქვამის ინტერპრეტაციიდან და პირამიდის, იგივე სამკუთხედის, იგივე სამების მაგალითით ვნახეთ ავტორი ცნობიერად თუ არა ცნობიერად გამოხატავს დუალისტური ბუნების მეორე მხარესაც, რომელიც ფილოსოფიურთან ერთად იუდერ-ქრისტიანული მხარეცაა. იგივე შეიძლება დავინახოთ „მოხტუნავენის“ პიესის მსვლელობაშიც, სადაც ავტორი თანამედროვე სცენაზე, თანამედროვე ეპოქაში, თანამედროვე ადამიანებში შემოჰყავს ბიბლიური სცენა.

პირველად ეს ვლინდება ისევ და ისევ პიესის დასაწყისში, სადაც სტოპარდი ხსნის სათამაშო არეალს, რომელიც სამი(!) არეალისგან შედგება: კაბინეტი, პოლი და საძინებელი (სტოპარდი 1972: 13). თუმცა ეს სამივე ოთახი ერთი სახლის, ერთი ადგილის ნაწილია, რაც ერთგვარად ზემოთ განხილულ სამების იდეის ჭრილში ძალიან დამაფიქრებელია, როგორც პიესის დასაბამის ანუ მხატრული სამყაროს შექმნის თვალსაზრისით. სახლის მფლობელი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე ჯორჯ მური, მორალური ფილოსოფიის პროფესორი და მისი მეუღლე უმშვენიერესი დოროთია. ერთი მხრივ ეს თითქოს ჩვეულებრივი ავტორისეული აღწერილობაა, როგორც სათამაშო ადგილის, ასევე ორი მთავარი მოქმედი პერსონაჟის, თუმცა მეორე მხრივ აქ შეიძლება იდოს ის მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც სტოპარდის დუალისტური ბუნების, სამების ანუ იუდეურ-ქრისტიანული იდეის გაგრძელებაა. როგორც როზენკრანცი და გილდენსტერნი სტოპარდის ფილმში

თანამედროვე სამყაროში მაცხოვრებელ როზენკრანცსა და გილდენსტერნს განასახიერებენ, ასევე ჯორჯი და დოროთი შესაძლოა თანამედროვე სამყაროში მაცხოვრებელ პირველ ადამიანებს, ადამსა და ევას განასახიერებდნენ ანუ სამყაროს შექმნის იუდეურ-ქრისტიანულ ვერსიას.

მეორე, რაც ამ აზრის განვითარების საშუალებას იძლევა, არის პირამიდაში და ზოგადად სახლში სიკვდილის სცენა, რომელიც ანგრევს სამკუთხედს ანუ სამყაროს პლატონურ თუ იუდეურ-ქრისტიანულ აღქმას და ამავე სახლში იწვევს ქაოსს და გაურკვევლობას თუ ვინ რატომ ან რისთვის ჩაიდინა ერთ-ერთი მოხტუნავის მკვლელობა. პირამიდაში ანუ სამკუთხედში როგორც იმ უკვდავი, იდეალური სამყაროს მოდელის თუ გეომეტრიულ სივრცეში მოკლული მოხტუნავის გამოცარიელებულ ადგილას პიესის მთავარი მოქმედი პერსონაჟის დოთის გამოჩენა კი (სტოპარდი 1972: 21), ალუზიური თვალსაზრისით ერთი მხრივ გვახსენებს ედემის ბაღს, ხოლო მეორე მხრივ მოკლულის ადგილას მისი დგომა ამ ბაღის დაკარგვაში ქალის ანუ ევას მნიშვნელობას. (იხილეთ დანართი 15) ალბათ ამიტომაც ებლაუჭება კაბაზე სიკვდილის პირას მყოფი მაკფეი, რომელიც თითქოს მას ადანაშაულებს და საკუთარ სისხლით დასვრილ ხელებს აწმენდს დოთის კაბაზე (სტოპარდი 1972: 21). ისევე, როგორც ინსპექტორი ბონსი, რომელიც თავიდანვე ბრალს დებს დოთის მის სახლში მომხდარ მკვლელობას (სტოპარდი 1972: 45). დამაფიქრებელია გვარი ბონსის ანუ “Bones” ინგლისური დეფინიცია, რაც ძვლებს ნიშნავს, ძვალი კი სიკვდილის აღმნიშვნელია, რასაც ქრისტიანულ სიმბოლიკაში ადამის თავის ქალა წარმოადგენს, როგორც ადამიანის მოკვდინების სიმბოლოს, ხოლო სახლში მომხდარ მკვლელობაზე ბონსის და ჯორჯის დიალოგი, როგორც ადამის პერსონაჟის საწყისი და სასრული მხატვრული გამომსახველობითი მდგომარეობა, ბიბლიური სიუჟეტის პაროდიულ-სიმბოლური აზრის მამოძრავებელია პიესაში. ისევე, როგორც ბონსის შენიშვნა-კომენტარი ჯორჯის მოხსენებაზე, როგორც ძვლის ანუ წარსული ადამის ხმა თანამედროვე ადამს: „არიან ღმერთი? არასწორია დასაწყისისთვის“ (“Are God? Is wrong for a start”) (სტოპარდი 1972: 46), რადგან ადამმაც და ევამაც ძალიან კარგად იცოდნენ ვისგან იყვნენ შექმნილნი და ზოგადად ვინ შექმნა სამყარო, რისი მტკიცებაც უწევს თანამედროვე

სამყაროში თანამედროვე ადამიანს, ადამს ანუ პიესის მთავარ გმირს ჯორჯ მურს.

ბიბლიური ალუზიის ჭრილში ასევე ძალიან საინტერესოა შემდეგი ორი მონაკვეთი. პირველი არის სახლში მკვლელობის შემდგომი მდგომარეობა, როცა შეშინებული დოთი წარმოთქვამს მკვლელის, არჩის სახელს, რის შემდეგაც არჩი განაცხადებს: „წვეულება დასრულებულია...“ (“Party is over.....”) (სტოპარდი 1972: 21). თითქოს პიესის ასეთი დასაწყისი მოგვაგონებს იმ იდეალურ სამყაროს, რომელშიც ადამი და ევა იმყოფებოდნენ. თანამედროვე სტოპარდისეული ირონიული, პოპ-კულტურული ენით, რომ ვთქვათ ედემის ბაღში სულ „ფართი“ იყო, ანუ მარადიული წვეულება, დღესასწაული, სიხარული, რომელიც თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში „ფართის“ მსგავსმა წვეულებამ, სიხარულმა ჩაანაცვლა. პირველქმნილი ადამიანების ადამ და ევას მსგავსად, თანამედროვე ჯორჯი და დოთის სახლშიც ირღვევა ის წესრიგი, რომლის შემდეგაც სრულდება წვეულება, სიხარული და იწყება ქაოსი, რომელიც დღემდე გრძელდება. შესაძლოა როგორც ზემოთ აღვნიშნე ჯორჯი და დოთი თანამედროვე ადამ და ევას მხატრულ სახეს განასახიერებენ, რომელთა სახლი და წვეულება იმ მარადიული წვეულების თანამედროვე აჩრდილია, რომელიც ედემის ბაღში მუდმივი სიხარულისა და ბედნიერების უკვდავებაში არსებობდა.

პიესაში მომხდარი მკვლელობებით და მკვლელობების შედეგად წარმოქმნილი ქაოსით, აგტორი ირონიზირებას ახდენს თანამედროვე ადამიანის სწრაფვას, შექმნას პირამიდა, სამკუთხედი, სამება ანუ იდეალური სამყოფელი თანამედროვე სამყაროში, რადგან მათში დაკარგულია ის მთვარი, პლატონური თუ იუდეურ-ქრისტიანული რწმენა, რომელიც ღმერთის არსებობის მრწამსისთვისაა აუცილებელი. ახალი ადთქმის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და სწამთ“ (იოანე 20.29), რადგან თანამედროვე სამყაროს მოაზროვნე ნაწილმა ანუ ფილოსოფიურმა ნაწილმა სამყაროს შემცნების ძიებიდან განდევნა ყოველგვარი მეტაფიზიკური, მისტიკური, თუ მწამსობრივი ნაწილი და გადავიდა მის მხოლოდ ტექნოლოგიურ-მეცნიერული, რაციონალური გზით ამოხსნაზე ისევე, როგორც ამას პიესაში არჩი და მისი თანამოაზრე ლოგიკური პოზიტივიზმის მიმდევარი ფილოსოფოსები ავლენენ. პიესაში მკვლელობის სცენის შემდეგ

ალბათ ამიტომაც შემოჰყავს სტოპარდს ეკრანი, ტელევიზორი ანუ მასმედია, სადაც კოსმოსში, მთვარეზე კოსმონავტებს შორის განვითარებული მოვლენების პირდაპირი ჩვენებაა ასახული (სტოპარდი 1972: 22), როგორც სიმბოლო იმ ეპოქის მისწრაფებებისა და ინტერესებისა, რაც ერთი მხრივ ადამიანს აძლევდა და აძლევს განუზომელ შესაძლებლობებს ტექნო-მეცნიერული თვალსაზრისით, თუმცა მეორე მხრივ ეს შესაძლებლობები აკარგვინებდა მას ადამიანურ, მორალურ თუ მგრძნობიარე სახეს, როგორც ეს კოსმონავტების ქმედებებით არის ნაჩვენები (სტოპარდი 1972: 22,23). მკვლელობის შემდეგ ტელევიზორის ეკრანის მეშვეობით მთვარის შემოყვანა სულ სხვა დატვირთვასაც შეიძლება ატარებდეს, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ზემოთ განხილული იუდეურ-ქრისტიანული იდეური ჯაჭვის მიხედვით, საინტერესოა, ვის შეიძლება განასახიერებდეს რეალური დამნაშავე, რომელიც პიესაში ყველას დოთი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში არჩიბალდ ჯამფერია?! ალბათ იმას, ვინც ედემის ბაღში შეღწევით დაასრულა მარადიული „ფართი“ და სამყაროს აცნობა ის, რასაც არჩი ახმოვანებს „წვეულება დასრულებულია“ (“Party is over”); ანუ უკვდავება, ბედნიერება და მარადიული სიხარული დასრულებულია. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ პიესაში ანუ თანამედროვე სამყაროში თავად არჩი არის იმ იდეოლოგიის მედროშე, რომელიც სამყაროს რელიგიურ და მეტაფიზიკურ შემცნებას უარყოფს და ცდილობს პოზიტივისტური პრაგმატული ფილოსოფიის განვითარებას, თავად იდებს გადაწყვეტილებას ვინ იყოს კენტენბერიის მთავარეპისკოპოსი და გაარაციონალუროს თუ არა ეკლესია (სტოპარდი 1972: 37). პიესის მსვლელობისას ასევე საფიქრებელია ექიმი, ფსიქიატრი თუ იურისტი არჩის სიახლოვე დოთისთან, რაც ძალიან ჰგავს ბიბლიაში ყველა სახის, შესაბამისად ყველა პროფესიის თუ ნიდბის მატარებელი გველის სიახლოვეს ევასთან.

თავად არჩია მკვლელი თავის თანამოაზრე გიმნასტიკური გუნდის წევრის, რვა ფილოსოფოსთაგან ერთ-ერთის, მაკფეის, რომელმაც აზრი იცვალა და იწინასწარმეტყველა სამყაროს მომავალი, რომელსაც პიესის ერთ-ერთ გმირს ჰქონის უმჯდავნებს:

„ჰენრი, მითხოდა მან, მე ვნახე მომავალი და ის ყვითელია.“

(“I have seen the future and, Henry, he said, and it's yellow.” (სტოპარდი 1972: 80))

ჰენრის და არჩის საუბარი, რომელიც მაკფეის მსოფლმხედველობის ცვლას და მომავლის ყვითელ ფერებში დახატვას შეეხება ძალიან სიმბოლურია, რადგან ყვითელი ფერი ასოცირდება როგორც რადიკალ-ლიბერალ პოლიტიკურ მოძრაობასთან, ასევე არჩის და მისი თანამოაზრე ფილოსოფოსი მოხტუნავენის უნიფორმის ფერთანაც, როგორც ეს პიესის დასაწყისში და დასარულს „გოდას“ ნაწილშიც ჩანს (სტოპარდი 1972: 83). ხოლო თავად მაკფეის საქციელი წაგავს ახალი აღთქმის მიხედვით სავლეს საქციელს, რომელიც ქრისტეს ხილვის შემდეგ იცვლის მრწამსს და ხდება პავლე ალბათ ამიტომაც ამსგავსებს არჩი მაკფეის პავლე მოციქულს.

„შესაძლოა, მაკფეის პროტეგე მალულად ჩემს მოწინააღმდეგედ იქცა, კალაპოტიდან ამოვარდა და გადაწყვიტა რომ მურის მესიისთვის წმინდა პავლეა.“

(“Perhaps Mcfee's fellow protégé, had secretly turned against me, gone off rails and decided that he was St. Paul to Moore's Messiah.” (სტოპარდი 1972: 63))

ანუ მაკფეის დასჯის მიზეზი მისი მომავლის განჭვრების ხილვაშია, რომელიც ყვითელია, ანუ არჩის და რადიკალ-ლიბერალების იდეოლოგიაში, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამყაროს შემცნების და ამოხსნის სათავეებიდან დევნის ყოველგვარ მეტაფიზიკურს და ავრცელებს მხოლოდ ტექნო-მეცნიერულ, რაციონალურ მსოფლმხედველობას, რომელიც აწარმოებს და ანგითარებს ხელოვნურ, ირეალურ რეალობას, როგორც ეს პოტმოდერნისტულ ეპოქას ახასიადებდა და ჯერ ისევ ახასიათებს. ამიტომაც ვერ იკვრება პირამიდისეული სამკუთხედი, რადგან მრწამსისმიერი ნაწილი მკვდარია. ხოლო თანამედროვე ადამიანის მცდელობა შექმნას იდეალური სამი ყოველთვის კრახით დასრულდება, რადგან მათში მკვდარია დმერთი, რომელიც არის ყველაფრის ალფა და ომება.

პიესის რეალობაში სანამ დმერთის სიკვდილის უფრო სიღრმისეულ ანალიზზე გადავიდოდე, მანამდე ბიბლიური, ახალი აღქმის ალუზის იდეურ ჭრილში კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ეპიზოდი მინდა აღვნიშნო:

“-დოთი: მიშველეთ!

-ჯორჯი: დასაწყისიდან დავიწყოთ---

-დოთი (პანიკურად): მიშველეთ! მკვლელობა!

-ჯორჯი: დასაწყისიდან დავიწყოთ: არის დმერთი? (პაუზა)... “

(“**Dotty**: Help!

**George**: to begin at the beginning---

**Dotty** (off panic): Help! Murder!.....

**George**: to begin at the beginning: is God? (pause)....” (სტოკარდი 1972: 24))

ავტორის მხრიდან ამგვარი სიტყვათა თამაში მიზანმიმართული უნდა იყოს, როგორც პიესის მკითხველის, ასევე სპექტაკლის მაყურებელისადმი, რადგან ჯორჯის მოხსენების ამგვარი დასაწყისი ძალიან ჰგავს იოანეს სახარების დასაწყისს, რომელიც ინგლისურად ასე იწყება: “In the beginning was the Word, and the Word was with God, and the Word was God” (John 1.1), („დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო დმერთთან, და სიტყვა იყო დმერთი“) (იოანე 1.1). თავდაპირველად ჯორჯის მოხსენების ამგვარი პროლოგი თითქოს მიგვანიშნებს ახალი ეპოქის, ახალ წლეულის დასაწყისს, რომელიც ერთი მხრივ გამოდის პლატონურ-ანტიკური და იუდეური ფილოსოფიიდან და მათი შერწყმით გადადის იუდეურ-ქრისტიანულ ეპოქაში ანუ იმ რეალობში, სადაც დოთი და ჯორჯი ცხოვრობენ ანუ დასავლურ კულტურაში. ხოლო მთავარი პროტაგონისტების რეალობაში გაჩენილი სიკვდილი, დოთისეული შიში თუ ჯორჯის მხრიდან დმერთის არსებობაში დაეჭვება, რაც ახალი აღთქმის შექმნის იმ ვერსიისადმი დაუჭვებასაც გულისხმობს, სადაც ნათქვამია,

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე 1.1), ალუზიური თვალსაზრისით მიგვანიშნებს თანამედროვე საზოგადოებაში პოსტნიცეპანულ მდგომარეობაზე, სადაც სამყაროს შემეცნების ბიბლიურ-ქრისტიანული სწავლება, რაციონალურმა და ტექნო-მეცნიერულმა სწავლებამ ჩაანაცვლა. ღმერთის, ბიბლიის და ქრისტეს იდეა მოკვდა თანამედროვე ადამიანისათვის. შესაბამისად, ამგვარი მსოფლმხედველობის გავრცელება ადამიანთა შორის სიკვდილის, შიშისა და ქაოსის განცდას აჩენს, როგორც ეს მურების სახლში განვითარებული მოვლენებითაა ნაჩვენები.

სად შეიძლება დავინახოთ პიესაში ნიცშესეული ფრაზა „ღმერთი მოკვდა“?

როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, პიესაში ერთ-ერთი მოხტუნავის მკვლელობა და იდეალური სამკუთხედის რდვევა ადამიანის ღმერთთან კავშირის გაწყვეტასთან ასოცირდება. თუმცა „მოხტუნავენის“ მეორე აქტში სტოპარდი მურების სახლში, შესაბამისად თანამედროვე საზოგადოებაში ღმერთის სიკვდილის სიმბოლურ გამოხატულებასაც ახდენს.

„-ჯორჯი (შეძრწუნებული): ღმერთო ჩემო!

(ჯორჯი აბაზანიდან შემოდის, ბრაზისგან გაფითრებული, აკანკალებული)  
შე მკვლელო კახავ...! ხომ შეგეძლო ცოტაოდენი წყალი ჩაგეხსა აბაზანაში!  
(ხელში მკვდარი ოქროს თევზი უჭირავს)“

(“**George** (off; horrified): My God!

(George enters from the bathroom, white, shaking with rage)

You murderous bitch...! You might have put some water in the bath!

(he is holding a dead goldfish)” (სტოპარდი 1972: 74))

ღმერთის ინტერპრეტაციას ორი ფაქტორი იძლევა. პირველი არის მკვდარი თევზი, ხოლო მეორე ჯორჯის რეაქცია მკვდარი თევზის ხილვისას “My God” (ღმერთო ჩემო). ამგვარი შეძახილი მკითხველსა თუ მაყურებელში აუცილებლად ორ ასოციაციას გამოიწვევს. პირველი იქნება ჩვეულებრივი

ადამიანური შეძახილი, თუმცა ამ შეძახილის შემდეგ მკვდარი თევზის გამოჩენა ცნობიერად თუ არაცნობიერად თევზის სიმბოლოს წარმართული თუ იუდეურ-ქრისტიანული მნიშვნელობის ძიებისაკენ გვიძიბებს.

თევზი ბერძნულად “Ichthys”-ს აღნიშნავს, რაც შემდეგს გულისხმობს: “Jusus Christ, (იესო ქრისტე) God’s son, (ქა ღვთისა) Savioer” (მხსნელი). ანუ “Ichthys” რომ დავშალოთ, Iesus- Jusus-იესო, Christos-Christ-ქრისტე, Theo-God-ღმერთი, uiion-Son-ქა, Soter-Savier-მხსნელი. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში რომაელთა დევნის პერიოდში თევზის სიმბოლიკას ერთმანეთის და სხვა ქრისტიანების ამოსაცნობად იყენებდნენ.  ხოლო მარცხნივ მცურავი თევზი ბერძნული ანბანის პირველ ასოს „ალფას“ გამოხატავს, რაც ახალი აღქმისულ ციტატას აღნიშნავს: “I am alpha and Omega, the beginning and the end, saith the Lord which is, and which was and which is to come the allmighty” ( King Arthurs version, revelation 1;8). „მე ვარ ანი და ჰოე, - ამბობს უფალი ღმერთი, - ის ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოვლისმპყრობელი“ (გამოცხადება 1.8).

ასევე მნიშვნელოვანია თევზისა და წყლის ერთმანეთთან კავშირი, რადგან, როგორც ცნობილია, ითანე ნათლისმცემლის ხელით ქრისტეც წყლით მოინათლა, ხოლო პიესის რეალობაში თევზის უწყლოდ დატოვებამ თევზის სიკვდილი გამოიწვია, რადგან არ მოხდა იმ ნათლის მიღება, რომელიც ქრისტემ წყლის სახით მიიღო ანუ თანამედროვე სამყაროში არ მოხდა ღმერთის მიღება, რადგან იგი თანამედროვე სამყარომ წყლის ანუ სიცოცხლის გარეშე დატოვა, რადგან არ შედგა ის რიტუალი, რომელიც 2000 წლის წინ შესრულდა: „როცა მთელი ხალხი ინათლებოდა და იესოც მოინათლა და ლოცულობდა, გაიხსნა ცა და გარდამოხდა მასზედ სულიწმინდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი, და გაისმა ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ქე, რომელიც მოვიწონე მე“ (ლუკა 3.21).

სტოპარდის ინტელექტუალობა და გამორჩეულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ერთმნიშვნელოვან, ერთაზროვან თხრობას არ გვთავაზობს, პირიქით მისი დუალისტური ბუნება, ორსახოვნება, არა მხოლოდ პერსონაჟების სახეების შექმნაში, არამედ აქაც თევზის სიმბოლოშიც ვლინდება.

როგორც ცნობილია თევზი მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლო არ არის. მას მრავალი ქვეყნის მითოლოგიასა და კულტურაში დიდი სიმბოლური

დატვირთვა აქვს. თევზის სიმბოლოსთან ასოცირდება ქალღმერთი ეთარგებისის სახელი, რომელიც ერთ-ერთი თქმულების თანახმად ზღვაში (ანუ წყალში დ.მ.) ჩავარდა და თევზად იქცა, ხოლო მისი ქალიშვილი მტრედად(!) (კოლიმენი 2007:106). ანტიკურ სამყაროში თევზის სიმბოლო ასევე ასოცირდება რეინკარნირებულ ბავშვთანაც(!), როგორც ეს ინდურ მითოლოგიაშია ასახული. ეთარგებისის სახელი კი ბერძნულ მითოლოგიაში ასოცირდება ქალღმერთ აფროდიტესთან, ხოლო თავად აფროდიტე ქალღმერთ ვენერასთან, როგორც სექსის, სიყვარულის, ნაყოფიერების, მშვენიერებისა და გამარჯვების აღმნიშვნელი, ისევე, როგორც თევზი მრავალი სხვა წარმართული ქალღმერთების სიმბოლურ გამოვლენად აღიქმებოდა. (მაგ; ქალღმერთი აისისი, რომელსაც თავზე თევზი აქვს გამოსახული და ჩვილ პურუს ძუძუს აწოვებს. ქრისტიანულ ეპოქაში მას მარიამ ღვთისმშობელთან და ჩვილ იესოსთანაც აკავშირებენ.) (იხილეთ დანართი 16)

ზემოთ ნახსენები წყლის და თევზის იდეურ ჭრილში ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ აფროდიტეც და ვენერაც ზღვის ქაფისგან ანუ წყლის სიმბოლური მნიშვნელობისგან იშვნენ. თავად ქალღმერთი ვენერა კი ახალ მთვარესთან ასოცირდება.

მთვარის და წარმართული ქალღმერთის, ვენერას/აფროდიტეს როგორც თევზის და ანტიკური ქალღმერთის მნიშვნელობა დოთის პერსონაჟის მხატვრულ სახეში შეიძლება დავინახოთ. პირველი ამგვარი ნიშანი პირველ და დასკვნით ნაწილში ჩანს, სადაც დოთი ასრულებს სიმღერას სიყვარულსა და მთვარეზე:

„ლურჯო მთვარევ  
შენ დამინახე მე მარტო მდგომი  
ოცნების გარეშე საკუთარ გულში  
ეს მთვარის ნათება უნდა ყოფილიყო  
გზა ზევით ლურჯი მთვარისკენ  
შენ დამინახე მე მდგომი....

გემშვიდობები სულელო ჯუნი მუნ.“

(“Blue moon

You saw me standing alone  
Without a dream in my heart  
It must have been moonglow  
Way up in the Blue Moon

You saw me standing---“ (სტოპარდი 1972: 20))

( “Goodbye spoony Juney Moon.” (სტოპარდი 1972: 89))

მეორე, თავად დოთის და არჩის ურთიერთობა, რომელიც ანტიკური დმერთებისა და ქალღმერთების მსგავსად ეროსულ ურთიერთობებში შეიმჩნევიან (სტოპარდი 1972: 60).

მესამე არის ის, რომ ანტიკურ მითოლოგიაში ქალღმერთ ვენერას საკრალურ დღედ პარასკევი დღე ითვლებოდა, რადგან სჯეროდათ, რომ პარასკევი დღის პირველ საათს პლანეტა ვენერა განაგებდა. ამ აზრობრივ ჭრილში ისიც ადსანიშნავია, რომ ქრისტიანულ სამყაროში პარასკევი დღე ქრისტეს სულის განტევების დღედ აღიქმება, ამ კავშირების საფუძველს თვეზის და ქალღმერთი ვენერას სიმბოლიკური მნიშვნელობების გარდა პიესაში ტელე ეპრანიდან მთვარის გამოჩენა და მთვარეზე განვითარებული მოვლენების ჩართვაც გვაფიქრებინებს, რომელიც სცენაზე განვითარებული მკვლელობების ჩვენებას მოსდევს. დოთის, როგორც მითოლოგიური სიმბოლიკის მატარებლი პერსონაჟის კავშირს ქალღმერთ ვენერასთან, თვეზთან, მთვარესთან თუ პარასკევ დღესთან, „მოხტუნავენის“ ერთ-ერთი დადგმის ვიზუალური სურათიც მოწმობს, სადაც დოთი ნახევარ მთვარეზე მჯდომიარე გამოდის სცენაზე, რაც კრაგს აზრს, რომ დოთი არა მხოლოდ იუდეურ-ქრისტიანული ევას პერსონიფიცირებაა, არამედ წარმართული ქალღმერთების მხატრული სახისაც, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს პიესის თხრობის მრავალპლანიანობას და სიმბოლიკურ-სემიოტიკური გზავნილების მრავალფეროვნებას. (იხილეთ დანართი 17)


თუმცა მთავარეს იდეურ ანალიზში ყველაზე ყურადსაღები ალბათ იგივე დოთის შეფასებაა:

„საცოდავი მთვარის კაცი, სახლში ლუციფერივით ეცემა.“

(“Poor moon man, falling home like a Lucifer.” (სტოპარდი 1972: 38))

ამ შეფასებით, ავტორი ზემოთ განხილული თევზისა და მთვარის დუალისტური სიმბოლოების გამოყენებით თანამედროვე სამყაროში იმ ცოდვის წრიულობაზე მიანიშნებს, რომელიც ლუციფერის სამოთხიდან გამოძევებით დაწყებული, ადამ და ევას ედემის ბალიდან გამოძევებით გაგრძელებული და სტოპარდის „მოხტუნავენში“ ადამიანის მთვარიდან დედამიწაზე დაშვებით და მაკვეის პირამიდაში სიკვდილით დამთავრებული, თანამედროვე სამყაროშიც გრძელდება.

თევზის, როგორც იუდეურ-ქრისტიანულ სიმბოლოზე საუბრისას იხიც მნიშვნელოვანია, რომ Ichthys ანუ იესოს, ანუ ღმერთის მოწაფეები, ოთხთავის ავტორები ლუკა, იოანე, მათე და მარკოზი მეთევზეები იყვნენ.



როგორც ილუსტრაციიდან ჩანს ოთხი თევზი, როგორც ოთხი სახარების და ზოგადად ოთხის სიმბოლური მნიშვნელობა კრავს იმ ჯვარს, რომელიც თავად ქრისტეს სიმბოლოა, ხოლო ოთხის გამამყარებელი ციფრი რვაა, როგორც ამას უმბერტო ეკო „ვარდის სახელში“ ბიბლიოთეკის არქიტექტურის აღწერისას აღნიშნავს, ხოლო რვა ადამიანი „მოხტუნავენშიც“ გვხვდება, როგორც ადამიანთა ის რაოდენობა, რომლებმაც უნდა შექმნან პირამიდა ანუ სამკუთხედი ანუ სამება. პიესაში, პირამიდის მსგავსად, თევზის მნიშვნელობაც სამკუთხედის, სამების ანუ ღმერთის სიმბოლოდ გვევლინება.

თუმცა რვა კაციანი პირამიდის რდგევის შემდეგ დარჩენილი შვიდი ფილოსოფოსი ანუ ციფრი შვიდი, ახალი აღთქმის ერთ-ერთი ეპიზოდის იოანეს გამოცხადების აპოკალიფსური ეპიზოდის, შვიდი საყვირის სიმბოლოს ანალიზისკენ გვაფიქრებინებს.

რას უნდა აღნიშნავდეს ციფრი შვიდი?

როგორც სტოპარდის „მოხტუნავენის“ პირამიდისა და უმბერტო ეკოს „ვარდის სახელის“ ციტადელის სიმბოლიკების შედარებისას ვახსენე, მონასტერში იოანეს გამოცხადების მიხედვით, შვიდი საყვირის სიტუაციური მსგავსებით, მკვლელობების სერიები მიმდინარეობს, რომელსაც ციტადელის მეშვიდე დღეს ცეცხლით განადგურება მოჰყვება. ეკოს რომანშიც, ისევე, როგორც სტოპარდის პიესაში ციფრი შვიდის და ცეცხლის ამგვარი ჰარმონიული ურთიერთობა ქრისტიანული შვიდის და ანტიკური ცეცხლის სიმბოლურ კავშირზე მიუთითებს. პლატონური ფილოსოფიის მიხედვით, ყველაფრის თესლად და საწყისად ცეცხლი გვევლინება, ხოლო იუდეურ-ქრისტიანულ რეალობაში კი შვიდი არის დაკავშირებული სამყაროს როგორც შექმნასთან ასევე დასასრულთან.

„მოხტუნავენის“ დასაწყისში, ისევე, როგორც პიესის დასკვნით ნაწილში, იარაღიდან ცეცხლის(!) გავარდნის შემდეგ რვა ფილოსოფოსისგან, რომლებსაც შეკრული აქვთ პირამიდა, კვდება ერთ-ერთი და რვა ადამიანიდან რჩება შვიდი. პიესის დასაწყისში მკვლელობის ადგილას ჩნდება ქალი, ხოლო დასკვნითი ნაწილი კი ძალიან ჰგავს განკითხვის დღეს, სადაც შემფასებლებს წარმოადგენს თავმჯდომარის ქვეშ მსხდომი სამი მოხტუნავე ფილოსოფოსი, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ სხვადასხვა მონაწილე პერსონაჟები შვიდ მოხტუნავედ იკვრებიან და კენტერბერიის ეპისკოპოსის მიმართ გამოტანილი სასჯელი სისრულეში მოყავთ (სტოპარდი 1972: 83-86). ამ ეპიზოდს ებმის პიესის დასკვნითი ნაწილი სადაც სცენაზე ისევ ცოცხალი პირამიდა იგება და იარაღიდან გავარდნილი ცეცხლი ხდება მიზეზი რვა კაციდან ერთ-ერთის დაღუპვის. შესაბამისად ისევ ირღვევა პირამიდა და სცენაზე რჩება შვიდი მოხტუნავე ანუ ციფრი შვიდი.

რა თქმა უნდა ამგვარი აზრობრივი სიუჟეტი სტოპარდის მხრიდან მხილება და პაროდირებაა თანამედროვე სამყაროში ახალი რაციონალური, იდეალური სამყოფელის შექმნისა, რადგან თანამედროვე სამყაროში არჩი და მისი

თანამოაზრე ფილოსოფოსები ერთი მხრივ უარყოფენ სამყაროს პირამიდისეულ, სამკუთხედისეულ თუ სამებისეულ ანუ პლატონურ და ოუდეურ-ქრისტიანული სამყაროს მოწყობის მოდელს, თუმცა მეორე მხრივ ამავე მეთოდებით ცდილობენ ამგვარი სიმბოლიკის გამოყენებით შექმნან ღმერთის მსგავსი ახალი ადამიანი, რომელიც პიესის ეპილოგის მსგავსად თვითონ გადაწყვეტს და აღასრულებს განკითხვის მსგავს სცენებს. ალბათ ამიტომაც ჰქვია ჯორჯის მკვდარ თევზე „არჩი“ (სტოპარდი 1972: 74), რადგან თანამედროვე სამყაროში თევზის სიმბოლოს რეალური მნიშვნელობა მოკვდა და სამყაროს ღმერთად არჩი და მისი იდეოლოგია იქცა. ხოლო ამგვარი იდეოლოგია სამყაროს სრულყოფილი რვიდან, აპოკალიფსურ შვიდისკენ მიაქანებს.

ამრიგად, პიესაში „მოხტუნავენი“ პოსტმოდერნიზმისათვის დამახასითებელი ინტერტექსტუალობის საინტერესო გააზრებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ ისეთი მნიშვნელოვანი ტექსტების როგორიც არის პლატონის „ტიმეოსი“ და ახალი თუ ძველი აღთქმა, სადაც სტოპარდი პირამიდის სიმბოლოს მეშვეობით გამოხატავს საკუთარი დუალისტური ბუნების, როგორც პითაგორულ-პლატონურ, ასევე ოუდეურ-ქრისტიანულ მხარეს, რაც ორივე შემთხვევაში ავტორის თეისტური ბუნების მაჩვენებელია, რაც ეწინააღმდეგება პიესის რეალობაში ანუ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში არსებულ მსოფლმხედველობას, რომელსაც პრაგმატული პოზიტივიზმის სახით რადიკალ-ლიბერალი მოხტუნავე ფილოსოფოსები, არჩიბალდ ჯამფერის თაოსნობით გამოხატავენ.

პირამიდის სიმბოლოს გარდა, პიესაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციფრ შვიდის და თევზის სიმბოლოს, რომლის ბიბლიური და ანტიკური სიმბოლიკა საუკუნეებს ითვლის. აგტორი მათი გამოყენებით პაროდირებას ახდენს პოსტმოდერნისტულ სამყაროში სიმულაკრული რეალობის ორიგინალის გარეშე მშენებლობის მცდელობას. ამგვარი ფილოსოფია კი მოხტუნავე ფილოსოფოსების მიერ აღმართული პირამიდის სრულყოფილი ციფრი რვიდან, სამყაროს სიკვდილისაკენ ანუ ციფრი შვიდისკენ ანუ აპოკალიფსისაკენ მიაქანებს, როგორც ეს პიესაში ჯერ პავლე მოციქულს შედარებული მაკვეის და შემდეგ კენტერბერიის არქიეპისკოპოსის მკვლელობის ეპიზოდებში გამოვლინდა.

### III თავი

## ჯოისი და პოსტმოდერნიზმი ტომ სტოპარდის პიესაში „პაროდისტები“

რა არის ხელოვანი? ყოველი ათასი ადამიანიდან ცხრაასი აკეთებს ხაქებს, ოთხმოცდაათი მძღვნივრად, ცხრა სათანადოდ, და მხოლოდ ერთი იღბლიანი ნაბიჭვარი არის ხელოვანი.

ტომ სტოპარდი

1972 წელს, მელ გასოუს კითხვაზე თუ რა პიესაზე მუშაობს ამჯერად, სტოპარდმა უპასუხა, რომ იგი დაინტერესებული იყო 1916 წლის ციურისით, სადაც, როგორც მისმა მეგობარმა უთხრა იმ დროისთვის უნდა ყოფილიყვნენ ტრისტან დარა, ლენინი და ფროიდი. ასე, რომ შეიძლებოდა ორ აქტიანი პიესის შექმნაზე ფიქრი, რომელიც შეეხებოდა დადაიზმისა და კომუნისტური იდეოლოგიის ურთიერთობას (გასოუ 1995: 8). თუმცა მოგვიანებით მან აღმოაჩინა, რომ იმ წლების ციურისში ლენინთან და მარასთან ერთად არა ფროიდი, არამედ ჯეიმზ ჯოისი ცხოვრობდა. ასე დაიწყო სტოპარდმა ფიქრი პიესაში ჯოისის შეყვანაზე. მოგვიანებით, 1975 წელს „პაროდისტების“ ბროდვეისეულ პრემიერაზე იმავე მელ გასოუსთან საუბრისას სტოპარდი აღნიშნავს, რომ მან „პაროდისტები“ მსახიობ ჯონ გუდისთვის შექმნა და შესაბამისი გარეგნობის პერსონაჟის ძიებაში, ჯერ ძარა, ხოლო შემდეგ ჯოისზე შეაჩერა ყურადღება, მაგრამ მოგვიანებით, როცა რიჩარდ ელმანის წიგნში ჯოისის ბიოგრაფიას სწავლობდა, მისი ყურადღება ჰენრი კარმა მიიპყრო, რომელიც „პაროდისტების“ მთავარ მოქმედ გმირად იქცა (გასოუ 1995: 29).

ელმანის წიგნში პენრი კარის და ჯოისის ურთიერთობას სულ რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი, რომელიც ორი მნიშვნელოვანი ფაქტისგან შედგება. პირველი ეს არის ჯოისის საპროდიუსერო მოღვაწეობა ციურიხის ინგლისურენოვან თეატრალურ დასში. (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ დროის ციურიხში თითქმის ყველა ენაზე იდგმებოდა წარმოდგენები ინგლისური ენის გარდა). პირველი სპექტაკლი, რომელიც უნდა დადგმულიყო იყო ოსკარ უაილდის „როგორი მნიშვნელოვანია იყო სერიოზული“ (*The Importance of being Earnest*) და სპექტაკლის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით დასახმარებლად ჯოისმა თხოვნით პერსი ბენეტს მიმართა, იმ დროისთვის ბრიტანეთის კონსულს ციურიხში. (ამ ფაქტის გამო ბენეტი, როგორც ჯოისის „ულისეს“ ასევე სტოპარდის „პაროდისტების“ პერსონაჟი გახდა) (ელმანი 1959: 436-438) (სტოპარდი 1975: 26). ამასობაში, სპექტაკლის დადგმისთვის ვერ პოულობდნენ პიესის მთავარი როლის შემსრულებელს ალჯენონს, რადგან იმ დროისთვის შვეიცარიაში როული იყო ინგლისურენოვანი პროფესიონალი მსახიობების პოვნა. ჯოისმა ამ როლზე, კარგი გარეგნობის, საკონსულოში დასაქმებული ახალგაზრდა კაცი პენრი კარი დაასახელა, რომელიც რადა თქმა უნდა როლზე დაამტკიცეს (ელმანი 1959: 439). ხოლო მეორე ფაქტი, რომელიც ელმანის წიგნში ჯოისის და პენრი კარის ურთიერთობას ასახავს არის სპექტაკლის წარმატებული ჩვენების შემდეგ პონორართან დაკავშირებული უთანხმოება, რომლის დავაშიც პოლიცია და იურისტებიც კი ჩაებნენ (ელმანი 1959: 440,441). შეიძლება ითქვას ჯოისის ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი იქცა სტოპარდის პიესის აგების იდეალ, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, პენრი კარი მთავარი მოქმედი პერსონაჟი და მთხოვბელია „პაროდისტებში“.

თავად ის ფაქტი რაც მეოცე საუკუნის ხელოვნებაში დადაიზმა და ძარამ, პოლიტიკაში სოციალიზმა და მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ, ხოლო ლიტერატურაში ჯეიმზ ჯოისმა მოახდინა, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი მიზეზთაგანი და სათავეა იმ ეპოქისა, რასაც დღეს პოსტმოდერნიზმი პქვია და სტოპარდის ინტერესი ამ სამი რევოლუციონერის და 1917 წლის ისტორიული ეპიზოდის მიმართ გახდა საფუძველი ამ სათავის უფრო მკაფიო დაკვირვებისა. ამ სამი პერსონაჟის და მათი შემოქმედების მნიშვნელობა, პიესის პირველივე სცენაში ნათლად ჩანს, როცა სტოპარდი, მათ ციურიხის ბიბლიოთეკაში,

ერთად მოუყრის თაგს და გვიჩვენებს თუ როგორ ქმნიან ისინი მეოცე საუკუნის რევოლუციებს.

სცენაზე პირველი სიტყვით ტრისტან ძარა გამოდის, რომელიც ლექსის წერის დასრულებისთანავე მაკრატელით იწყებს ლექსის სიტყვა-სიტყვით ჭრას, რის შემდეგაც დანაწევრებულ სიტყვებს ათავსებს მისსავე ქუდში და ერთმანეთში ურევს. სიტყვების მაგიდაზე მოფენის შემდეგ იგი დანაწევრებული სიტყვების ხმამაღლა კითხვას იწყებს:

“**Tzara**: Eal eta enormous appletzara

Key dairy chef’s hat he’ll learn oomparah!

Ill raced alas whispers kill later nut east,

Noon avuncular ill day Clara!” (სტოპარდი 1975: 18)

ჯონ ფლემინგი ამ ეპიზოდს მართებულად განმარტავს და მიიჩნევს, რომ სტოპარდი, ძარას მხრიდან ლექსის ამგვარი ფორმით აგებით გამოხატავს დადაიზმის და დადაისტების დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი, როგორც შემთხვევითობა (“Chance”) (ფლემინგი 2001: 107).

ამის შემდეგ ჯონისის სიტყვით გამოსვლის ჯერიც დგება, რომელიც გვენდოლინს, პიესის მიხედვით მის მდივანს, „ულისეს“ უმნიშვნელოვანეს ნაწილს „მზის ხარებს“ (*Oxen of the sun*) კარნახობს:

„-ჯოისი: (კარნახობს) მარჯვნივ, მზისაკენ წავიდეთ.....

-გენი: (იწერს) მარჯვნივ, მზისაკენ წავიდეთ.....

-ჯოისი: სამგზის.

-გენი: უჰ.

-ჯოისი: გარდამოგვივლინე, სხივმოსილო, ნათელსახოვანო, პორნჰორნ, ძალი უმოსწრაფესი შობიერებისა და ნაშობი.

-გენი: გარდამოგვივლინე, სხივმოსილო, ნათელსახოვანო, პორნჰორნ, ძალი უმოსწრაფესი შობიერებისა და ნაშობი.

-ჯოისი: სამგზის.

-გვენი: „უ.

-ჯოისი: ჰოპლა ბიჭია ბიჭია!

-გვენი: ჰოპლა ბიჭია ბიჭია!

-ჯოისი: ჰოპლა ბიჭია ბიჭია!

-გვენი: აგრეთვე სამგზის?

-ჯოისი: „უ.„<sup>3</sup>

(“Joyce: (dictating) deshill holles eamus.....

Gwen: (writing) deshill holles eamus.....

Joyce: thrice.

Gwen: Uh-hum.

Joyce: send us bright one, light one, Horhorn, quickening and wombfruit.

Gwen: send us bright one, light one, Horhorn, quickening and wombfruit.

Joyce: thrice.

Gwen: Uh-hum.

Joyce: Hoopsa, boyaboy, hoopsa!

Gwen: Hoopsa, boyaboy, hoopsa!

Joyce: Hoopsa, boyaboy, hoopsa!

Gwen: Likewise thrice?

Joyce: Uh-hum. “ (სტოპარდი 1975: 18))

---

<sup>3</sup> ჯეიმზ ჯოისი, „ულისეს“. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო ყიასაშვილმა.

ძარას მსგავსად, ჯოისის სიტყვებიც ნაკლებად გასაგები და მრავალ აზროვანია მაყურებელთა და მკითხველისათვის, თუ რა თქმა უნდა ისინი არ იცნობენ „ულისეს“ მეთოთხმეტე ეპიზოდს.

რაც შეეხება ლენინის სცენას, ის პეტერბურგში დაწყებული რევოლუციის ცნობით იხსნება, რომელსაც მისი მეუღლე ნადია ამცნობს, რასაც ლენინის შეძახილი „რევოლუცია“ მოჰყვება, რაც პიესის სამი რევოლუციონერის გამაერთიენებელი ხდება, რადგან სიტყვა „რევოლუციას“ წამოძახილის პარალელურად ჯოისის სცენაზე მიმოსვლა და ქადალდში ჩანიშნული სიტყვების კითხვა მოხდევს, რომელიც „ულისეს“ შექმნის პროცესს წარმოაჩენს (სტოპარდი 1975: 19), ხოლო ჯოისის და ლენინის მოქმედებებს წინ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძარას ექსპერიმენტული პოემის, ექსპერიმენტული შექმნა უძღვოდა:

“**Tzara**: Clara avuncular!

Whispers ill oomparah!

Eel nut dairy day

Aplpletzara....

...hat!“ (სტოპარდი 1975: 18)

პიესის ამგვარი ლინგვისტური პროლოგი მკითხველს და მაყურებელსაც ლინგვისტური ქაოსის, გაურკვევლობის და რაღაც ახალის, ჯერ გაუგონარის დაწყების განცდას უდგივებს, რაც როგორც აღვნიშნე პოლიტიკაში კომუნიზმის, ლიტერატურაში „ულისეს“ და ხელოვნებაში დადაიზმის მოსვლას, შესაბამისად მეოცე საუკუნის დიდ რევოლუციებს უკავშირდება.

ამგვარი ლინგვისტური ქარიშხალი პიესაში ორ ფაქტორთანაც შეიძლება იყოს დაკაგშირებული. პირველი, თავად „ულისეს“ მეთოთხმეტე ეპიზოდთან, რომელსაც პიესის მიხედვით ჯოისი ბიბლიოთეკის სცენაში ქმნის. როგორც ცნობილია „მზის ხარები“ (*Oxen of the Sun*) ინგლისური ენის წარმოშობას, მის დაბადებას და განვითარებას შეეხება, ლათინური და ანგლო-საქსური ენების თხრობის სტილით, ჯოისი აპაროდირებს ინგლისური ლიტერატურული ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდებს, (საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „მზის

ხარების“ ეპიზოდში, ლეოპოლდ ბლუმი პორნის სამშობიარო სახლისაკენ მიისწრაფის, რათა მოინახულოს ქალბატონი პიურფოი, რომელსაც გართულებული მშობიარობის გამო მესამე დღეა ბავშვი ვერ გაუჩენია (ჯოისი 2012: 379) ანუ პიესის იდეურ ჭრილში, რომ გავაანალიზოთ გამოდის, რომ სტოპარდი ჯოისის „ულისეს“ ამ ეპიზოდის წინ წამოწევით რადაც ახლის დაბადების სიმბოლურ გამოვლენას გვაუწყებს, რაც შეიძლება პოსტმოდერნისტული ეპოქის გართულებული შობაც იყოს.) ხოლო მეორე მხრივ ამგვარი ლინგვისტური ქაოსი, ლენინის და მისი ცოლის დიალოგით გრძელდება სადაც ენობრივი ფაქტორი „ულისეს“ „მზის ხარების“ ეპიზოდის მსგავსად ერთდროულად მრავალი აზრის მატარებელია:

„**ლენინი:** არაა!

**ნადია:** დიახ!

**ლენინი:** გაზეთებშია?

**ნადია:** დიახ, დიახ! წამოდი სახლში. გელოდება.

**ლენინი:** იქ არის?

**ნადია:** დიახ.

**ლენინი:** გაზეთი თან აქვს?

**ნადია:** დიახ!

**ლენინი:** შენი თვალით ნახე?

**ნადია:** და, და, და!<sup>4</sup>

(“**Lenin:** Shtoti! (no)

**Nadya:** Da! (yes)

**Lenin:** eto v gazetakh! (Is that in the newspaper?)

<sup>4</sup> წინამდებარე თავში ციტატების თარგმანი პიესიდან „პაროდისტები“ ეპუთგნის დისერტაციის ავტორს.

**Nadya:** dada. Idiom damaoi. On zhdyot. (yes-yes. Come on home. He is waiting)

**Lenin:** on Tam? (is He there?)

**Nadya:** Da! (yes)

**Lenin:** gazeta u nievo? (he brought the paper?)

**Nadya:** da! (yes)

**Lenin:** ty Sama vidyela? ( you saw it yourself?)

**Nadya:** da, da, da! (yes, yes, yes!)” (სტოპარდი 1975: 20))

სპექტაკლის მსგლელობისას, რუსული ენის არ მცოდნისათვის დიალოგის შინაარსი გაურკვეველია, რადგან პიესის ტექსტისაგან განსხვავებით ისინი ვერ იხილავენ და მოისმენენ თარგმანს, თუმცა ამგვარი ლინგვისტური თამაშით სტოპარდი მისთვის ჩვეული მხატრული ხერხით პაროდირებას უკეთებს და ამავდროულად სიტყვა რევოლუციაში აერთიერანებს ლენინის, ძარას და ჯოისის შემოქმედებას, ხოლო ლენინის ცოლის, ნადიას რუსულ ენოვან პასუხში „კი, კი, კი“ ანუ რუსულად „და, და, და-ში“ დებს ორმაგ სათქმელს, რაც აუდიტორიისთვის დადაიზმის სლოგანის, „დადას“ გაუდერებით ვლინდება და რუსულის ენის არ მცოდნე აუდიტორიას შთაბეჭდილება რჩება, რომ ლენინი და მისი ცოლი დადაიზმზე საუბრობენ. ანუ სტოპარდი პიესის დასაწყისით, ბიბლიოთეკის სცენის ეპიზოდით, სადაც იბადება ჯოისის „ულისეს“, ლენინის რევოლუცია და ძარას დადაიზმი, ქალბატონი პიურფორის გმობიარობის მხგავსად 1974 წლის მაყურებელს პოსტმოდერნიზმის დაბადების მდგომარეობას ამცნობს.

თუმცა ბიბლიოთეკის სცენა უფრო მეტის მთქმელიც უნდა იყოს, მით უფრო, რომ მოქმედება 1917 წელს ხდება ანუ მაშინ, როცა ჯოისი „ულისეს“ ქმნის. ეს ეპიზოდი წააგავს „ულისეს“ მეცხრე ეპიზოდს, „სკილასა და ქარიბდას“ (*Scylla and Charybdis*), სადაც სტივენი დუბლინის ბიბლიოთეკაში შექსპირის „ჰამლეტის“ ბიოგრაფიის მისეულ თეორიას ხსნის. პირველივე სცენაში ბიბლიოთეკის სცენის გათამაშებით, სტოპარდი მხატრულ-მეტაფორულად თუ ჯოისის „ულისეს“ პაროდირებით, ერთი მხრივ, ჯოისის ბიოგრაფიის შესახებ საკუთარ თეორიას გვთავაზობს, რომელსაც ცოტა

მოგვიანებით ბიბლიოთეკის სცენის შემდეგ მთავარი მოქმედი გმირი, მოხუცებული პენტი კარი თავის წარმოსახვაში განავითარებს (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტორს პენტი კარი ჯოისის პიროვნების დახასიათებით შემოჰყავს პიესაში) (სტოპარდი 1975: 21), ხოლო მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაძლოა ხაზს უსვამს 1917 წელს ციურისში მცხოვრები სამეულის მნიშვნელობას თანამედროვე დროის ანუ 1974 წლის სამყაროში არსებული ხელოვნების, ლიტერატურისა თუ სოციალურ-პოლიტიკური სიმულაციური რეალობის შექმნაში და ამ ყველაფრის ბიბლიოთეკის სცენაში ჩვენებით, „ულისეს“ „სკილასა და ქარიბდაზე“ მინიშნებით, სტივენის შექსპირული თეორიის ალუზით, მიგვანიშნებს იმ ჭეშმარიტი წყაროს ძიებაზე, რასაც მამა ჰამლეტი ჰქვია, ვისგანაც შვილი ჰამლეტი იგებს მის სახელმწიფო გამეფებული დანაშაულის და ტყუილის შესახებ. ეს ეპიზოდი კი თანამედროვე მკითხველის სამყაროში დანის მსგავსი საპყრობილის არსებობაზე მიანიშნებს, სადაც შექმნილია კლავდიუსისეული სიცრუე, სიმულაკრუმი, როგორც ამას ბოდრიარი უწოდებს (ბოდრიარი 1994: 12). რა თქმა უნდა ამგვარი სიცრუის არსებობა არ არის მხოლოდ ზოგადი სურათი იმ სისტემისა, რომელიც იქმნებოდა და დღესაც იქმნება დასავლეთსა თუ ცივილიზებულ მსოფლიოში, არამედ ამ სიცრუის და სიყალის არსებობის უპირველესი მაგალითი საბჭოთა კავშირი იყო. სამყაროს მოწყობის მაქსისტულ-ლენინური თეორია, რომელსაც მეორე აქტის დასაწყისში სესილი ლექციის სტილით უკითხავს თეატრში მისულ პუბლიკას (სტოპარდი 1975:66), ზუსტად ერგება ამგვარი თეორიის შედეგებს, რომელიც განიცადა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალმა ქვეყნებმა, არამედ აღმოსავლეთ ევროპამაც, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკამაც. 1968 წლის მოვლენები ამის ნათელი დადასტურება იყო, რომელსაც 1977 წელს ‘ქარტია 77’-ის შექმნა მოჰყვა. შემდეგ რეპრესიები, რომელიც ქარტიის ხელმომწერთა წინააღმდეგ დაიწყო, რომელთა შორის სტოპარდის მეგობარი დრამატურგი ვაცლავ ჰაველიც იყო. „პაროდისტების“ შექმნის თარიღი, 1974 წელი კი ზემოთ აღნიშნულ თარიღებს შორის მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი პერიოდია. ამგვარი იდეის და აზრის მატარებელი პიესის დადგმა დასავლურ თეატრალურ სცენებზე თავის თავშივე ასოცირდებოდა ზემოთ მოყვანილ მოვლენებთან, რაც სტოპარდის მხრიდან ერთგვარი შემოქმედებითი გამოხმაურებაც იყო, რაზეც არა მხოლოდ „პაროდისტების“ მთელი მეორე აქტი, არამედ სტოპარის

სხვა პიესებიც მოწმობენ, მათ შორის „ყველა კაი ბიჭი იმსახურებს დაფასებას“ (*Every Good Boy Deserves Favour*) (სტოპარდი 1978), რომელიც „პაროდისტების“ შექმნის შემდეგ დაიწერა.

მეოცე საუკუნის პოლიტიკაში ამ ყალბი რეალობის ერთ-ერთ შემოქმედად ლენინი, ხელოვნებაში კი ტრისტან ძარა გვევლინებიან, ხოლო ჯოისი და მისი „ულისეს“ ამ მოვლენების ერთგვარი მატიანეა, რადგან როგორც თავად ჯოისი პიესაში ტრისტან ძარასთან დადაიზმსა და ხელოვნებაზე კამათისას აღნიშნავს:

„რა იქნებოდა ახლა ტროას ომი, ხელოვანის ხელის შეხების გარეშე? მტვერი. ბერძენი ვაჭრების მიერ ახალი ბაზრების მოძიების მიზნით გამართული ერთ-ერთი მტვერმიყრილი ექსპედიცია; დამსხვრეული ქოთნების უმნიშვნელო გადანაწილება; მაგრამ ეს ჩვენ ვართ ვისაც გვამდიდრებს ზღაპარი გმირებზე, ოქროს ვაშლზე, ხის ცხენზე, სახეზე ათასობით გემს რომ დაუდო საფუძველი, უპირველეს ყოვლისა კი ზღაპარი ულისეს შესახებ, მოხეტიალე, ყველაზე პუმანურ, გმირებს შორის ყველაზე სრულყოფილ ქმარზე, მამაზე, შვილზე, საყვარელზე, ფერმერზე, ჯარისკაცზე, პაციფისტზე, პოლიტიკოსზე, გამომგონებელსა და თავგადასავლების მაძებარზე....“

(“What now of the Trojan War if it had been passed over by the artist’s touch? Dust. A forgotten expedition prompted by Greek merchants looking for new markets. A minor redistribution of broken pots. But it is we who stand enriched, by a tale of heroes, of a golden apple, a wooden horse, a face that launched a thousand ships-and above all, of Ulysses, the wanderer, the most human, the most complete of all heroes- husband, father, son, lover, farmer, soldier, pacifist, politician, inventor and adventurer.....” (სტოპარდი 1975: 62))

თუმცა ჯოისის სიტყვას წინ ტრისტან ძარას შეფასება უსწრებდა, რომელიც შეხება, არა მხოლოდ ჯოისის „ულისეს“, არამედ ზოგადად მოდერნისტულ თუ „მაღალ კულტურას“, რაც ძალიან ჰგავს პოსტმოდერნისტული რეალობის, „პოპ-კულტურის“ მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს.

„-ძარა: თქვენი ხელოვნება ჩაფლავდა. თქვენ ლიტერატურა რელიგიად გადააქციეთ და ის სხვა დანარჩენის მსგავსად მკვდარია, ის გადამწიფებული გვამია, რომელსაც ძილ-დვიძილში წარმოსახვით ფიგურებად ანაწევრებთ. ნამეტანი დაგვიანებულია გენიოსებისთვის! ჩვენ ახლა ბარბაროსები და წამბილწველები გვესაჭიროება. მარტივი გონების მაოხებლები ბაროკოს დახვეწილ საუკუნეებს რომ დალეწავენ, ტაძარს დააქცევენ, და ეს საბოლოოდ იმისთვის რომ სირცხვილი და ხელოვანად ყოფნის აუცილებლობა შეარიგონ ერთმანეთთან! დადა! დადა! დადა!“

(“**Tzara**: Your art has failed. You have turned literature into a religion and it's as dead as all rest, it's an overripe corpse and you are cutting fancy figures at the wake. It's too late for geniuses! Now we need vandals and desecrators. Simple-minded demolition men to smash centuries of baroque subtlety, to bring down the temple, and this finally, to reconcile the shame and, necessity of being an artist! Dada! Dada! Dada!” (სტოპარდი 1975: 62))

თუმცა ძარა-ჯოისის დიალოგამდე, ძარა გვენდოლინთან საუბარშიც, იგივე აზრს ანგიოთარებს.

„-ძარა: ყველა ლიტერატურა უხამსია!

კლასიკა-ტრადიცია-მიმირწყევია მაგათთვის!

-გვენი: (ოჰ!)

-ძარა: ბეთჰოვენი! მოცარტი! მიმიფურთხებია ორივესთვის!

-გვენი: (ოჰ!)

-ძარა: ყველაფერი შემთხვევითობაა!“

(“**Tzara**: All literature is obscene!

The classics-tradition-vomit on it!

**Gwen**: (oh!)

**Tzara**: Beethoven! Mozart! I spit on it!

**Gwen:** (oh!)

**Tzara:** Everything is chance!" (სტოპარდი 1975: 34))

შეიძლება ითქვას ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსი ფრედრიკ ჯეიმსონიც იმავეს აღნიშნავს პოსტმოდერნიზმის განმარტებისას, რომელსას ორ ნაწილად ყოფს. პირველი, მისი თქმით, პოსტმოდერნიზმი არის ყველა სახელოვნებო დარგებში და პოსტმოდერნიზმი არის საწინააღმდეგო რეაქცია მოდერნისტული „მაღალი კულტურის“ მიერ დამკვიდრებული ფორმებისა, რომელიც დამკვიდრდა უნივერსიტეტებში, მუზეუმებსა თუ გალერეებში. ხოლო ისეთი დიდი მოდერნისტი პოეტების შემოქმედება, როგორებიც არიან პაუნდი, ელიოტი და სტივენსი, ასევე ჯოისი, პრუსტი და მანი, რომელიც მეოცე საუკუნის თაობებში შოკისმომგვრელი და სკანდალური ნაწამოებებითა და ფორმებით გამოიჩინდა, 1960 წლის კარიბჭესთან მოსული თაობებისთვის მკვდარი, დახშული და კანონიკური აღმოჩნდა, ხოლო მათი მხრიდან რომ შექმნილიყო ახალი, აუცილებლად უნდა განადგურებულიყო არსებული გასაგნებული მონუმენტები. ხოლო მეორე მახასიათებელი პოსტმოდერნისტული „მაღალი კულტურისათვის“, არის „მაღალი“ მოდერნისტული კულტურისა და „პოპ კულტურის“ დამაშორებელი საზღვრების ჩამორეცხვა. ჯეიმსონის თქმით ალბათ ეს გახდა ყველაზე პრობლემური და სადარდებელი აკადემიური „მაღალი კულტურისათვის“, რადგან ისინი იყვნენ დაინტერესებული შეენარჩუნებინათ და დაუცვათ „მაღალი“, ელიტარული კულტურა გავრცელებული კიტჩური კულტურისაგან, რომელიც სატელევიზიო სერიალების, პოლიგუდური ფილმების თუ სხვა სატელევიზიო პროგრამებით ვრცელდებოდა, როგორც მუსიკალური, ასევე სხვა სახელოვნებო მიმართულებით. პოსტმოდერნისტული კულტურა აღარ ციტირებდა ისეთ ტექსტს, როგორსაც ჯოისი ან მალერი ქმნიდნენ (ჯეიმსონი 1998: 1,2).

ჯეიმსონი კიდევ ერთ განსაზღვრებას იძლევა, კერძოდ, იმას თუ რატომ არის მოდერნისტული „მაღალი კულტურა“ წარსული და რატომ ჩაანაცვლა იგი პოსტმოდერნიზმა. ამ ახალი კომპონენტის განსაზღვრება არის ე.წ. „სუბიექტის მოკვდინება“ ანუ ინდივიდუალიზმის დასასრული (ჯეიმსონი 1998: 5). როგორც ცნობილია დიდი მოდერნისტი ხელოვანები ქმნიდნენ საკუთარ, განუმეორებელ ინდივიდუალურ ხედვას თუ მსოფლიმედველობას სამყაროს

მიმართ, რაც თავისთავად გულისხმობდა მოდერნისტული ესთეტიკის გამორჩეულობას და ორიგინალობას. ხოლო დღევანდული კორპორატიული კაპიტალიზმის, ე.წ. „ორგანიზაციის ადამიანის“ ეპოქაში ისეთი სფეროს წარმომადგენლებიც კი როგორიც არის ლინგვისტიკა, სოციოლოგიის თეორია თუ ფსიქოლოგია, რომ აღარაფერი ითქვას იმ დარგებზე, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის არეალში, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მოდერნისტული ტიპის ინდივიდუალიზმი და პერსონალური იდენტობა წარსულს ჩაბარდა (ჯეიმსონი 1998: 6). ხოლო ახალი პოსტმოდერნისტული ხელოვნება, იმ ეპოქაში, სადაც შეუძლებელია ახალი სტილის გამოგონება, „პასტიშის“ მეთოდის გამოყენებით, სტილისტური ნიღაბის გამოყენებით იმიტირებს წარსულში არსებული მკვდარი სტილით, რაც გულისხმობს იმას, რომ თანამედროვე ანუ პოსტმოდერნისტული ხელოვნება თავად ხელოვნებაზეა (ჯეიმსონი 1998: 7).

თუმცა როგორც ჯოისის ძარასადმი პასუხიდან ჩანს, რომ არა ხელოვნება, ლიტერატურა და პომეროსი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას „მაღალ კულტურად“ იგულისხმება, ტროას ომი მტვრად დარჩებოდა. რის შემდეგაც იგი აგრძელებს ძარასთან კამათს და პასუხობს:

„და მე ამჯერად ჩემი დუბლინური ოდისეათი გავაორმაგებ ამ უკვდავებას....“

“and yet I with my Dublin Odyssey will double that immortality...” (სტოპარდი 1975: 62))

ანუ 1917 წელს, ჯოისი თანამედროვე ადამიანის ახალ „ოდისეას“ ქმნიდა, რომელიც პომეროსის „ოდისეას“ მსგავსად უკვდავყოფდა ტროას მსგავს იმ ომს, რომელიც ახლა უკვე კულტურაში (ხელოვნებაში) გაგრძელებულიყო. ჯოისის ეს „ოდისეა“ რადა თქმა უნდა მისი „ულისეს“ იყო. ალბათ ამიტომაც აირჩია სტოპარდმა ჯოისი, მისი ბიოგრაფია და „ულისეს“ „ოდისეას“ ნაწილი, რადგან უკეთ ჩაწვდომოდა იმ კულტურულ ომს, რომელსაც ძარასა და ჯოისის დიალოგის მსგავსად „მაღალი ხელოვნების“ და „პოპ-კულტურის“ ომი ჰქვია პოსტმოდერნისტულ, ცივილიზებულ დასავლეთში. ეს კულტურული ომი მხოლოდ ხელოვანების დონეზე როდია, ეს არის ომი ხელოვნებისა და ლიტერატურისთვის, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვე ადამიანის ცნობიერების და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. პიესის მეორე აქტში ალბათ ამიტომაც აქტიურობს მომავალი „ახალი ადამიანის“

შემქმნელი ლენინი, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმით, რომელიც ჯოისის სიტყვებთან ერთად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდად შეიძლება მივიჩნიოთ მთელს პიესაში:

„დღევანდელი ლიტერატურა პარტიული ლიტერატურა უნდა იყოს! მის უპარტიო ლიტერატურა! მის ლიტერატურული ზეადამიანი! ლიტერატურა პროლეტარიატის საერთო საქმის ნაწილი უნდა გახდეს, სოციალურ დემოკრატიული მექანიზმის ჭანჭიკი ...“

(“Today literature must become party literature. Down with non-partisan literature! Down with literary supermen! Literature must become part of the common cause of the proletariat, a cog in the social Democratic mechanism...“)

მოგვიანებით ამატებს:

„საგამომცემლო და გამავრცელებელი ცენტრები, წიგნის მაღაზიები და სამკითხველო ოთახები, ბიბლიოთეკები და მსგავსი დაწესებულებები, ყველა პარტიის კონტროლქვეშ უნდა იყოს. ჩვენ გვსურს და შევძლებთ თავისუფალი პრესის შექმნას, თავისუფალს არა უბრალოდ პოლიციისგან, არამედ კაპიტალისგან, კარიერიზმისგან, და რაც ყველაზე მთავარია, თავისუფალს ბურჟუა ანარქისტების ინდივიდუალიზმისაგან!“

(“Publishing and distributing centers, bookshops and reading rooms, libraries and similar establishments must all be under party control. We want to establish, and we shall establish a free press, free not simply from the police, but also from capital, from careerism, and what is more, free from bourgeois anarchists individualism!” (სტოპარდი 1975: 85))

შეიძლება ითქვას, რომ ეს ომი გაჩადებულია იმ ხელოვანებს შორის, რომლებიც ქმნიან „მაღალ კულტურას“ და „პოპ-კულტურას“. ნაწარმოებში „მაღალი კულტურის“ მხარეს არის ჯოისი და მისი სახით სტოპარდი, რომელიც ხელოვნებას ხელოვნებისთვის იდეას უჭერს მხარს, ხოლო მეორე მხარეს, უტილიტარიანული, სოციო-პოლიტიკური ხელოვნება, როგორც ამას ჯონ ფლემინგი აღნიშნავს (ფლემინგი 2001: 116).

ლენინის ამგარი ცხოველი სწრაფვა ყველანაირი წიგნის, ლიტერატურის თუ ბიბლიოთეკის კონტროლით, გამოწეული არის ადამიანში ინდივიდუალიზმის ჩასაცლავად, რადგან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პირველი მტერი ინდივიდია. ინდივიდს კი ინდივიდად წიგნი, ლიტერატურა და სიტყვა აყალიბებს. სიტყვა კი ასოცირდება იმ პირველ სიტყვასთან, რომლისგანაც ადამიანს აქვს მონიჭებული თავისუფლება, ინდივიდუალიზმი და ხელოვნების კეთების ნიჭი, რომელიც ლენინისათვის და მისი იდეოლოგიის მიმდევრებისათვის ანარქიად ითარგმნება. თავად სიტყვა „ბიბლიაც“, ხომ ძველ ბერძნულად (βιβλί) „წიგნებს“ ნიშნავს. შესაბამისად ლენინის მხრიდან ლიტერატურის, წიგნის და სიტყვის კონტროლი თავის თავშივე ადამიანისათვის პირველი სიტყვის კოტროლის სურვილსაც მოიცავს, რომელსაც წიგნი სახელად „ბიბლია“ გადმოგვცემს.

სტოპარდი „პაროდისტების“ დასასრულს, პიესის ბოლო სცენაში, ნათელს ფენს იმ ფაქტს, რომ პენრი კარის მთელი თხრობა სიყალბე იყო, რადგან იგი არასდროს ყოფილა ბრიტანეთის კონსული ციურისში, პირიქით, იგი იყო კონსულ პერსი ბენეტის მსახური საკონსულოში, ხოლო მთელი პიესის მონათხრობი მისი ფანტაზიის ნაყოფია, რომელსაც ფლემინგი მის მეხსიერებას აბრალებს (ფლემინგი 2001: 119). ფლემინგს შეიძლება დავეთანხმო იმ ნაწილში, რომ სტოპარდი ამ მხატვრულ ხერხს შესაძლოა ნამდვილად იყენებს, რათა აუდიტორიას დაანახოს მთელი პიესის სიყალბე, რომელიც მთავარი მოქმედი გმირის მეხსიერებაში მიმდინარეობდა, თუმცა ვერ დავეთანხმები იმაში, თითქოს ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ასაკის, ან მეხსიერების პრობლემა ყოფილიყოს, რადგან ვფიქრობ, პერნი კარის მეხსიერებით შექმნილი სიყალბე, ილუზია, სტოპარდის მიერ მიზანმიმართულად გამოიყენება და ავტორი „მაღალი“ და „დაბალი“ ხელოვნების ჭიდილის ჩვენებას და მაღალი ლიტერატურის მეშვეობით პოსტმოდერნისტული სამყაროს საწყისის ჩაწვდომას ცდილობს, რასაც მთავარი მოქმედი პერსონაჟის, პენრი კარის სახით მხატვრულად გადმოგვცემს.

„პაროდისტებში“ მთავარი მოქმედი გმირი, პენრი კარი ჯეიმზ ჯოისს მხოლოდ ბიოგრაფიული ეპიზოდით არ უკავშირდება. იგი „ულისეს“ მეთხუთმეტე ეპიზოდში „კირკეშიც“ (*Circe*) გვხვდება, როგორც ბრიტანეთის

არმიის რიგითი კარი (ჯოისი 2012: 427). ანუ სტოპარდმა, „ულისეს“ და ჯოისის ბიოგრაფიაში ეპიზოდური პერსონაჟი პიესის მთავარ გმირად აქცია, ისევე, როგორც შექსპირის „პამლეტის“ ეპიზოდური გმირები როზენკრანცი და გილდენსტერნი მთავარ მოქმედ პერსონაჟებად გამოიყვანა მის პირველ სერიოზულ პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“. გამოდის, რომ სტოპარდმა ჯოისის „ულისედან“ პენრი კარის კოპირება მოახდინა და ჯოისისული შინაგანი მონოლოგის ტექნიკით, მთავარი მოქმედი პერსონაჟით შექმნა იმგვარი რეალობა, რომელშიც იგი იდეალურად იგრძნობდა თავს; თუმცა ეს რეალობა რეალურად ყალბი და ფანტასმაგორიულია, როგორც ეს ჯოისის „ულისეს“ „კირკეს“ მთლიანი ეპიზოდის შინაარსესა და ფორმაში ჩანს. ნიკო ყიასაშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „კირკეს“ ეპიზოდის „ტექნიკა“ არის „პალუცინაცია“ (ჯოისი 2012: 837), რასაც მაყურებელი და მკითხველიც პიესის ბოლოს იგებს. აქედან გამომდინარე, თუ სტოპარდი ჯოისის ხელოვნების მხარეს არის, რაზეც თავად ავტორიც მოწმობს: „უმთავრესი მიზეზი, რამაც ჯოისის დამატება გადამაწყვეტინა ის იყო რომ მე არ მსურდა პიესაში ხელოვნების დროშა დადაიზმასა და ძარას ეტვირთათ, ხოლო ჯოისი ის ხელოვანია, ვის მიმართაც დიდი სიმპათია გამაჩნია“ (ფლემინგი 2001: 102). შესაბამისად გამოდის, რომ სტოპარდი საკუთარ შემოქმედებას, მათ შორის „პაროდისტებსაც“, პომეროსის და ჯოისის „ოდისეას“ იდეის გამტავრები მიზეზი, რადგან როგორც თავად აღნიშნავს: „მე კონსერვატორი ვარ პატარა კ-თი. კონსერვატორი ვარ პოლიტიკი, ლიტერატურაში, განათლებასა და თეატრში“ (ქელი 2001: 138). შესაბამისად მან საკუთარი შემოქმედებით უნდა ასახოს ის ბრძოლა, რომელიც პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში მიმდინარეობს. ამ ყველაფერს კი იგი საკუთარი უპოქისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული და მხატვრული ხერხებით ანუ პაროდიოების მეთოდით ახორციელებს, როგორც ამას თავის დროზე თავისი დროის შესაბამისი ესთუტიკით პომეროსი და ჯოისი ახორციელებდნენ. სტოპარდის შემთხვევაში მისი ეპოქა პოსტმოდერნისტული ეპოქაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სტოპარდზე, როგორც ინტელექტუალურ დრამატურგსა და პიესის პოსტმოდერნისტულ ხასიათზე მიუთითებს, არის პიესაში სხვა პიესის შემოტანა, რაც „პაროდისტებში“

გარდა „ულისეს“ ალუზიებისა, ოსკარ უაილდის „როგორი მნიშვნელოვანია იქო სერიოზულის“ (*The Importance of being Earnest*) თხრობის შემოსვლით გამოიხატება. ეს გარემოება ისევ ჯოისს უკავშირდება, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი იქო მოთავე 1917 წელს, ციურისის ინგლისურენოვანი დასის მიერ დადგმული სპექტაკლისა და მთავარ როლზე პენრი კარის დამტკიცებისა.

პიესაში უალდის პიესის შემოტანამ განაპირობა, „პაროდისტების“ პერსონაჟების განსასახიერებელი ერთი მხატვრული სახიდან, განსასახიერებელ მეორე, უალდის ნაწარმოების მხატვრულ სახეზე გადასვლა, რაც მაყურებლებში ქაოსის განცდას ქმნის, რადგან გაურკვეველია სად იწყება ერთი პიესის რეალობა, სად მეორესი, სად არის ისტორიული სინამდვილე და სად მოხუცებული პენრი კარის ანუ თანამედროვე რეალობა, რადგან სტოპარდის პიესაში ახალგაზრდა კარი განასახიერებს, როგორც ახალგაზრდა კარს, ასევე უალდის ალჯერნონს, ტრისტან ძარა – ჯეპ კორთინგს, ჯოისი – ლედი ბრექნელს (რაც გამოწვეულია პიესაში ჯოისის ნათლობის სახელის აუგუსტუსის მდედრობითი სქესის აუგუსტას აღნიშვნით (სტოპარდი 1975: 42), რომელიც მოგვაგონებს „ულისეს“ პირველი ეპიზოდის „ტელემაქეს“ (*Telemachus*) დასაწყისს, სადაც ბაკ მალიგანი ე.წ. „შავი წირვის“ პაროდიებას ახდენს, სადაც „ქრისტეს“ სახელი მოხსენიებულია, როგორც მდედრობითი სქესის ქრისტინე (დ.მ.), ბენეტი – ლენინს, ხოლო გუენდოლენი და სესილი იმავე სახელის მატარებელ პერსონაჟებად რჩებიან ორივე პიესის რეალობაში (ფლემინგი 2001: 103). ამგვარი ქაოსურობა კი დამახასიათებელია, როგორც პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის ასევე მეოცე საუკუნის პოსტმოდერნისტული ეპოქისათვის, რომლის შიგნითაც მაცხოვრებელი ადამიანები ვერ არკვევენ სად არის რეალობა და სად ფიქცია.

სტოპარდის „პაროდისტების“ ამგვარი აზრობრივი აგებულება იდეურად თანხვედრაშია პოსტმოდერნისტული არქიტექტურის თეორეტიკოს ჩარლზ ჯენკის „ორმაგი კოდირების“ ტექნიკასთან, რომელიც შემდეგს გულისხმობს: „ორმაგი კოდირება ნიშნავს ორივეს, ელიტურ/პოპულარულ და ახალ/ძველსაც, თუმცა ასეთი დაწყებილება წინააღმდეგობრივია. დღევანდელი პოსტმოდერნისტი არქიტექტორები მოდერნისტმა ოსტატებმა აღზარდეს და ისინი იყენებენ როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებს, ასევე არსებულ

სოციალურ სინამდვილეს ასახავენ“ (ნიკოლი 2002: 113,114). ხოლო თხრობის სტილი ძალიან ჰგავს უმბერტო ეკოს აზრებს, პოსტმოდერნიზმსა და ირონიაზე: „პოსტმოდერნიზმის პასუხი მოდერნისადმი მოიცავს იმ ფაქტის გაცნობიერებას რომ წარსული, იმის გამო რომ მისი გაქრობა შეუძლებელია, დესტრუქციას კი სიჩუმისკენ მივყავართ, უნდა გადაიხედოს, მაგრამ არა გულუბრყვილოდ არამედ ირონიით“ (ნიკოლი 2002: 111).

ზუსტადაც, რომ სტოპარდის „პაროდისტები“ ერთგვარი დაბრუნებაა მოდერნისტულ თუ ვიქტორიანულ ლიტერატურასა თუ ეპოქაში, რომლის მეშვეობით, ირონიის და პაროდირების მეშვეობით ავტორი, ერთი მხრივ, ქმნის პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს, ხოლო მეორე მხრივ, ამ ნაწარმოებით ცდილობს მხატვრულად გაანალიზოს თანამედროვე სამყაროს ქაოტურობა, თუ ამ ქაოტური სამყაროს მიმართება ხელოვნებასა და მაღალ, როგორც ჯენესი ამბობს, ელიტარულ ლიტერატურასთან. პოსტმოდერნისტულ ტექსტებთან დაკავშირებით ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსის, რობერტ სქოულზის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „ერთ დროს ჩვენ ვიცოდით, რომ მხატვრული ლიტერატურა ეხებოდა ცხოვრებას, ხოლო კრიტიკა მხატვრულ ლიტერატურას, და ყველაფერი მარტივად იყო. ახლა ვიცით, რომ მხატვრული ლიტერატურა ეხება სხვა მხატვრულ ლიტერატურას, ანუ ის რეალურად არის კრიტიკა, ან მეტათხულება“ (ნიკოლი 2002: 1).

ფრედრიკ ჯეიმსონი პოსტმოდერნიზმისა და მოდერნიზმის შედარებისას, ასევე გამოყოფს ერთ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც მოდერნისტულ ხელოვნებას თუ კულტურას შეეხება. იგი სვამს კითხვას, იმის შესახებ, რომ მოდერნისტების შემოქმედებაშიც ხომ იყო „პასტიშის“ მეთოდის გამოყენების მცდელობები, როგორც ეს თომას მანის ნაწარმოებებშია ასახული? ან ჯოისის „ულისეს“ „მზის ხარები“ (*Oxen of the Sun*) ამის რეალიზების ნათელი მაგალითი არ არის? და ზოგადად რა არის ახალი ყველაფერ ამაში? დასმულ კითხვებს ამერიკელი ლიტერატურის თეორეტიკოსი თვითონვე პასუხობს და აღნიშნავს, რომ მოდერნისტულ ხელოვნებას გააჩნია ის მახასიათებლები, რაც პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას აქვს, მაგრამ მისთვის ეს მახასიათებლები არა მთავარი, ცენტრალური მნიშვნელობისაა, როგორც ეს პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაშია, არამედ მეორეხარისხოვანი, მარგინალურია (ჯეიმსონი 1998: 17,18).

ჯეიმსონის მსჯელობა ისტორიის დასასრულზე განპირობებულია ხელოვნების დასრულებით. ხელოვნების დასრულება კი გამოიწვია ყველაფრის კომერციალიზაციამ, რომელიც 60-იანი წლების შემდეგ იდებს დასაბამს. ეკონომიკა გახდა კულტურის ნაწილი და კულტურა ეკონომიკის ნაწილი, გვიანდელმა კაპიტალიზმა და გლობალიზაციამ კულტურის წარმოება ფინანსურ თუ ეკონომიკურ მოთხოვნათა შესაბამისი გახდა და ამიტომ გადაეჯაჭვა ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სფერო ერთმანეთს (ჯეიმსონი 1998: 73).

და ბოლოს, თუ პიესის მეორე აქტში დომინირებს ლენინი და მისი აზრები რევოლუციაზე, პირველი აქტი ძირითად ჯოისის და ხელოვნების გარშემო ბრუნავს. პირველი აქტის ფინალი ჰქონდა კარის ცნობიერებაში ჯოისთან საუბრით სრულდება:

„პარი: რა გააკეთე დიდი ომის უამს?

-ჯოისი: „ულისე“ დავწერე, შენ თვითონ რა გააკეთე?

-პარი: „ნერვებს ვიგლეჯდი“.

(“Carr: What did you do during the Great War?

Joyce: I wrote Ulysses, what did you do?

Carr: Bloody nerve.” (სტოპარდი 1975: 65))

პირველი აქტის ეს საფინალო შეკითხვა თითქოს გამოხატავს თანამედროვე სამყაროსადმი ჯოისის ანუ „მაღალი ლიტერატურის“, „მაღალი ხელოვანის“ მიერ დასმულ კითხვას, რომელიც გულისხმობს იმას თუ სად მიდის, რისკენ მიდის და რას ემსახურება თანამედროვე სამყაროში ხელოვნება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შექსპირის „ჰამლეტი“, ისევე, როგორც ჯოისის „ულისე“ რეალურად ჰეშმარიტების ძიებისაკენ იყო მიმართული, როგორც „მაღალი ხელოვნების“ რეალური მიზნები, ხოლო „მაღალი ხელოვანის“, ჯოისის მხრიდან ამგვარად დასმული კითხვა, რომლის ადრესატი ჰქონდა, კარია,

მიანიშნებს თანამედროვე სამყაროში „პოპ კულტურის“ დომინანტად ქცევაზე, რადგან „ულისეს“ და ჯოისის ეპიზოდური ფიგურა სტოპარდის პიესაში ანუ თანამედროვე რეალობაში წამყვან ფიგურად იქცა. „პოპ-კულტურა“ კი თანამედროვე ტექნოლოგიებით, თანამედროვე სამყაროში ქმნის სიმულაციურ, ჰიპერრეალურ და კოპირებულ ხელოვნებას, რომელიც ჭეშმარიტების დადგენის ნაცვლად ხელს უწყობს სიცრუის გავრცელებას, როგორც ეს პენრი კარის მიერ შექმნილ სამყაროში ანუ პიესის მთელ შინაარსში ჩანს.

ამრიგად, მოცემულ თავში, ისევე, როგორც მეორე თავში, ნათლად ჩანს პოსტმოდერნისტული ლიტერატურული ტექსტისათვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალობა, რომელიც ამჯერად ავტორის მხრიდან ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ და ოსკარ უალდის „როგორი მნიშვნელოვანია იყო სერიოზულის“ ტექსტების გამოყენებაში ვლინდება. ამ ტექსტების გადახედვით სტოპარდი ქმნის, არა მხოლოდ საკუთარ ლიტერატურულ ნაწარმოებს, არამედ იგი იმავდროულად წარმოაჩენს ერთი მხრივ პოსტმოდერნიზმის ეპოქისა და ხელოვნების საწყისი მდგომარეობის მხატვრულ ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ, პოსტმოდერნისტული ხელოვნების დამოკიდებულებას „მაღალი ხელოვნების“ მიმართ. პოსტმოდერნისტული ტექსტისათვის დამახასიათებელი „ორმაგი კოდირების“ და წარსულის ირონიზების ლიტერატურული ტექნიკა კი, არა მხოლოდ პიესის მთელი შინაარსობრივი ქსოვილის აგებულებაში გვხვდება, არამედ სიტყვა „პაროდიის“ მხატვრულ გააზრებაშიც, რომელსაც პიესის სათაური – „პაროდიისტები“ – ავლენს.

## IV თავი

„არკადია“: პოსტმოდერნისტული ქაოსი „ედემის ბაღში“

პიპერრეალიზმი რეპროდუქციის თემა  
მოიცავს არა მხოლოდ  
ხელოვნებასა და ისტორიას,  
არამედ ბუნებასაც.  
უმბერტო ეპო

„არის ტომ სტოპარდის „არკადია“ ჩვენი დროის ყველაზე დიდი პიესა?“, „უზარმაზარი მითქმა-მოთქმა ტომ სტოპარდის „არკადიას“ გარშემო“, „სტოპარდის „არკადიამ“ გაუძლო დროის გამოცდას“, „ტომ სტოპარდის „არკადია“ ბროდვეიზე ბრუნდება“... ასე უსასრულოდ შეგვიძლია მოვიძიოთ გარდიანის, ნიუ იორკ თაიმსის, ინდეპენდენტის, ნაციონალის თუ მრავალი სხვა ავტორიტეტული გამოცემის ინტერნეტგვერდზე დასათაურებული რეცენზიები, რომელიც ტომ სტოპარდის „არკადიას“ გამოჩენას მოჰყვან დასავლურ ლიტერატურულ წრეებსა თუ თეატრალურ სცენებზე. ამგვარი სტატიები და რეცენზიები იწერებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და აქტიურად იწერება დღესაც. 2011 წლის 25 თებერვალს, ბროდვეიზე, „ბარიმორის“ თეატრის სცენაზე „არკადიას“ მომდევნო, ამჯერად დევიდ ლევოქსისეული დადგმის პრემიერა გაიმართა.

რამ განაპირობა ისეთ კონკურენტულ გარემოში, ფულად მოგებაზე ორიენტირებულ სახელოვნებო ბიზნესის, ამერიკული ოაზისის ბროდვეის სცენაზე 1993 წლიდან დასავლეთის წამყვანი თეატრალური დასების მიერ მრავალჯერ გაცოცხლებული „არკადიას“ ხელახლა დადგმა და მისი კიდევ ერთხელ ჩვენება თანამედროვე XXI საუკუნის მაყურებელისთვის? რითო არის ეს პიესა საინტერესო ერთი მხრივ, თანამედროვე მკითხველისა და მაყურებლისთვის, ხოლო მეორე მხრივ, ბროდვეის მოგებასა და

პოპულარობაზე გათვლილი ერთ-ერთი მოწინავე თეატრისათვის? რატომ შეიძლება იმსახურებდეს მსოფლიოს წამყვანი გამოცემების, მიმომხილველების თუ კრიტიკოსების ყურადღებას პიქსა, სადაც მთავარი რომანტიზმი და განმანათლებლური ეპოქაა, ხოლო თანამედროვე ეპოქა მხოლოდ მკვლევარის როლში გვევლინება. რითი არის საინტერესო პოსტმოდერნისტული ეპოქისთვის და თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოებისთვის რომანტიზმი, ლორდ ბაირონი და 1809-12 წლებში სიდღეი პარკში განვითარებული მოვლენები?

ამ თავში შევეცდებით დადგინდეს ის აზრი თუ იდეა, რომელიც აკავშირებს სტოპარდის „არკადიას“ პოსტმოდერნისტულ რეალობასთან.

როგორც ჯონ ფლემინგი საკუთარ წიგნში სტოპარდის თეატრი (*Stoppard's Theatre*) აღნიშნავს, ჯეიმზ გლეიკის წიგნის „ქაოსი: ახალი მეცნიერების შექმნა“ (*Chaos: Making a New Science*) წაკითხვის შემდეგ, სტოპარდის მომავალი პიესის შექმნის საფუძველი სამეცნიერო თემატიკა გახდებოდა (ფლემინგი 2001: 191) და ასეც მოხდა. „ქაოსის თეორია“ უფრო ზუსტად კი „დეტერმინისტული ქაოსი“ (რადგან, როგორც ჯონ ფლემინგი აღნიშნავს „ქაოსის თეორიის“ სხვა ინტერპრეტაციებიც არსებობს. მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატის ილია პრიგოგინის (ფლემინგი 2001: 291)) გახდა „არკადიას“ შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ნიუტონის კლასიკური მექანიკის თეორიის მიხედვით, სამყაროს წესრიგი ეფუძნება მიზეზ-შედეგობრიობის მკაცრ მექანიზმს, რაც დასაწყისშივე დეტერმინიზმს გულისხმობს. შესაბამისად, მოცემული ინფორმაცია შესაძლებელს ხდის რომ მომავალი გათვლადი იყოს (ფლემინგი 2001: 193). პიესაში ამგვარ თემას პირველად ტომაზინა სეპტიმუსთან საუბრისას წამოჭრის:

„თუ თითოეულ ატომს გაგაჩერებთ და გამოვთვლით მის ყველა შესაძლო ქმედებას და თანაც ძალიან, ძალიან კარგად ვიცით ალგებრა, მომავლის ფორმულის მიღებასაც შევძლებთ. ასეთი ფორმულა ხომ მაინც არსებობს... რა ვუყოთ, რომ მის აღმოსაჩენად არავის ყოფნის ჭკუა!“<sup>5</sup> (სტოპარდი 2005: 11).

<sup>5</sup> „არკადიას“ ციტატების თარგმანი ეკუთვნის ასმათ ლეკიაშვილს.

(“If you could stop every atom in its position and direction, and if your mind could comprehend all the actions thus suspended, then if you were really, really good at algebra you could write formula for all the future; and although nobody can be so clever as to do it, the formula must exist just if one could” (სტოპარდი: 1993: 7))

ამ მოსაზრებას ტომაზინა შემდეგ თავადვე უარყოფს, რადგან სამყაროს ხედვის ამგვარი ტრადიციული შეხედულება შემდგომში არასრულყოფილი აღმოჩნდა. ახლა მეცნიერებს სჯერათ, რომ ბუნების უდიდესი ნაწილი „დეტერმინისტული ქაოსის“ წესებით მოქმედებს, რომელიც ისეთი ბუნებრივი სისტემების წინასწარმეტყველების შეუძლებლობას ეფუძნება, როგორიც ამინდი, მოსახლეობის გამრავლება თუ გულის ფეთქვის რიტმია. ამგვარად, მარტივმა თანაფარდობამ შეიძლება ისეთი რთული ნიმუშები შექმნას, რომელიც ედვარდ ლორენცის „პეპელას ეფექტშიც“ აისახება (ფლემინგი 2001: 193). ამგვარ აზრს ტომაზინას გარდა, ვალენტინი, პიესის მიხედვით, თანამედროვე ეპოქის პერსონაჟი ალგორითმება და იტერაციაზე საუბრისას ავითარებს:

„ჩვენთვის უფრო იოლია გალაქტიკური მოვლენების ანდა ატომის ბირთვის აფეთქების მომენტის ამოცნობა, ვიდრე იმის შეტყობა, თუ როგორი ამინდი იქნება სამი კვირის შემდეგ, იწვიმებს თუ არა იმ დღეს, როცა ჩვენს მოხუც დეიდას წვეულების გამართვა განუზრახავს დია ცის ქვეშ, თავის საყვარელ ბაღში. იმიტომ, რომ ეს სულ სხვა საკითხია. იმიტომ, რომ ცხოვრება სულ სხვა რამეა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როდის მოწყდება მოშლილ ონკანს წყლის მორიგი წვეთი. ყოველი წვეთი სრულიად ახალ პირობებს ქმნის შემდგომისათვის. მცირე გადახრაც კი აბათილებს ჩვენს პროგნოზს. ასევე შეუძლებელია ამინდის პროგნოზირებაც. კომპიუტერის ეკრანიც ხომ იმას გვიდასტურებს, რომ მომავალი ქაოსია და სხვა არაფერი. მას შემდეგ, რაც ადამიანი ხიდან ჩამოვიდა, მომავლის კარიბჭე სულ ხუთჯერ, კარგი, ექვსჯერ გაიდო. და ახლა დაგვიდგა საუკეთესო დრო... რაც გვეგონა, რომ ვიცოდით, თურმე არ გვცოდნია, რაც სწორი გვეგონა, მცდარი აღმოჩნდა“ (სტოპარდი: 2005: 49).

(“We’re better at predicting events at the edge of the galaxy or inside the nucleus of an atom than it’ll rain on auntie’s garden party three Sundays from now. Because the problem turns out to be different. We can’t even predict the next drip from a dripping tap when it gets

irregular. Each drip sets up the conditions for the next, the smallest variation blows prediction apart, and the weather is unpredictable the same way, will always be unpredictable. When you push the numbers through the computer you can see it on the screen. The future is disorder. A door like this has cracked open five or six times since we got up on our hind legs. It's the best possible time to be alive, when almost everything you thought you knew is wrong” (სტოპარდი 1993: 63))

„დეტერმინისტული ქაოსი“ არკადიაში მეცნიერული თემატიკის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. პიესაში ასევე საუბარია ისეთ მეცნიერულ წარმოდგენებზეც, როგორიც არის ენტროპია (entropy), დროის გარდაუგალობა (irreversibility of time), იტერაციული ალგორითმი (iterated algorithm), თერმოდინამიკის მეორე კანონი და სხვა (ფლემინგი 2001: 194).

სტოპარდი, სამყაროს ერთი მხრივ, ნიუტონისებურად, პროგნოზირებადი, დეტერმინისტული მეცნიერული შემეცნების გზით გვიჩვენებს, ხოლო მეორე მხრივ, თერმოდინამიკის მეორე კანონის მიხედვით, რომლის მიხედვით სითბოს დინება შეიძლება მოძრაობდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით, სითბოდან, სიცივისაკენ ანუ სამყარო სითბოდან სიცივისკენ მიიწევს, რაც დაკავშირებულია ენტროპიის კანონის გაძლიერებასთან, რომლის თანახმადაც, სამყარო წესრიგიდან უწესრიგობისაკენ მიდის. ეს ორი მეცნიერული შეხედულება კი ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, რადგან თერმოდინამიკის მეორე კანონი, ნიუტონის მოძრაობის კანონისგან განსხვავებით წინ და უკან არ მოძრაობს, არამედ ის „დროის ისრებად“ მოიაზრება, რომელიც სამყაროს შესაძლო „სითბურ აღსასრულზე“ მიუთითებს (ფლემინგი 2001: 194).

ამავე თეორიას ეხება ტომაზინა:

-„ტომაზინა: აკი ვთქვი! ნიუტონის მექანიზმი, რომელშიც ყველაფერი ატომთა მოძრაობის კანონებზე დაიყვანება, არასრულყოფილია. დეტერმინიზმი ბევრ კითხვას ბადებს. მიზეზი კი, ამ ჯელტმენის გამოკვლევაში უნდა ვეძიოთ.

-ლედი კრუმი: რისი მიზეზი?

-ტომაზინა: გახურებული სხეულების ქმედებისა!

-ლედი კრუმი: ეს გეომეტრიაა?

-ტომაზინა: არა, არა! ვერ ვიტან გეომეტრიას. (ხელით ეხება გეორგინას და თავისთვის ჩაიღაპარაკებს): მისის ჩეიტერი ნიუტონის კანონს თვალის დახამხამებაში გააცამტვერებდა. ვის-ვის, და მას კი ნამდვილად გაეგება რაღაც გახურებულ სხეულებისა“ (სტოპარდი 2005: 84).

(“**Thomasina:** Well! Just as I said! Newton’s machine which would knock our atoms from cradle to grave by the laws of motion is incomplete! Determinism leaves the road at every corner, as I knew all along, and the cause is very likely hidden in this gentleman’s observation.

**Lady Croom:** Of what?

**Thomasina:** The action of bodies in heat.

**Lady Croom:** Is this geometry?

**Thomasina:** This? No, I despise geometry! (Touching the dahlias she adds, almost to herself.) The Chater would overthrow the Newtonian system in a weekend” (სტოპარდი 1993: 111,112))

ხოლო მოგვიანებით, ამავე საცითხოან დაკავშირებით იგივე ტომაზინა შენიშნავს:

„დიახ... მისტერ ნიუტონის განტოლებებიც დიდად არ დაგიდევენ მიმართულებას... აი, სითბური განტოლება კი სულ სხვაა, მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს. ამიტომ მისტერ ნოუქსის ძრავა ვერ უზრუნველყოფს ენერგიით მისტერ ნოუქსის ძრავას.“ (სტოპარდი 2005: 87)

(“Oh... yes. Newton’s equation go forwards go backwards, they do not care which way. But the heat equation cares very much, it goes only one way. That is the reason Mr Noakes’s engine cannot give the power to drive Mr Noakes’s engine” (სტოპარდი 1993: 116))

იგივე აზრი პიესის ბოლოს, თანამედროვე ეპოქის გმირების ვალენტინის და პანას მსჯელობაშიც ვლინდება, რომელიც სცენაზე რომანტიზმის პერიოდის გმირების ტომაზინას და სეპტიმუსის დიალოგის პარალელურად მიმდინარეობს:

„ვალენტინი: ეს სითბოს გადაცემის დიაგრამაა.

-სეპტიმუსი: მაშ გამოდის, ყველა განწირული კუოფილვართ.

-ტომაზინა: (ხალისიანად) ასე გამოდის!

-ვალენტინი: აი, როგორც ორთქლის ძრავაში...

(ჰანა სეპტიმუსის გრაფინიდან მისსავე ჭიქაში ასხამს ღვინოს და ოდნავ მოსვამს.)

-ვალენტინი: მათემატიკისათვის საერთოდ არ მიუმართავს. ის გოგონა მოვლენათა არსეს ხედავდა, გაუცნობიერებდად, თითქოს ნახატს უყურებდა...

-სეპტიმუსი: ეს მეცნიერება არ გახლავთ. ეს უფრო ზღაპარია.

-ტომაზინა: ახლა ხომ ვალსს უკრავს?

(ისმის თანამედროვე მუსიკა)

-სეპტიმუსი: არც ახლა.

-ვალენტინი: ანდა ეკრანს.

-ჰანა: კარგი აქ რადას ხედავდა?

-ვალენტინი: იმას, რომ ყველა ფილმის ბოლოდან ჩვენება არ შეიძლება. ეს სითბოსაც ეხება. ჩაფლავდა ნიუტონი! აი, ქანქარას რხევა ან ბურთის ვარდნა შეგიძლია გადაიღო და მერე ბოლოდან უჩვენო. რა თავიდან, რა ბოლოდან, ერთია ორივე!

-ჰანა: ბურთმა, შეიძლება გზიდან გადაუხვიოს.

-ვალენტინი: ოდონდ წინასწარ უნდა იცოდე ეს. აი, სითბოს შემთხვევაში კი... ან ხახუნი როცაა გასათვალისწინებელი, ან როცა ბურთი ფანჯარას ამსხვრევს...

-ჰანა: მაშინ რა ხდება?

-ვალენტინი: რა და შეუქცევადი პროცესია.

-ჰანა: ვინმემ თქვა, არ არისო?

-ვალენტინი: მაგრამ ის გოგო მიხვდა, რატოა ასე. მინის ნამსხვრევებს შეაგროვებ, შეაწებებ... იმ სითბოს კი, ფანჯრის ჩამსხვრევისას რო გამოიყო – ვერა. წავიდა, გაქრა!

-სეპტიმუსი: მაშ „ნიუტონის გაუმჯობესებულ სამყაროს“ ბოლო მოეღება... ვაი ჩვენს დღეს!

-ვალენტინი: სითბო პაერს შეერწყმება, კოსმოსს, სამყაროს...

-ტომაზინა: აბა რა გეგონა? და ჩვენც უნდა ვიჩქაროთ. თუ ცეკვას ვაპირებთ, დროს ნუ დაგვარგავთ.

-ვალენტინი: და ყველაფერი ასე აიღრევა, სულ, განუწყვეტლივ...

-სეპტიმუსი: დრო ჯერ კიდევ გვაქვს, მიღედი.

-ვალენტინი: ...იქამდე, ვიდრე თავად დრო არ ამოიწურება. აი ასეთია ეს ჩვენი ნაქები დრო! ამაშია მთელი მუდამი!“ (სტოპარდი 2005: 93,94).

(“**Valentine**: It's a diagram of heat exchange.

**Septimus**: So, we are all doomed!

**Thomasina**: (cheerfully) yes.

**Valentine**: Like a stream engine, you see...

Hannah fills Septimus's glass from the same decanter, and sips from it.

She didn't have the maths, not remotely, not remotely. She saw what things meant, way ahead, like seeing a picture.

**Septimus**: This is not science. This is story-telling.

**Thomasina**: Is it waltz now?

**Semprimus**: No.

The music is still modern.

**Valentine**: Like a film.

**Hannah**: What did she see?

**Valentine**: That you can't run the film backwards. Heat was first thing which didn't work that way. Not like Newton. A film of pendulum, or a ball falling through the air – backwards, it looks the same.

**Hannah**: The ball would be going the wrong way.

**Valentine**: You'd have to know that. But with heat – friction – a ball breaking a window...

**Hannah**: Yes.

**Valentine**: It won't work backwarads.

**Hannah**: Who thought it did?

**Valentine**: She saw why. You can put back the bits of glass but you can't collect up the heat of the smash. It's gone.

**Septimus**: So the Improved Newtonian Universe must cease and grow cold. Dear me.

**Valentine**: The heat goes into the mix.

He gesture to indicate the air in the room, in the universe.

**Thomasina**: Yes. We must hurry if we are going to dance.

**Valentine**: And everything is mixing the same way, all the time, irreversibly.

**Septimus**: Oh, we have time, I think.

**Valentine:** .... till there's no time left. That's what time means" (სტოპარდი 1993: 124,125,126))

პიესაში ამგვარი მეცნიერული თეორიების არსებობა თანამედროვე ეპოქისათვის „დეტერმინისტულ ქაოსს“ წარმოქმნის, ისევე როგორც ავტორის ჩანაფიქრი იმის შესახებ, რომ პიესის დრამატურგიულ დროდ არა მარტო თანამედროვე ეპოქა, არამედ 1809-12 წლები ყოფილიყო შერჩეული, როგორც განმანათლებლობის და რომანტიზმის ეპოქების შეხედულებათა გზაჯვარედინი. ჯონ ფლემინგი ამის შესახებ შენიშნავს: „არკადიას“ შექმნის შემდეგი საწყისი წერტილი რამდენიმე წლის შემდეგ, გლეიკის წიგნის კითხვისას მოვიდა, როცა სტოპარდი რომანტიზმის და კლასიციზმის განსხვავებული სტილის, გემოვნების, ტემპერამენტის, ხელოვნების შესახებ ფიქრობდა“ (ფლემინგი 2001: 194).

სწორედ 1809-12 წლები, მხატვრული თვალსაზრისით, ზუსტად განასახიერებს მეცნიერულ კანონთა იმ წინააღმდეგობას, რაც განმანათლებლური ეპოქის სახით, ნიუტონის კანონების მიხედვით შთაგონებულ სამყაროს დეტერმინისტულ თუ მექანიცისტურ ადქმას, ხოლო რომანტიზმის სახით, პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პერსონაჟის ტომაზინას მიერ თერმოდინამიკის მეორე კანონის შეპირისპირებით „დეტერმინისტული ქაოსს“ წარმოქმნიდა. სამყაროს ადქმის ამგვარი მეცნიერული, ქაოსური, ნიუტონისეული თუ თერმოდინამიკული შეხედულება საინტერესოა სტოპარდის შემოქმედების მკვლევართათვის, როგორც ჰუმანიტარულ ასევე ზუსტ-საბუნებისმეტყველო მეცნიერთათვის, ასევე პოპ-კულტურული გამოცემებისათვის. მეცნიერული თემატიკა კი პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია.

1809 წლის აპრილი, მოქმედება დერბიშირის საგრაფოში ვითარდება, „უზარმაზარი სახლი ქალაქბარეთ, დღეს ასეთ სახლზე იტყოდნენ, დიდებული სახლიაო....“ (სტოპარდი 2005: 7) (“A room on the garden front of a very large country house in Derbyshire, nowadays, like house would be called a stately home”) (სტოპარდი 1993:1). პიესის ავტორს, თანამედროვე მკითხველივე გვერდიდან და მაყურებელი თეატრალური სცენის მეშვეობით, იმ დროსა და ეპოქაში გადაჰყავს, რომელსაც რომანტიზმი ჰქვია, სადაც 13 წლის ტომაზინას და მისი 21 წლის მასწავლებლის სეპტიმუს ჰოჯის საუბრით ვიგებთ პატარა

გოგოს სწრაფვას გაიგოს თუ რას ნიშნავს „კარნალური ჩახუტება“ (“carnal embrace”) (სტოპარდი 2005: 7), რაზეც მასწავლებელი პასუხობს:

„კარნალური ანუ ხორციელი ჩახუტება ნიშნავს საქონლის ხორცის ჩახუტებას“ (სტოპარდი 2005: 7,8)

(“carnal embrace is the practice of throwing one’s arms around a side of beef.” (სტოპარდი 1993: 2))

თუმცა ტომაზინას დაუინებულ მოთხოვნას კარნალური ჩახუტების რეალური მნიშვნელობის შესახებ, სეპტიმუსმა ასე უპასუხა:

„კარნალური ჩახუტება სქესობრივი აქტია, როცა მამაკაცის სასქესო ორგანო ქალის სასქესო ორგანოში აღწევს გამრავლებისა და სიამოვნების მიღების მიზნით“ (სტოპარდი 2005: 9).

(“carnal embrace is sexual congress, which is the insertion of the male genital organ into female genital organ for purposes of procreation and pleasure” (სტოპარდი 1993: 4))

პიესის სათაურის „არკადიას“ კონტაციის გათვალისწინებით, სექსის ფენომენის ნაწარმოებში შემოტანა, განსაკუთრებით ისეთ ეპიზოდში, როგორიცაა მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარი, თითქოს უადგილო და არასერიოზულია, მაგრამ პიესის სიუჟეტის ამგვარად განვითარებით ავტორი თანამედროვე მკითხველისა და მაყურებლის განწყობის ერთგვარ ირონიულ მოთვალისა ახდენს, რათა ისინი ასეთი მხატვრული ხერხის გამოყენებით ერთი მხრივ, იმ ქაოსურობისათვის შეამზადოს, რომელიც სიდღი პარკში დატრიალებულმა სექსუალურმა, ჩახლართულმა ისტორიებმა გამოიწვიეს და მეორე მხრივ, იმისათვის, რასაც მთავარი მოქმედი გმირების მხრიდან ამ სამყაროს ქაოსურობის თუ სიმწყობრის გარკვევის მცდელობა ჰქვია. თუმცა, სექსის ფენომენის მნიშვნელობა ძალიან აქტუალურია იმ ეპოქისთვისაც, რომელსაც პოსტმოდერნიზმი ჰქვია. პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი წამყვანი მოაზროვნე ჟან ბოდრიარი თავის „ამერიკაში“ საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს გენდერის ცვლაზე, სექსსა და ორგიებზე (ბოდრიარი 1989: 29,46), რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ; ამ საკითხს ასევე ეხება სტივ კონორი სექსის, როგორც პოსტმოდერნიზმის ეპოქის მახასიათებელზე დაწვრილებით განხილვისას და

აღნიშნავს, რომ სექსი თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა, რადგან ის პროდუქტი გახდა. სექსი ყველაფერშია, რადგანაც მან მოინდომა იყოს უფრო მეტი, ვიდრე ინტიმური სექსუალური აქტი. მთლიანად ცხოვრება იქცა ეროსად, სექსის ფენომენის ექსპანსიად და ა.შ. (კონკრეტული 2004: 11). პიესაში და ალბათ სამყაროშიც „დეტერმინისტული ქაოსის“ ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სექსია, როგორც ეს „არკადიას“ თანამედროვე დროის პერსონაჟების, ქლოს და ვალენტინის დიალოგში ჩანს, სადაც ქლო დეტერმინიზმის გამოთვლის შეუძლებლობას სექსის არსებობას მიაკუთვნებს და არა დეტერმინიზმის გამოთვლაში უზუსტობას, როგორც ეს ვალენტინს მიაჩნია (სტოპარდი 2005: 74), რადგან:

„ვთქვათ სამყარო დეტერმინისტულია, როგორც ამას ნიუტონი გვახსავდის; უფრო სწორედ, ცდილობს, რომ ასე იყოს და ვერ მოუხერხებია. და იცი რატო? იმიტო რო ადამიანებს ისინი არ ევასებათ, ვინც უნდა ევასებოდეთ. აქედან მთელი ეს დომხეალი“ (სტოპარდი 2005: 74).

(“That’s what I think. The universe is deterministic all right, just like Newton said, I mean it’s trying to be, but the only thing going wrong is people fancying people who are not supposed to be in that part of the plan.” (სტოპარდი 1993: 97))

ანუ ავტორს პიესის დასაწყისში ორი მარადიულ თემა, სექსი და სამყაროს მეცნიერული აღქმა შემოაქვს, როგორც ეს ტომაზინას მიერ ზემოთ წარმოთქმულ „გახურებული სხეულების“ შესახებ სიტყვებშიც გამოჩნდა.

პიესის მოქმედების ამ რაკურსით დაკვირვებისას ბუნებრივად წნდება კითხვა, რაში დასჭირდა სტოპარდს თანამედროვე თეატრალურ სცენაზე ორი ეპოქის გაცოცხლება, ერთი მხრივ 1809-12 წლების ეპოქა და მისი პერსონაჟები, როგორც მოწინავე, მთავარი აზრის გამტარებელი, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ეპოქა და მისი პერსონაჟები, როგორც რომანტიკული ეპოქის დამკვირვებელი და შემსწავლელი. რა კავშირი არსებობს ამ ორ ეპოქას შორის ან კი საერთოდ არსებობს რაიმე კავშირი? პიესის წყობა და სცენური დეკორაცია ამ ორი ეპოქის ურთიერთკავშირზეა აგებული, რაც ვლინდება არა მხოლოდ ერთი და იგივე სახლის, ერთი და იგივე ოთახის, ერთი და იგივე ბაღის სათამაშო არეალით, არამედ რომანტიკული და თანამედროვე ეპოქის სცენების აღწერითაც, რაც

ფორტეპიანოზე შესრულებული მუსიკალური ოქმით (სტოპარდი 2005: 43,45) და სცენაზე ორი კუს, ლაითინგისა და პლუტუსის არსებობით გამოიხატა (სტოპარდი 2005: 44).

1809-12 წლების პირველი სცენის აღწერის შემდეგ სტოპარდი მეორე სცენის (თანამედროვე დროის) დეკორაციული დეტალების აღწერას შემდეგნაირად გვთავაზობს:

„პიესის მეორე სცენა: სცენა ნათდება. იგივე ოთახი. ისეთივე დილაა, ოდონდ მოქმედება ჩვენს დროში ხდება. ერთადერთი, რაც ამაზე მიგვითითებს, ჰანა ჯარვისის იერი და ჩაცმულობაა. აქ ცოტა რამ ასახსნელია: მოქმედება ხან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ხდება და ხანაც მეოცე საუკუნის მიწურულს ერთსა და იმავე ოთახში. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ოთახის ინტერიერი ორივე შემთხვევაში უცვლელია: არც რაიმე ემატება და არც რაიმე აკლდება – ორივე დროისთვის შესაფერისია. რაც შეეხება რეავიზიტს – წიგნებს, ქადალდს, ყვავილებს – არ არის საჭირო მისი შეცვლა რომელიმე ეპოქის შესაბამისად. მაგრამ ყველა ის წიგნი თუ საგანი, რომელიც ორივე დროში ფიგურირებს, ძველი ვერსიითაც უნდა იყოს წარმოდგენილი და ახლითაც. ბალი, როგორც ამას მოქმედ პირთაგან შევიტყობთ, მნიშვნელოვნად შეცვლილა. ის კი, რასაც სცენაზე ვხედავთ, უცვლელად უნდა დარჩეს ორივე დროში“ (სტოპარდი 2005: 20).

(“Scene Two. The light come up on the same room, on the same sort of morning, in the present day, as is instantly clear from the appearance of Hannah Jarvis; and from nothing else. Something needs to be said about this. The action of the play shuttles back and forth between the early nineteenth centure and the present day, always in this same room. Both periods must share the state of the room, without the additions and subtraction which would normally be expected. The general appearence of the room should offend neither period. In the case of props – books, paper, flowers, etc., there is no absolute need to remove the evidence of one period to make way to another. However, books, etc., used in both periods should exist in both old and new versions.

The landscape outside, we are told, has undergone changes. Again, what we see should neither change nor contradict” (სტოპარდი 1993: 19))

ამ ეპოქებს შორის კავშირი სხვა მრავალი მაგალითითაც შეიძლება გამოიხატოს. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს ისაა რომ ავტორი შემთხვევით არ მიმართავს 1809-12 წლებს. ეს ის წლებია, როცა კლასიციზმის მსოფლმხედველობას რომანტიკული იდეები და შეხედულებები უპირისპირდება, ხოლო პიესაში ინგლისური რომანტიზმის მწვერვალის ლორდ ბაირონის არსებობით, (რომელიც ეროსული ისტორიებით ფიგურირებს) სტოპარდი აღნიშნავს თანამედროვე ანუ პოსტმოდერნისტული ეპოქის ინტერესს არა მხოლოდ რომანტიკული ლიტერატურის, არამედ წარსული დროის ყველა იმ ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობრივი კონცეფციის მიმართაც, რომელთა რეპრეზენტაციას პიესაში, სიდლეი პარკის ბაღის განაშენიანები წარმოადგენს. სიდლეი პარკის ბაღის და იქ განვითარებული მოვლენების მკვლევარებად კი თანამედროვე დროის პერსონაჟები ლიტერატორი ბერბარდ ნაითინგეილი და პანა ჯარვისი გვევლინებიან.

ზოგადად პოსტმოდერნისტული ეპოქისა და წარსულის ეპოქების, მათ შორის რომანტიზმის ეპოქასთან კავშირის შესახებ, უამრავი მოსაზრება არსებობს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სტივ კონორის მოსაზრება პოსტმოდერნიზმზე: „პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმთან ერთად გარკვეულწილად აწმყობის გამზიარებელია. წარსულში, სხვა ლიტერატურულ-კულტურული ეპოქები მაშინ წარმოიშვა, როცა კულტურები სხვა მხარეს იცქირებოდნენ, სხვა ეპოქების განახლებაზე ამახვილებდნენ ურადღებას, ეს სხვა კულტურებია: რენესანსი და ანტიკურობა, რომანტიზმი თავისი ბუნებრივი არქაულობითა და გზოტიკურობით, მოდერნიზმიც კი თავისი უცნაური პრიმიტივიზმის ნაზავით და ცოცხალი თანამედროვეობით. პოსტმოდერნიზმს პირიქით, განსაკუთრებულ დამოკიდებულება აქვს საკუთარი აწმყობის ბუნებრიობასთან (კონორი 2004: 10). პოსტმოდერნიზმის, როგორც ტექნოლოგიურ-მეცნიერული ეპოქისა და რომანტიზმის, როგორც ინდუსტრიული მეცხრამეტე საუკუნის ეპოქების კავშირზე ასევე საუბრობს პატრიცია ვაჟ: „პოსტმოდერნიზმი შეიძლება გაგებული იყოს... როგორც რომანტიკული აზროვნებიდან წარმოქმნილი ესთეტიკური ტრადიციის კულტინაცია... ეს ტრადიცია განმანათლებლურ გონებას ინსტრუმენტალიზმში ჩათრეულად განიხილავს, თავისი ინდუსტრიული თანამედროვეობის გათვალისწინებით...“ (კონორი 2004: 159). პოსტმოდერნიზმის ეპოქა ასევე

დაკავშირებულია განმანათლებლური დროის შეხედულებებთანაც, როგორც ურსულა ჰაისე აღნიშნავს:

„პოსტმოდერნისტული ცნობიერება განვითარდა ფილოსოფიაში, ისტორიაში, სოციოლოგიაში და კულტურათმცოდნეობაში, სადაც ფიგურირებს ფუნდამენტურად კრიტიკული ხედვა იმ უამრავ ფილოსოფიურ ცნებასთან, სოციალურ ინსტიტუტთან და აზოვნების ტრადიციასთან დაკავშირებით, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ევროპული განმანათლებლობის წიაღში განვითარდა, დაწყებული ისეთი ცნებებიდან, როგორიცაა ინდივიდუალიზმი და რაციონალზმი და დამთავრებული ისეთი ინსტიტუტებით, როგორიცაა ნაციონალური სახელმწიფო“ (კონორი 2004: 137). ხოლო ქართველი ფილოსოფოსი გურამ თევზაძე რაციონალიზმის ეპოქის მეოცე საუკუნის სამყაროზე გავლენის შესახებ წერს: „ცნობილია, რომ ბიბლიაზე დამყარებული რელიგიის წარმომადგენლებისათვის, ღმერთმა ადამიანს ბუნებაზე ბატონობა დაავალა. ღმერთის ეს სიტყვები მოწმობს, რომ ბუნება მზად იყო დამორჩილებოდა ადამიანს. ფრ. ბეკონისა და ლეკარტესათვის კი ადამიანი არ არის დედამიწის ბატონი, არამედ უნდა გახდეს ასეთი. მეცნიერების დახმარებით მან უნდა დაიმორჩილოს ბუნება. ესაა ახალი ფილოსოფიის, არა მარტო რაციონალიზმის, არამედ „რაციონალიზმის ყაიდაზე გამოჭრილი“ (ჰაიდეგერი) ევროპული ირაციონალიზმის და ემპირიზმის მიზანი, რის შედეგებსაც მეოცე საუკუნეში განმანათლებლობის დიალექტიკის მექანიზმით ახსნიან. ეს დიალექტიკა გულისხმობს, რომ ადამიანის გონების დიდი წარმატებები, რომლითაც კაცობრიობა ამაყობს და რომლის ძალაც ტექნიკაში ყველაზე ნათლად ჩანს (ატომური ენერგია, გენეტიკა, კომპიუტერიზაცია), პიროვნების, საზოგადოების, დიქტატის ქვეშ მოქცევის არნახულ შესაძლებლობებს ქმნის და ახალი დიდი კრიზისის წინაშე აყენებს კაცობრიობას (თევზაძე 2008: 230).

ამ გადმოსახედიდან სტოარდის „არკადიაში“ 1809-12 წლების სამოქმედო პერიოდად შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პიესის თანამედროვე დრო და თანამედროვე პერსონაჟები სიდლეი პარკის ბაღის მდგომარეობის დაკვირვებით ადგენენ კონკრეტული ეპოქის და ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. ანუ ბერნარდ ნაითინგეილი და ჰანა ჯარვისი არა მხოლოდ ბაირონის ან სიდლეი პარკის ბაღის კვლევით არიან

დაინტერესებულნი, არამედ ბაღის და ეპოქის სახით თანამედროვე სამყაროში მიღებული შედეგების წარმომქმნელი მიზეზებისაც.

ჰანა ჯარგისის მსგავსად, წინამდებარე ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ ინტერესს სიდღეი პარკის ბაღი „არკადიაც“ წარმოადგენს, რომლის გარეგნული მდგომარეობა კონკრეტული ეპოქის მისწრაფებების ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა.

რას ნიშნავს არკადია?

ოქსფორდის ლიტერატურული ლექსიკონის მიხედვით, არკადია მთიანი მხარეა საბერძნეთში, საკულტო ადგილი ანტიკურ ხანაში. ვირგილიუსის შემოქმედებაში ეს მხარე იდეალიზებული იყო. მოგვიანებით, რენესანსის პერიოდში სახელოვანი სერ ფილიპ სიდნეის პასტორალურ ნაშრომში, „არკადია“ აღიქმება როგორც წარმოსახვითი იდეალური ქვეყანა, უზენაესის სამეფო და ცივილიზაციის სიყალბეთაგან უხწენელი და გაურყვნელი ადგილი (დრებლი 2000: 36).

ხოლო, როგორც ჯიმ ჰანტერი ბაღების სიმბოლოზე საუბრისას აღნიშნავს:

„რელიგიასა და მითებში ბაღები ხშირად ჩნდებიან, როგორც სრულყოფილების ადგილი, სადაც ბუნების პოტენციურად ქაოსური ძალები დვთის მიერ მოთვინიერებული და მართულია. მითები, რა თქმა უნდა, ადამიანურ ოცნებებს ასახავენ; ქალაქში, ცათამბჯენის სახურავზეც კი, იმ გიურ ბაღში სადაც გცხოვრობთ, ბუნებას იმგვარად ვხედავთ, როგორც ჩვენ გვსურს“ (ჰანტერი 2000: 170).

ანუ პიესის სათაური „არკადია“ ოქსფორდის ლექსიკონის განმარტებით, ის ადგილია, სადაც ყველაფერი იდეალურად არის და სრული დვთაებრივი იდილია სუფეს. შესაბამისად სიდღეი პარკის „არკადიაც“ იდეალური ბაღის აზრის მატარებელი შეიძლება იყოს, რაზეც პიესის მოქმედი გმირის, ჰანას სიტყვები მიგვანიშნებს:

„აბა ეხლა სისულელებს მოეშვი, ბერნარდ! ინგლისური პეიზაჟი ხო მებაღეებმა შექმნეს უცხოელი მხატვრების მიბაძვით. ისინი კი, თავის მხრივ კლასიკოსებს ბაძავდნენ. მთელი ინგლისური პეიზაჟი კოხტად შეფუთული ჩამოიტანეს შორეული მხარედან. აი ნახე: ბრაუნი ბაძავს კლოდს, კლოდი თავის ნახატებს ვირგილიუსის მოტივებზე ქმნის. ესეც შენი იდილია, ესეც

შენი არკადია. აი, აქ კიდე, რიჩარდ ნოუქსის გელური ბუნება, სალვატორ როზას სტილში. პეტაჟი გოთური რომანის მოტივებზე! ვამპირებიდა აკლია. სხვათა შორის იქაურ განდეგილს შენი სახელგანთქმული მოგვარე ახსენებს თავის სტატიაში“ (სტოპარდი 2005: 29,30).

(“You can stop being silly now, Bernard. English landscape was invented by gardeners imitating foreign painters who were evoking classical authors. The whole thing was brought home in the luggage from the grand tour. Here, look – Capability Brown doing Claude, who was doing Virgil. Arcadia! And here, superimposed by Richard Noakes, untamed nature in the style of Salvator Rosa. It’s the Gothic novel expressed in landscape.

Everything but Vampires. There’s an account of my hermit in a letter by illustrious namesake” (სტოპარდი 1993: 34))

ჰანტერის შეხედულებით „არკადია“ ასოცირდება ედემის ბაღთან, რომლის ქაოსურ ბუნებასაც ლმერთი აწესრიგებდა. დაკარგული იდეალური ბაღის ძიება, ედემის ბაღის მსგავსი გარემოს შექმნა კი იყო და რჩება კაცობრიობის ამოცანად.

სტოპარდის „არკადიაშიც“ რამდენიმე ტიპის ბაღს ვხვდებით, ჯობ ჰანტერის დახმარებით, რომ ვთქვა ესენია:

1. 1730 წელს სიდლეი პარკის ბაღები გეომეტრიულად იყო დაგეგმარებული იტალიურ სტილში; 2. 1760 წლისათვის ისინი შეცვალა დახვეულმა ხეივნებმა, მეოვრამეტე საუკუნისათვის დამახსიათებელმა ბუნებრივმა ლანდშაფტმა; 3. პიესის დასაწყისში, 1809 წელს, ეს ყველაფერი იცვლება გოთიკური სტილის ხელოვნური კლდეებით, ნანგრევებით და განდეგილის სენაკით (ჰანტერი 2000: 156). ამას დავამატებდი მეოთხე, თანამედროვე ეპოქის ბაღსაც, რომელიც ტალახიან და არქეოლოგიური გათხრების ველად არის ქცეული, როგორც ეს ჯერ ქლოს შეფასებაში ჩანს:

„აქ დაუცადეთ, რა გინდათ იმ ტალახში? ხომ იცით, სულ ბაღშია...“ (სტოპარდი 2005: 21)

(“The best thing is, you wait here, save you tramping around. She spends a good deal of time in the garden, didn’t you know?” (სტოპარდი 1993: 21))

და ეს შემდეგ გმირის, ჰანას სიტყვებშიც აისახება:

„არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს, ისე კი არ არის საჭმე! აქ ადრე იტალიური ბაღი იყო, 1740 წლამდე...“ (სტოპარდი 2005: 28)

(“Archeology. The house had a formal Italian garden until about 1740...” (სტოპარდი 1993: 31))

“et in arcadia ego” „მე არვადიაში ვარ!“ (სტოპარდი 2005: 18) ლედი კრუმის ქს სიტყვები ბაღების არქიტექტორის რიჩარდ ნოუქსის მიმართ პროტესტის ნიშნად არის წარმოთქმული, ვისი პროექტის მიხედვითაც იმ დროის სიდღეი პარკის ბაღი სალვატორ როზასეული დიზაინით უნდა გარდაქმნილიყო. აქეე აღსანიშნავია, ბაღის დიზაინის იმ დროინდელი მდგომარეობა, რაც ჰანა ჯარვისის და ბერნარდ ნაითინგეილის საუბრისას გლინდება:

„მთელი ეს რომანტიკული მონაჩმახი, ბერნარდ! რა დაემართა განმანათლებლობის ეპოქას? მისი ინტელექტუალური სიმკაცრე აბსურდმა შეცვალა. დარტყმულები გენიოსებად შერაცხეს. იაფფასიანი გოთური საშინელებები და ყალბი ემოციები! იმ ბაღის ისტორიაში მშვენივრად არის ასახული ეს ყველაფერი. სიდღეი პარკის 1730 წლის გრავიურად აღმოჩენილი. ედემი გლობალური აყვავების ხანაში! გატირებს კაცს. 1760 წლისთვის კი ყველაფერი გაპარტახებული იყო; თვალწარმტაცი ტოპიარი, აუზები, ტერასები, შადრევნები და ცაცხვის ხეივანი. მთელი ეს სილამაზე, ეს მშვენიერი გეომეტრია მიწასთან გაასწორა ბრაუნმა. ხასხასა ბაღახმა პარმალიდან პორიზონტისაკენ გადაინაცვალა. ბზის ბუჩქების ღობე, საუკეთესო მთელ დერბიშირში, აყარეს და მის ადგილზე რაღაც არხები გაიყვანეს. თხრილებით გადასერეს იქაურობა აქაოდა ამიერიდან უფლის საუფლოში ვიცხოვრებთო. მერე კიდევ რიჩარდ ნოუქსი გამოტყველება და საუფლოს ახლებურად გარდაქმნის... აი ნახე ალბომში. დაცემა განადგურება ამას ჰქვია“ (სტოპარდი 2005: 31).

(“the whole romantic sham, Bernard! It's what happened to the enlightenment, isn't it? A century of intellectual rigor turned in on itself. A mind in chaos suspected of genius. In a setting of cheap thrills and false emotion. The history of the garden says it all beautifully. There's an engraving of Sidley Park in 1730 that makes you want to weep. Paradise in the age of reason. By 1760 everything had gone-the topiary, pools and terraces, fountains, an avenue of limes – the whole sublime geometry was ploughed under by Capability Brown. The grass

went from the doorstep to the horizon and the best box hedge in Derbyshire was dug up for the ha-ha so that fools could pretend they were living in God's countryside. And then Richard Noakes came in to bring God up to date. By the time he'd finished it looked like this (the sketch book). The decline from thinking to feeling, you see" (სტოპარდი 1993: 36,37))

ჰანას სიტყვებიდან ვიგებთ, რომ 1760 წლისათვის სიდღეი პარკის დიზაინი მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლური ეპოქის ხედვით არის შექმნილი ანუ ადამიანი სამყაროს რაციონალისტური შემცნებით, სამყაროს გონებით დამორჩილებას ცდილობს, რაც ბადის დიზაინშიც არის გამოხატული, რომლის შეცვლას მისტერ ნოუქსი სალვატორ როზასეული თანამედროვე სტილით, შუა საუკუნეების გოთიკური არქიტექტურის მიბაძითა და გოთიკური თემატიკის გაიდეალებით აპირებს. ანუ ბადების დაპროექტებასთან, ისევე როგორც სამყაროს შეხედულებებთან დაკავშირებით ორ სხვადასხვა ეპოქალურ მომენტში ვიმყოფებით, რომლის გამომხატველი 1809 წელია. ასევე საინტერესოა ჯიმ ჰანტისეული ინტერპრეტაციაც უკვე ნახსენების ფრაზის "et in arcadia ego", რომელიც ცნობილი ფრანგი მხატვარის ნიკოლა პუსენის 1638-9 წლების ნახატს შეეხება (იხილეთ დანართი 18), რაც სტოპარდისეული ირონიის აბსოლუტურად ლოგიკური გაგრძელებაა „არკადიაში“ მოცემული იდეალური სამყაროს იდეის მიმართ:

„ის გამოსახავს წარწერას საფლავის ქვაზე, რომელმაც საგონებელში ჩააგდო არკადიელი მწყემსები. ეს სიტყვები საფლავში მყოფი ადამიანის გამოგონილია? - „ერთ დროს მეც არკადიაში ვცხოვრობდი“? თუ „et“-ის ალტერნატიული მნიშვნელობა „აქაც“ არის, და ეს სიტყვები თავად სიკვდილს ეცუთვნის? „აქაც კი ვარ, არკადიაში“ (ჰანტერი 2000: 156). ანუ სიდღეი ჰარკის „არკადიად“ წოდებული ბადიც სიკვდილის სამყოფელია, რასაც პიესაში ტომაზინა აუდერებს:

„ბახ! ბახ! ბახ! თოვების ბათქაბუთქში ვიზრდები, როგორც გოგონა ალყაშემორტყმული ქალაქიდან. მთელი წელი მტრედები და ჭილყვავები... აგვისტოში როჭოები... მერე ტყისქათამა, ხოხები, მწყერები, ბეკასები... მერე კიდევ მექვიშიები... კიდე ბახ! ბახ! ბახ! და ახლა ნასუქი საქონელი. მამას სულაც არ ჭირდება მფარველი ანგელოზი, ან ბიოგრაფი, მთელი მისი ცხოვრება მონადირის დღიურებშია ასახული“ (სტოპარდი 2005: 19).

(“pop, pop, pop..... I have grown up in the sound of guns like the child of a siege. Pigeons and rooks in the close season, grouse on the heights from August, and the pheasants to follow-partridge, snipe, woodcock, and teal – pop – pop – pop, and the calling of the herd. Papa has no need of the recording angel; his life is written in the game book” (სტოპარდი 1993: 18.)

ამას კი სეპტიმუსის ორონიული პასუხი მოსდევს:

„ხოცვა-ქლების მატიანე! უკელგან ხოცვა-ქლება, „აქაც კი, არკადიაში“  
(სტოპარდი 2005: 19)

(“A calendar of slaughter. ‘Even in arcadia, there I am’”(სტოპარდი 1993: 18))

ამ ეპიზოდით ხათელი ხდება, რომ ლედი კრუმის მიერ გაიდეალიზირებული ბაღი, რომელსაც იგი „არკადიას“ უწოდებს ანუ ედემის ბაღის მსგავსად მიიჩნევს, განმანათლებლობის ხანის ბაღია, სადაც “et in arcadia ego”, “Even in Arcadia, I am here”, „აქაც კი, არკადიაში“ სიკვდილი არსებობს.

როგორ უნდა გაბატონებულიყო სიკვდილი ამ ლოთიურ და იდეალურ ბაღში?

ალბათ ამის პასუხი ადამ და ეგას დროინდელ „არკადიაში“, ედემის ბაღში უნდა ვეძიოთ. ღმერთმა ადამ და ეგას მისცა ის ბუნებრივი გარემო, რომელსაც თავად მართავდა. თუმცა იუდეურ-ქრისტიანული შეხედულების თანახმად, ღმერთმა მათ ასევე მისცა თავისუფალი ნების სახით ცოდნის ხე და ვაშლის ნაყოფი, რომ თავად გაეკეთებინათ არჩევანი მოწესრიგებულ, იდეალურ რეალობასა და მოუწესრიგებელ ყოფას შორის. როგორც ცნობილია ადამი და ევა მარადიულ, უკვდავ სამყოფელში იმყოფებოდნენ, მაგრამ ცოდნის ხის ნაყოფის გასინჯვის შემდეგ მათი მოდგმა მოკვდავი გახდა, რადგან ვაშლის მეშვეობით შემეცნებამ ისინი გამოაგდო მარადისობიდან და სიკვდილის შვილები გახადა. გამოდის, რომ ვაშლის სახით ედემის ბაღში სიკვდილი არსებობდა.

ვაშლი, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლო სტოპარდის პიესის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ გარდა, „არკადიაშიც“ მუდამ ფიგურირებს. განურჩევლად ეპოქალური დროებისა, სცენაზე არსებული ვაშლი ერთი მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ავტორი, როგორც თანამედროვე, ასევე რომანტიკული ეპოქის სცენებში არსებულ ვაშლს, ერთი

ვაშლის სახით წარმოადგენს, რაც ამ ეპოქათა კავშირის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სტოპარდი მესამე სცენის დასაწყისში აღნიშნავს:

„მაგიდაზე ვაშლი დევს. ეს ის ვაშლი უნდა იყოს, II სცენიდან“ (სტოპარდი 2005: 37)

(“There is also an apple on the table now, the same apple from all appearance” (სტოპარდი 1993: 46))

გამოდის, რომ პიესაში არსებული ვაშლი უკავშირდება ედემის ბაღის პირველ ვაშლს, რომლის დაგემოვნების შემდეგ ადამიანთა შორის გაჩნდა სიკვდილი და ქაოსი, რომელიც დღემდე გრძელდება. ხოლო დაკარგული ედემის ბაღის მსგავსი იდეალური სამყაროს ძიება კაცობრიობის უმთავრეს მისიად იქცა. თუმცა ედემის ბაღის და ვაშლის ბიბლიური აზრი ნიუტონისეულმა დეტერმინისტულმა გააზრებამ ჩაანაცვლა. ანუ ედემის ბაღის და სამყაროს აღქმის ბიბლიური წარმოდგენები ტექნოლოგიურ-მეცნიერულმა წარმოდგენებმა ჩაანაცვლა, საიდანაც წარმოიქმნა იმ დეტერმინისტულ და მეცნიერულ თეორიათა ქაოსი, რომელიც ტომაზინას პუდინგის მაგალითშიც ჩანს:

„აი სეპტიმუს როცა ბრინჯის პუდინგს ერთ კოგზ მურაბას დავამატებთ და მოვურევთ, წითელი სპირალები ჩნდება.... როგორც მეტეორის კვალი ასტრონომიულ ატლასში. მაგრამ თუ მერე საწინააღმდეგო მხარეს მოვურევთ, ეს სპირალები მურაბად ვეღარ იქცევა. პუდინგს კი რა ენაღვლება, წითლდება და წითლდება თავისთვის. უცნაურად არ გეჩვენება ეს, სეპტიმუს?“ (სტოპარდი 2005: 10)

(“When you stir your rice pudding, Septimus, the spoonful of jam spreads itself round making red trails like picture of a meteor in my astronomical atlas. But if you stir backward, the jam will not come together again. Indeed, the pudding does not notice and continues to turn pink just as before. Do you think this is odd?” (სტოპარდი 1993: 6))

რაზეც სეპტიმუსის პასუხობს:

„აბა რა, დროს ხომ უკან ვერ დავაბრუნებ, ჩვენც არ უნდა შეგჩერდეთ, რათა ადრინდელი ქაოსი ახლებულ ქაოსად არ ვაქციოთ... იქამდე, ვიდრე პუდინგი

სულ ერთიანად არ გაწიოთლდება. აი, ამას ჰქვია თავისუფალი ნება, ანუ თვითგამორკვევა” (სტოპარდი 2005: 10).

(“No more you can, time must needs run backward, and since it will not, we must stir our way onward mixing as we go, disorder out disorder into disorder until pink is complete, unchanging and unchangeable, and we are done with it for ever. This is known as free will or self-determination” (სტოპარდი 1993: 6))

შემდეგ ისევ ტომაზინას კითხვა:

„სეპტიმუს, როგორ გგონია დმერთი ნიუტონელია?“ (სტოპარდი 2005: 11)

(“Septimus, do you think God is a Newtonian?” (სტოპარდი 1993: 6))

რაზეც მოგვიანებით სეპტიმუსი პასუხობს:

„თუკი ყველაფერი, შორეული პლანეტებით დაწყებული და ჩვენი ტვინის უმცირესი ატომით დამთავრებული, ნიუტონის მოძრაობის კანონს ემორჩილება, მაშ სადღაა თავისუფალი ნება?“ (სტოპარდი 2005: 11)

(“If everything from the furthest planet to the smalles atom of our brain acts accorfig to Newton’s law of motion, what becomes of free will?” (სტოპარდი 1993: 7))

ამ ციტატიდან იწყება იმ მეცნიერულ შეხედულებათა ქაოსი, რასაც წინ სექსუალური ქაოსი უსწრებდა, რაც ჯერ ტომაზინას და სეპტიმუსის ზემოთ მოყვანილი დიალოგის სახით, ერთი მხრივ, ნიუტონის ატომთა მოძრაობის მექანიზმი და მეორე მხრივ ნიუტონის საპირისპირო თერმოდინამიკის მეორე კანონის დაპირისპირებაში გამოიხატა, რასაც გმირი ვალენტინი შენიშნავს და სამყაროს, ჭიქაში ჩასხმული ადულებული ჩაის მსგავსად მოიაზრებს (სტოპარდი 2005: 78), რომელიც სითბოდან სიცივისაპერ, ანუ სამყარო სიცოცხლიდან (ბიბლიური, ბუნებრივი ედემის ბადიდან ანუ ლვთიური წესრიგიდან) სიკვდილისაკენ (თანამედროვე პიპერრეალური ხელოვნური ედემის ბადისკენ ანუ „დისნეი ლენდის“ მსგავსი ბადისკენ) მიიწევს.

სამყაროში ქაოსის შესახებ ანგიპური ეპოქის დიდი მოაზროვნე პლატონიც საუბრობს თავის ერთ-ერთი გამორჩეულ დიალოგში „ტიმეოსი“. იგი ტიმეოსის პირით ამბობს: „დმერთმა შეიწყნარა ყოველივე ხილული, რაც

უძრავად კი არ ეგო, არამედ უწესრიგოდ და უთავბოლოდ იძვროდა და უწესრიგობიდან წესრიგად მოაქცია იგი“ (პლატონი 1994: 290). პლატონისეული წესრიგის შესახებ ბაჩანა ბრეგაძე შენიშნავს, რომ პლატონის დემიურგოსი, როგორც სული, რომლისთვისაც ნიშნეულია გონების ფლობა, ქმნის სამყაროს კანონზომიერებას, მის მწყობრ წესრიგსა და ყოველგვარ მშვენიერსა და კეთილს, ერთი სიტყვით დახვეწილ არქიტექტონიკასა და სამყაროს ჰარმონიას (პლატონი 1994: 232). მაგრამ იქნა ამატებს, რომ პლატონმა იცის, სამყარო მხოლოდ სრულქმნილება, სიკეთე და მშვენება როდია. კოსმიური წესრიგის, უნივერსალური კანონზომიერების თუ ჰარმონიული სტრუქტურის წიაღში თავს იჩენს ქაოსი, მთელი თავისი ბოროტებით, სიმახინჯით, უწესრიგობითა და დისკარმონიით (პლატონი 1994: 232). პლატონი სტოელთა მსგავსად არ აყენებს საკითხს და არ ამბობს, რომ სამყარო ან მწყობრი ან აღრეულობა და ქაოსია, იგი უფრო იმ აზრის მიმდევარია, რომლის თანახმადაც, როგორც პოლ ვალერი ამბობს: „შენ შეგიძლია, საკუთარი ნება-სურვილით, სამყაროში ისევე დაინახო წესრიგი, როგორც უწესრიგობა... თუ სამყაროს წესრიგი შემოქმედს გულისხმობს, მაშინ მისი უწესრიგობა გულისხმობს შეცდომას თუ საპირისპირო ძალას“ (პლატონი 1994: 233).

სამყარო, პლატონისათვის სხვა არაფერია თუ არა წესრიგისა და უწესრიგობის დიალექტიკური ერთიანობა. კოსმოსიც და ქაოსიც, წესრიგიც და უწესრიგობაც, ურთიერთსაპირისპირო მიზეზთაგან იღებს დასაბამს: პირველი, –იდეალური, ხოლო მეორე,–მატერიალურ მიზეზთა შედეგად გვევლინება. ამგვარად როგორც ბაჩანა ბრეგაძე აღნიშნავს, პლატონი გონიერ ადამიანს უპირველეს ყოვლისა, სიკეთის, წესრიგისა და მშვენიერების განხილვისაკენ მოუწოდებს, ხოლო შემდეგ ქაოსისა და უწესრიგობის. თუმცა ერთი რამ ცხადია, პირველი უხილავია, ხოლო მეორე ხილული (პლატონი 1994: 233).

თანამედროვე მეცნიერებამ, როგორც ეს პიესაში „მოხტუნავენი“ განვიხილეთ, სამყაროს შემეცნების პროცესიდან განდევნა ყოველგვარი მეტაფიზიკური, სულიერი თუ იდეალური ფაქტორი და გადავიდა მხოლოდ ხილულის ანუ მატერიალური სამყაროს კვლევა-ძიებაზე. გამოდის, რომ თანამედროვე მეცნიერებამ უკუაგდო და განდევნა პლატონის დემიურგის გონების საგანედ წოდებული სული (პლატონი 1994: 290), (იუდგურ-

ქრისტიანული ტერმინებით, სული, როგორც ღმერთი, რადგან პავლე მოციქული აღნიშნავს, რომ ღმერთი სულია (II კორ. 3.17) ანუ უხილავი), ჰარმონიის და მშვენიერის შემეცნების გზა და უპირატესობა მიანიჭა უხილავის საპირისპიროს, ხილული მატერიის, უწესრიგობის და ქაოსის შემეცნებით, სამყაროში წესრიგის იდეის ძიებას. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ მოვიტანეთ პოლ ვალერის სიტყვები, სამყაროში წესრიგის და უწესრიგობის დანახვა ჩვენს ნება-სურვილზეა და თუ თანამედროვე მეცნიერების ნება-სურვილი მიმართულია უწესრიგობის დაკვირვებისა და წესრიგის უგულებელყოფისკენ, მაშინ გამოდის, რომ სამყაროში ისინი უფრო მეტად ქაოსსა და უწესრიგობას ხედავენ, ვიდრე წესრიგს, რადგან მათ განდევნეს და უარყვეს წესრიგის შემოქმედის იმგვარი ვერსია, როგორსაც პლატონი ან თუნდაც იუდეურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობა გვთავაზობს. ალბათ ამიტომაც არის „არკადიაში“ ქაოსი, რადგან თანამედროვე სამყაროში ნიცშესეული შეხედულება „ღმერთის სიკვდილის“ შესახებ უფრო და უფრო გამყარდა. ამასთან დაკავშირებით ფერნარდო მოლინა სწორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ნაშრომში „ეგზისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფია“ (*Existentialism As philosophy*), სადაც ავტორი ღმერთის სიკვდილზე ნიცშეს მრავალ ნაშრომთაგან გამოარჩევს ყველაზე მრავლისმთქმელს, „მხიარულ მეცნიერებას“ (*Gay Science*), სადაც ჭკუიდან შეშლილი კაცი ღმერთის ძიების შემდეგ მისი და დანარჩენი საზოგადოების მიერ ღმერთის მოკვლაზე საუბრობს, რის შემდეგაც მოლინა აღნიშნავს სამყაროს მოძრაობის უმისამართობაზე, „უსასრულო არაფრისობისკენ“ სვლაზე, სადაც სამყარო უფრო და უფრო ციგდება და ბნელში ეხვევა (მოლინა 1962: 24), რაც საინტერესოა „არკადიაში“ სამყაროს სიცივისკენ სწრაფვის ეპიზოდის გააზრების ჭრილშიც (ამაზე ქვემოთ დაწვრილებით იქნება საუბარი). მოგვიანებით მოლინა განმარტავს ღმერთის სიკვდილის მეტაფორას დასავლელი ადამიანის გადმოსახედიდან და შენიშნავს, რომ ღმერთის სიკვდილი ნიშნავს არა ღმერთის არ არსებობას სამყაროში, როგორც ამაზე ათეისტები საუბრობენ, არამედ ღმერთის და სამყაროს ერთმანეთისგან დაშორებას (მოლინა 1962: 27).

შესაბამისად პლატონისეული თუ იუდეურ-ქრისტიანული წესრიგის შემქმნელი მოკვდა როგორც სამყაროსათვის, ასევე ადამიანთა გონებაში.

ამიტომაც დამკვიდრდა ხელოვნური, ადამიანური, მოჩვენებითი წესრიგი, რომელიც რეალურად, პლატონის კონცეფციის მიხედვით, მეორე ანუ მატერიალურ მიზეზთა შედეგის, ანუ ქაოსის და უწესრიგობის გამომხატველია.

რატომ მოძრაობს სამყარო სითბოდან სიცივისაკენ? ანუ სიცოცხლიდან (ბიბლიური, ბუნებრივი ედემის ბალიდან ანუ ღმერთისმიერი წესრიგიდან) სიკვდილისაკენ? (თანამედროვე ჰიპერრეალური ხელოვნური ედემის ბალისკენ ანუ „დისნეი ლენდის“ მსგავს ბალისკენ.)

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი თავის ნაშრომში „ამერიკა“ ლას ვებასის და ნიუ იორკის ანალიზის გარდა, კალიფორნიის შტატში მდებარე სანტა ბარბარას მთაზე გაშენებულ მდიდართა ვილებსაც განიხილავს, რაც აზრობრივად ძალიან ენათესავება სტოპარდის „არკადიას“.

ბოდრიარი სანტა ბარბარას მთაზე საუბრისას აღნიშნავს: „სანტა ბარბარას არომატულ ფერდობებზე, ყოველი ვილა დამკრძალავ ბიუროსავით გამოიყერება. ბალებსა და უკალიპტის ხეებს შორის, მცენარეთა სიუხვით გამორჩეულ და ადამიანთა მონოტონური სახეობის შუაგულში, ტრაგიკული უტოპიური ოცნებისაგან შექმნილი რეალობა მდებარეობს. გათავისუფლებისა და სიმდიდრის ამ შუაგულში მარად ერთი კითხვა ჩაგესმის: „ორგის შემდეგ რას აკეთებ?“ რას აკეთებ მაშინ, როცა ყველაფერი მისაწვდენია – სექსი, ყვავილები, სიცოცხლისა და სიკვდილის სტერეოტიპები? ეს ამერიკის პრობლემაა და ამერიკაზე გავლით, ის მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდა“ (ბოდრიარი 1989: 29).

უპირველეს ყოვლისა, მივაქციოთ ყურადღება მთის სახელწოდებას „სანტა ბარბარა“ ანუ წმინდა ბარბარეს მთა, წმინდანად შერაცხული მოწამის საპატივსაცემოდ დარქმეული სახელი, სიმბოლური თვალსაზრისით მოწამეობრივი, წმინდა მთა. ბოდრიარის შეფასებით კი უტოპიური სილამაზის მქონე ბუნებაში გაშებული მდიდართა სახლები წააგავს დამკრძალავ ბიუროებს, ხოლო მთელი ეს ადგილი სიმულაციას ჰგავს, რადგან როგორც პლასტიკურმა ქირურგიამ შექმნა ფიზიკური სილამაზე, ასევე ურბანული სილამაზე შეიქმნა ფოტოგრაფიული პეიზაჟებით, რომელიც ამ დასახლების რეალობას უტოპიურს ქმნის (ბოდრიარი 1989: 31). გამოდის, რომ ამგვარი

სიმბოლოების მატარებელი მთა ბოდრიარის შეფასებით სიკვდილის სამყოფელს ჰგავს, ანუ სტოპარდის „არკადიას“ გადმოსახედიდან “et in arcadia ego”, რაც თანამედროვე უტოპიურ სამყაროში საფლავის ანუ სიკვდილის სამყოფელია.

ამერიკის სამყაროს დახატვით, უდაბნოში გაშენებული ლას ვეგასით თუ სანტა ბარბარას მთის რეალობის აღწერით ბოდრიარი გვიჩვენებს იმგვარ რეალობას, რომელსაც „ამერიკულ ფიქციას“ ან „ამერიკულ ოცნებას“ უწოდებენ ანუ აზრობრივად იგივეს, რასაც „დისნეის სამყარო“ გულისხმობს. თუმცა „ამერიკისა“ და „სიმულაკრუმის“ ავტორი ფრანგი ფილოსოფოსი ამგვარი სამყაროს გარე მახასიათებლების გარდა, იქ მცხოვრებთა ყოფის აღწერასაც ამატებს: „სექსი, პლაჟი, და მთები. სექსი და პლაჟი, პლაჟი და მთები. მთები და სექსი. რამდენიმე ცნება. სექსი და ცნებები. უბრალოდ სიცოცხლე“ (ბოდრიარი 1989: 31). აქ აქტუალურია კითხვა, რომელიც სანტა ბარბარას მთის ყოფას აღწერს: „რას აკეთებ ორგიების შემდეგ?“ (ბოდრიარი 1989: 29) და თუ ეს ყველაფერი ამერიკის პრობლემაა, შესაბამისად მთელი მსოფლიოს პრობლემაცაა, როგორც ამას არა მხოლოდ ბოდრიარი, არამედ ფრედრიკ ჯეიმსონიც გლობალურ კაპიტალისტურ ფინანსურ ორგანიზაციების ანალიზისას აღნიშნავს.

აქედან გამომდინარე ერთ-ერთი პასუხი კითხვაზე თუ რატომ არის სტოპარდის „არკადია“ ასეთი აქტუალური და მიმზიდველი თანამედროვე თეატრალური წარმოებისთვის არის ის, რომ პიესის თემატიკა ძალიან ახლოა ცხოვრების იმგვარ რეალობასთან, რომელზეც სანტა ბარბარას მთის სახით ბოდრიარისეული გააზრება მიგვითითებს. სტოპარდის პიესაში კი ორგიების და სექსის გამომხატველ ერთ-ერთ მოწინავე პერსონაჟად ბაირონი გვევლინება.

რატომ ბაირონი და მისი სახით რომანტიზმი?

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს არის ის, რომ საკუთარი შემოქმედების შესაქმნელად ინგლისელი რომანტიკოსები ძალიან აქტიურად იყენებდნენ და აიდეალებდნენ შუა საუკუნეებს და გოთიკურ თემატიკას, რომელიც კოლრიჯის, პერსი ბისი შელის, მერი შელის და რა თქმა უნდა ბაირონის შემოქმედებაში აისახა. 1816 წლის ზაფხულში, უენეგის ტბის პირას ბაირონის

თაოსნობით გამართული შეჯიბრი სახელად „მოთხოვებები მოჩვენებებზე“ (*ghost story*) ნათლად წარმოადგენდა რომანტიკოსი მწერლების ინტერესს გოთიკური რომანისა და მეცნიერული რომანის თემატიკის მიმართ, რის შედეგადაც შეიქმნა მერი შელის ცნობილი „ფრანკენშტეინი“ (*Frankenstein*) (1818) და ჯონ ვილიამ პოლიდორის „ვამპირები“ (*The Vampyre*) (1819). გოთიკური რომანის აღზევება კი გოთიკურ არქიტექტურას უკავშირდება, რადგან მისტიკური შენობა-ნაგებობები, ციხე-სიმაგრეები, ტაძრები თუ მონასტრები ასოცირებული იყო გოთურ ხელოვნებასთან. აქედან გამომდინარე თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის მხრიდან ბაირონის პერსონის საძუთარ პერსონაჟად გამოყენება შესაძლოა ჩაფიქრებული ყოფილიყო იმისთვისაც, რომ უფრო მძაფრად ყოფილიყო ნაჩვენები თანამედროვე დროის და რომანტიზმის ეპოქის ურთიერთკავშირი. ფრედრიკ ჯეიმსონი დიდ დროს უთმობს თანამედროვე სამყაროში არქიტექტურული ნაგებობების სიმბოლიკის შესახებ საუბარს, სადაც პოსტმოდერნისტული არქიტექტურის სემიოტიკური მნიშვნელობა შედარებულია შუა საუკუნეების კათედრალების საზრისებთან, ხოლო ეგრეთ წოდებული „მოჩვენებების მოთხოვების“ (*Ghost story*) იდეური მემკვიდრე ჯეიმსონის აზრით, პოსტმოდერნისტული ეპოქაა (ჯეიმსონი 1998: 176-187-188-189). დისნეის ლოგოზეც ხომ შუა საუკუნეების გოთური არქიტექტურით შთაგონებული ნოიშვანშტაინის ციხე-სიმაგრეა გამოსახული, რომელიც მე-19 საუკუნეში ლუდვიგ ბავარიელის მიერ იქნა აგებული. (იხილეთ დანართი 19) მსგავსად ამისა, თანამედროვე მანევრენის ორი გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობა, პოტმოდერნისტული „ციხე-სიმაგრეები“ „სითი კორპ ცენტრი“ და „ტრამპ თაუერი“, უმბერტო ეკოს აზრით ნეო-შუა საუკუნეების არქიტექტურული ქმნილებებია (ეკო 1998: 62). (იხილეთ დანართი 20)

შუა საუკუნეების და პოსტმოდერნისტული სამყაროს კავშირზე უმბერტო ეკო თავის ნაშრომთა კრებულში „ყალბის რწმენა-მოგზაურობა პიკერებალობაში“ დაწვრილებით საუბრობს და დაახლოებით იგივეს ამბობს, რასაც ჯეიმსონი. ეკოს თქმით, თანამედროვეობის ყველა მწვავე პრობლემის სათავე შუა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ, რადგან: „სინამდვილეში, ამერიკელები და ევროპელები დასავლური მემკვიდრეობის მემკვიდრეები არიან, დასავლური მსოფლიოს ყველა პრობლემა შუა საუკუნეებში

გამოვლინდა: თანამედროვე ენების, სავაჭრო ქალაქების, კაპიტალისტური ეკონომიკის (ბანკებთან, ჩეკებთან და მაღალ ტარიფებთან ერთად) გამომგონებელი შუა საუკუნეების საზოგადოებაა“ (ეკო 1998: 64). შუა საუკუნეები თანამედროვე შეიარაღებული ძალების აღზევების დასაბამია, ისევე როგორც ნაციონალური თუ ზებუნებრივი ფედერაციული თანამედროვე სახელმწიფოების კონცეფციების; მდიდრებსა და ღარიბებს შორის ბრძოლა, ერესისა თუ იდეოლოგიური გადახრების კონცეფცია, სახელმწიფოსა და ეკლესიის დაპირისპირება, სავაჭრო გაერთიანებები, შრომის ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, ეს ყველაფერი შუა საუკუნეებში იდებს დასაბამს. შუა საუკუნეები არის გამომგონებელი ცხენის აღკაზმულობის და ქარის წისქვილების, ისევე როგორც თანამედროვე ტიპის საზღვაო საჭის ტექნიკის, რისი გამოგონების გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამერიკის აღმოჩენა. ყველაფერთან ერთად კომპასის მოხმარებაც ამავე პერიოდს უკავშირდება. თუ პირობითად შევთახმდებით და ვიტყვით, რომ შუა საუკუნეები 1492 წელს სრულდება, ამ პერიოდში გამოჩნდა დენთი და გუტენბერგის გალაქტიკა. უკა თქმით თანამედროვე ტექნოლოგია შუა საუკუნეების გამომგონებლობის წყალობით არსებობს, რისი მაგალითიც შუა საუკუნეებში გამოგონებული სათვალე და ორთქლის ძრავაა (ეკო 1998: 64). და მთავარი: „ზემოთნახსენები არცერთი იდეა და სინამდვილე არ შობილა კლასიკურ ანტიკურ სამყაროში. უდავოა, რომ უძველესი საბერძნეთიდან და რომიდან ჩვენ შევიძინეთ ტრაგედიის შესახებ წარმოდგენა (მაგრამ ჩვენი თეატრი ემყარება შუა საუკუნეების მოდელს) და მშვენიერების იდეალი, ისევე როგორც ჩვენი ზოგადი ფილოსოფიური კონცეფციები. მაგრამ შუა საუკუნეებისგან ვისწავლეთ თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი“ (ეკო 1998: 65).

მეორე მიზეზი, რომელიც გამოხატავს ბაირონის პერსონაჟის არსებობის აუცილებლობას სტოპარდის „არკადიაში“ შეიძლება იყოს ის სამი თემა, რომელსაც პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი ქლო გაზეთში კითხულობს:

„არკადიაშიც კი- სექსი, ლიტერატურა და სიკვდილი სიდლეი პარკში. აქვეა ბაირონის პორტრეტიც“ (სტოპარდი 2005: 73).

(“Even in Arcadia – Sex, Literature and Death at Sidley park. Picture of Byron” (სტოპარდი 1993: 97))

ბაირონი საკუთარი პერსონით პირდაპირ ასოცირდება სამ მარადიულ თემატიკასთან:

1. სექსი, როგორც ბაირონის ცხოვრების განუყოფელი ცნება (როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული), რომელიც თანამედროვე დასავლეთისთვის ძალიან აქტუალური გახდა 1968 წლის პარიზის გამოსვლების შემდეგ. 2. ლიტერატურა, როგორც ბაირონის ცხოვრების და შემოქმედების განმსაზღვრელი. და 3. სიკვდილი, რომელიც მისი ცხოვრების ისტორიული ფინალია, რომელიც სექსთან და ლიტერატურასთან ერთად ქმნის იმ სამ უმთავრეს იდეას, რის გამოც ბაირონის ცხოვრება და მოღვაწეობა გამორჩეული იყო.

თუმცა, „არკადიას“ ავტორი ბაირონის პერსონაჟის გარდა არანაკლებ დაინტერესებულია სეპტიმუსის მხატრული სახითაც, რომელიც „ბიბლიური პერსონაჟის“ (სტოპარდი 2005: 29) თუ „ადგილის სულის“ (სტოპარდი 2005: 32) კონოტაციით არის მოცემული და ტომაზინას მასწავლებელად გვევლინება. ტომაზინას და სეპტიმუსის მეცადინეობისას გამოვლენილი სამყაროს შემეცნების ნიუტონისეული თუ თერმოდინამიკის მეორე კანონის თეორიები აერთიანებს არა მხოლოდ „არკადიას“ იდეურ ნაწილს, არამედ სტოპარდის მთავარი პიესების მთელს ფილოსოფიასაც, რაც შემდეგს გულისხმობს: როგორც პიესაში ჩანს, ბაირონი და სეპტიმუსი ერთი და იგივე დროს კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი კოლეჯის სტუდენტები იყვნენ, როგორც ეს ჯერ პანა და ბერნარდის საუბრისას, შემდეგ კი ბერნარდის მოხსენების კითხვისას ვლინდება (სტოპარდი 2005: 36, 56).

„-ბერნარდი: მოიცა, მოიცა. ჰოჯი სად სწავლობდა?

-პანა: ტრინიტი კოლეჯში.

-ბერნარდი: მაშ ტრინიტიში, არა?

-პანა: ჰო. (ყოფანით) ჰო. ბაირონიც იქ სწავლობდა.

-ბერნარდი: ჰოჯი რამდენი წლის იყო?

-პანა: ზუსტად არ მახსოვს... ვნახავ... მაგრამ, მგონი, ბაირონზე ერთი თუ ორი წლით იყო უფროსი. ოცდაორის უნდა ყოფილიყო...

**ბერნარდი:** ტრინიტი კოლეჯში ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ?

**ჰანა** (დადლილი ხმით): ჰო, ბერნარდ, ჰო. და ალბათ კრიკეტის ერთ გუნდშიც თამაშობდნენ, როცა ჰაროუ იტონს ერკინებოდა... “ (სტოპარდი 2005: 36)

(“**Bernard:** “what was Hodge’s college, by the way?

**Hannah:** Trinity.

**Bernard:** Trinity?

**Hannah:** yes. (She hesitates.) Yes. Byron’s old college.

**Bernard:** How old was Hodge?

**Hannah:** I’d have to look it up but a year or two older than Byron. Twenty-two...

**Bernard:** Contemporaries at Trinity?

**Hannah:** (wearily) Yes, Bernard, and no doubt they were both in the cricket eleven when Harrow played Eton ar Lords!” (სტოპარდი 1993: 43))

პიესაში განვითარებული ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული იდეის, სამყაროს აღქმის დეტერმინისტული შეხედულების დამფუძნებელი ისაა პიუტონი, ბაირონის და სეპტიმუს ჰოჯის მსგავსად, ტრინიტი კოლეჯის სტუდენტი იყო. „არკადიას“ პერსონაჟების და პიესაში გატარებული ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო იდეის ავტორის ამგარი კავშირი ტრინიტის ანუ სამების კოლეჯთან და სამყაროს აღქმის მათეული განსხვავებული ფილოსოფიური მიდგომები (მიუხედავად იმისა, რომ სამივე აღიზარდა, განათლება მიიღო, მსოფლმხედველობრივად ჩამოყალიბდა იმ გარემოში, რასაც ტრინიტი ანუ სამების კოლეჯი ჰქვია, ისევე როგორც პიესის პერსონაჟების ტრივიალური ინტერესი სიდლეი ჰარკის მიმართ, როგორც ეს ერთ შემთხვევაში ბერნარდისა და ვალენტინის (სტოპარდი 2005: 61), ხოლო მეორე შემთხვევაში, ჰანას და ვალენტინის დიალოგებში ჩანს, („ისე კი ყველაფერი ტრივიალურია შენი როჭოები, ჩემი განდეგილი და ბერნარდის ბაირონი“ (სტოპარდი 2005: 76)) (“It’s all trivial – your grouse, my hermit, Bernard’s

Byron” (სტოპარდი 1993: 100))) პიესის ავტორის მხრიდან შემთხვევითი არ უნდა იყოს. სამი მნიშვნელოვანი პერსონაჟის კავშირი ტრინიტი ანუ სამების კოლეჯთან „მოხტუნავენში“ პირამიდული და სამკუთხედისეული სემიოტიკური ნახაზის მსგავსად, სამყაროს წარმოშობის ერთ-ერთი ვერსიის, რიცხვი სამიდან ყოველივეს დასაბამის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს. „არკადიას“ შემთხვევაში, სამყაროს წარმოშობის ამგვარ მოსაზრებას ტრინიტი ანუ სამების კოლეჯი შეიძლება გამოხატავდეს.

სიდღეი პარკის ბაღის „არკადიას“ ანალიზისას ძალიან საფიქრებელია პანა ჯარვისის საკვლევი მეორე თემაც, სიდღი პარკის განდეგილი.

ვინ არის განდეგილი ან რა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია ის?

პირველი სცენის ბოლოს „არკადიად“ წოდებულ სიდღეი პარკში ტომაზინაა ის პერსონაჟი, რომელიც სიკვდილის არსებობასთან ერთად პირველად განდეგილს ახსენებს:

„არ გვინდა სიკვდილზე! ახლა მე ამას განდეგილსაც მივახატავ, თორემ უგანდეგილოდ რადა განდეგილის სენაკია!“ (სტოპარდი 2005: 19)

(“oh, phooey to death! I will put in a hermit, for what is a hermitage without a hermit?”  
(სტოპარდი 1993: 18))

შემდეგ აგრძელებს:

„აი ნახეთ. ეს ჩემი განდეგილი იოანე ნათლისმცემელს ჰგავს უდაბნოში“  
(სტოპარდი 2005: 20)

(“I have made him like the Baptist in the wilderness”(სტოპარდი 1993: 19))

განდეგილზე პიესის მრავალ ეპიზოდშია საუბარი და მას ყველა ეპიზოდში რელიგიურ ოქმატიკასთან აქვს კავშირი. მაგალითად, ბერნარდი მას „ბიბლიურ პერსონაჟად“ (სტოპარდი 2005: 29) და „ადგილის სულად“ მოიხსენიებს (სტოპარდი 2005: 32) ხოლო თავად ჰანა ჯარვისი მას აღმოჩენას, გამოცხადებას(!) უწოდებს და შემდეგ ამატებს:

„განდეგილი თითქოს პეიზაჟის სრულყოფისათვის სჭირდებოდათ, როგორც რადაც სამშვენისი ფაიფურის ჯუჯა“ (სტოპარდი 2005: 31).

(“the hermit was placed in the landscape exactly as one might place a pottery gnome. And there he lived out his life as a garden ornament”(სტოპარდი 1993: 36))

ანუ „არკადიას“, როგორც დვთიური, იდეალური ედემის ბადის პაროდირება განდეგილის პერსონაჟისადმი დამოკიდებულებაშიც კარგად ჩანს, რადგან თანამედროვეობის გადმოსახედიდან იგი მხოლოდ დეკორატიული ფუნქციის მატარებელია ისევე, როგორ ზოგადად „არკადიას“ იდეა:

„თითოეული ფურცელი მისტიკური მტკიცებულებებით გადაეჭედა, სამყაროს დასასრულს წინასწარმეტყველებდა“ (სტოპარდი 2005: 31).

(“he'd covered every sheet with cabalistic proofs that the world was coming to an end”  
(სტოპარდი 1993: 36).)

შეიძლება ითქვას, რომ განდეგილი განმანათლებლურ და რომანტიკულ ეპოქაში არსებული დვთის სიტყვის სიმბოლოს წარმოადგენს, რომელმაც სამყაროს დასასრული უწინასწარმეტყველა თუმცა იგი დარეხვილად შერაცხეს, როგორც ეს თანამედროვე ეპოქის გმირის პანას სიტყვებში ჩანს:

„ეგონათ გენიოსის ჩანაწერები აღმოაჩინესო. მაგრამ გაირკვა, რომ დარეხვილთან ჰქონდათ საქმე“ (სტოპარდი 2005: 31).

(“he was suspected of genius. It turned out, of course, he was of his head” (სტოპარდი 1993: 36))

ამ აზრობრივ ჭრილში ძალიან მნიშვნელოვანია განდეგილის სიკვდილის თარიღი 1834 წელი, რის შემდგომაც ჯერ ჩარლზ დარვინი ანგიოთარებს თავის ცნობილ თეორიას „წარმოშობის შესახებ“ (*On The Origin Of Species*) (1859), შემდეგ კარლ მარქსი წერს თავის ნაშრომს „კაპიტალიზმი“ (*Das Capital*) (1867), ხოლო საუკუნის მიწურულს 1883-85 წლებში ფრიდრიხ ნიცშე სამყაროს ღმერთის სიკვდილს აუწყებს. აქედან გამომდინარე, პიესაში განდეგილის სიკვდილის სახით, სამყაროსათვის ღმერთი გარდაიცვალა. ღმერთთან ერთად მისი სიტყვაც, რომელიც აპოკალიფს წინასწარმეტყველებდა. შესაბამისად საზოგადოებისათვის გაუგებარი შეიქმნა სამყაროს წესრიგის იმგვარი ვერსია, რომელიც უზენაესის ძალასთან ასოცირდება. ხოლო თავად ღმერთის სიტყვის

მოქმედი დარეხვილად შერაცხეს. ეს ყველაფერი სამყაროს პრაგმატულ ყოფად გარდაქმნის, ყველაფრის გონებაზე დაყვანის და გარკვეულ ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევის შედეგია, რომელსაც საბოლოოდ ქაოსამდე მივყავართ, თუმცა მიუხედავად ამისა, სამყაროს აღქმის მატერიალური, ქაოსური შეხედულება თანამედროვე საზოგადოებისათვის უფრო სარწმუნო გახდა.

როდესაც განდეგილზე ვსაუბრობთ და განდეგილის სახით „არკადიაში“ წინა პლაზე სიკვდილის თემატიკას ვაყენებთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი უაღრესად საინტერესო ეპიზოდი, რომელიც პიესაში ოგასტეს შეკითხვას უკავშირდება:

„მინდოდა მეკითხა სერ... (პაუზა). თქვენ ალბათ უფროსი ძმა გყავთ, არა? „სეპტიმუს“ ხომ „მემვიდეს“ ნიშნავს. მეშვიდე იყავით ძმებში?“ (სტოპარდი 2005: 88)

(“I would like to ask you a question Mr. Hodge. (pause) You have an elder brother, I dare say, being a Septimus?” (სტოპარდი 1993: 117))

ვფიქრობ, სეპტიმუსის რიცხვ შვიდთან გაიგივება, ისევე როგორც პიესის მთლიანი აგებულება, რომელიც შვიდი სცენისაგან (სამი წარსული დრო, სამი თანამედროვე დრო და ერთი შერეული დრო) შედგება, ჰანას შეფასება: „სიდლეი პარკის განდეგილი ჩემი აღმოჩენად გამოცხადება...“ (სტოპარდი 2005: 31) და ამავე განდეგილის ჩანაწერები სამყაროს აღსასრულის წინასწარმეტყველების შესახებ უზარმაზარი სიმბოლოს მატარებელი შეიძლება იყოს, რომელიც იოანეს გამოცხადებას შეიძლება უკავშირდებოდეს, სადაც საუბარია შვიდ ანგელოზზე:

„მიგბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა, და მიბრუნებისას ვიხილე შვიდი ოქროს სასანთლე (გამოცხადება1.12). „შვიდი ვარსკვლავის საიდუმლო, რომელიც შენ იხილე ჩემს მარჯვენაში და შვიდი ოქროს სასანთლე: შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზებია, ხოლო შვიდი სასანთლე შვიდი ეკლესია (გამოც. 1.20). „გავიგონე ტაძრიდან ხმა, რომელიც ეუბნებოდა შვიდ ანგელოზს: „წადით და დედამიწაზე გადაღვარეთ დვთის მძვინვარების შვიდი თასი“ (გამოც.16.1).

ერთი მხრივ, განდეგილის ანუ სეპტიმუსის, მეშვიდეს, კონიტაციის შემოტანა და ზოგადად პიესის შვიდ ნაწილად დაყოფა და მეორე მხრივ, პიესის ბოლოში ანუ მეშვიდე სცენაში ორივე ეპოქის პერსონაჟების, მათ შორის სეპტიმუსის (მეშვიდეს) მიერ სამყაროს დასასრულის გამოთვლით ავტორმა გამოხატა თანამედროვე პოსტმოდერნისტული სამყაროს რეალობა, სადაც ყველაფერი დავიდა რიცხვამდე, ციფრამდე ანუ ციფრულ მეცნიერებამდე, რომელიც საბოლოოდ გაერთიანდა ციფრი შვიდის გარშემო, რომელიც როგორც აღვნიშნე, იოანეს გამოცხადების მიხედვით, აპოკალიფსის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული თერმოდინამიკის მეორე კანონი, რომლის მიხედვითაც სამყარო სითბოდან ანუ სიცოცხლიდან, სიცივისაკენ ანუ სიკვდილისაკენ მიიწევს.

### რატომ სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ?

ახალ ადოქმაში იოანეს სახარებაში, ვფიქრობ, ერთი ძალიან საინტერესო მონაკვეთია, რომელსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს სამყაროში სითბოს სიცივისაკენ სწრაფვასთან და სამყაროში რეალობის დაკარგვას ანუ აპოკალიფს აღნიშნავდეს. იოანე სახარებას შემდეგი სიტყვებით იწყებს:

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“ (იოანე 1.1-1.5).

შემდეგი ეპიზოდი იოანეს სახარებიდან:

„იესო კვლავ ეუბნებოდა და უთხრა მათ: „მე ნათელი ვარ წუთისოფლისა, ვინც წამომყენება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას“ (იოანე 8.12).

და მესამე ეპიზოდი იოანეს სახარებიდან, რომელიც ღმერთის კავშირს სიცოცხლესთან და ნათელთან უფრო ნათელს ხდის:

„სანამ სოფელში ვარ, წუთისოფლის ნათელი ვარ“ (იოანე 9.5).

სამყაროს სითბოდან სიცივისაკენ სწრაფვის მსვლელობას ზემოთ მოყვანილი ეპიზოდიდან გამომდინარე თუ გავაანალიზებთ, ეს ნიშნავს, რომ სითბო თავისთავშივე მოიცავს სინათლეს ანუ ნათელს, ხოლო ნათელი არის თავად ღმერთი და ღმერთი არის სამყაროს ნათელი, ხოლო ღმერთი არის სიცოცხლე. გამოდის, რომ სითბო არის ნათელი, ნათელი არის ღმერთი და ღმერთი არის სიცოცხლე, რომელიც სიცივისაკენ მიემართება.

რისი აღმნიშვნელი შეიძლება იყოს სითბოს საპირისპირო სიცივე? სიცივე არის სიბნელე ანუ ადგილი სადაც არ არის ნათელი, შესაბამისად სადაც სიბნელეა (უკუნეთი), იქ არ არის ადგილი ნათლისა ანუ ღმერთისა, რაც ნიშნავს იმას, რომ იქ არ არის ადგილი სიცოცხლისა, შესაბამისად სიბნელე-უკუნეთი არის სამყოფელი ანტი-ღმერთისა ანუ სიკვდილისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცივე არის სიბნელე-უკუნეთი, სიბნელე არის ანტი-ღმერთი (ანტი-ქრისტე), ხოლო ანტი-ქრისტე არის სიკვდილი. თუ სამყაროს ტოვებს სითბო და სინათლე, რომელიც სახარებისეულად ღმერთია, შესაბამისად ის ტოვებს სიცოცხლეს და თუ ტოვებს სიცოცხლეს, ის მიემართება სიკვდილისაკენ, რომელიც ბნელი და ცივია. ქრისტე ამბობს: „სანამ სოფელში ვარ, წუთისოფლის ნათელი ვარ“ (იოანე 9.5). ჩვენ ვიცით, რომ პიესაში განდევნილი განასახიერებდა იმ პერსონაჟს რომელიც სამყაროს აღსასრულს წინასწარმეტყველებდა, თუმცა იგი მოკვდა. შესაბამისად პიესის რეალობაში მოკვდა ღმერთის სიტყვა, რწმენა, რელიგია, სინათლე და სიცოცხლე და ამიტომაც დაისადგურა სიდლეი პარკის ბაღში სიკვდილმა, რომელსაც ავტორმა „არკადია“ უწოდა. თანამედროვე რეალობაში კი ადამიანმა ტექნო-მეცნიერული ცოდნის, ხელოვნური სინათლითა და ხელოვნური სითბოს საშუალებით შექმნა ახალი „არკადია“, რომელსაც „დისნეის სამყარო“ უწოდა. ამგვარ ხელოვნურ სამყაროში ახალი მწამსი, პრაგმატული ღმერთი - ფულის ღმერთი შეიქმნა.

თანამედროვე სამყაროში აპოკალიფსური გრძნობის სიმყარეზე სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავო ჟიჟეციც საუბრობს და აღნიშნავს, რომ პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ოთხი სხვადასხვა აპოკალიფსური აზრი მუსირებს: ქრისტიანულ-ფუნდამენტალისტური (Christian Fundamentalism), ახალი საუკუნის სპირიტუალისტური (New Age spirituality), ტექნო-ციფრული პოსტ-ჰუმანიზმის (techno-digital post-humanism) და სეკულარული ეკოლოგიზმის

(secular ecologism) (ქიუეპი 2009: 94). შეიძლება ითქვას, რომ სტოპარდის „არკადია“ ჟიუგის მიერ აღწერილი ოთხივე აპოკალიფსური განწყობილების გამომხატველია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტოპარდის „არკადია“ პოსტმოდერნისტული პიესაა, რაზეც ზემოთ ნახსენებ არგუმენტებთან ერთად ამ პიესის ფინალიც მეტყველებს, სადაც ძალიან კარგად ჩანს ერთი უმთავრესი იდეა, რომელიც თითქოს ქაოსურად არის წარმოჩენილი, მაგრამ ვფიქრობ პირიქით, ძალიან დალაგებულია ყველაფერი. იდეა ისაა, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულმა ეპოქამ მიიღო, ერთი მხრივ, განმანათლებლურ-რაციონალისტური ეპოქის იდეა, ანუ სამყაროს ტექნოლოგიურ-მეცნიერული შემეცნების თეორია, ხოლო მეორე მხრივ, რაციონალიზმის საპირისპირო რომანტიკულ-შუა საუკუნეების კონცეფცია. ერთი მხრივ, ტომაზინას და სეპტიმუსის ანუ რომანტიკულ კონცეფციის გამომხატველი წყვილის და მეორე მხრივ, თანამედროვე პერსონაჟების წყვილთა ცეკვა ავტორმა ერთ სივრცეში, ერთ სცენაზე წარმოაჩინა, რომელიც თანამედროვე სცენა ანუ თანამედროვე სინამდვილეა. ამ სივრცეში პერსონაჟები რომანტიზმის ეპოქის სამოსში არიან გამოწყობილი და თანამედროვე მუსიკის თანხლებით ცეკვავენ. ამ ორი ეპოქის გაერთიანება კი პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი „ტრანსსამყაროს“ (“transworld”) მეთოდით ხდება. როგორც ბრაიან მაკეილი აღნიშნავს: „ტრანსსამყარო“ არის „ტრანსისტორიული წვეულების“ მოტივი, სადაც პერსონაჟები განსხვავებული ისტორიული ეპოქიდან ცხადად ერთიანდებიან ერთი და იგივე დროსა და ადგილას. როგორც აშკარად კარნავალური მოტივი, ბახტინის მნიშვნელობით, ის ასევე დაკავშირებულია ტიპურ მოდერნისტული წვეულების მოტივთან, რომელიც რომანის ყველა პერსონაჟს ერთ ადგილას კრებს ან ხელახლა მოკრებს“ (ნიკოლი 2002: 290).

„არკადიას“ ფინალიც ხომ წვეულებაა, სადაც სხვადასხვა ეპოქის პერსონაჟები, თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქის მაყურებელთა წინაშე, თანამედროვე (პოსტმოდერნისტულ) თეატრალურ სცენაზე ერთმანეთთან ცეკვით ერთიანდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ის რაც პიესაში გათამაშდა, პოსტმოდერნისტული ეპოქის ნაწილია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სტოპარდის შემოქმედებაში „არკადია“ იმ პრობლემატიკის იდეური გაგრძელებაა, რომელიც განვიხილავ პიესების „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდრები არიან“ და „მოხტუნავენის“ ანალიზისას. ეს პიესები, განურჩევლად მათი შინაარსობრივი თუ სიუჟეტური სამოქმედო არეალისა, პრობლემური თვალსაზრისით ერთი იდეის მატარებელია, რაც პოსტმოდერნისტულ საზოგადოებას და ზოგადად სამყაროს ტექნოლოგიურ-მეცნიერულ თუ იდეოლოგიურ-ფილოსოფიურ მხარეებს უკავშირდება. თუნდაც „არკადიასა“ და „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ კინოვერსიაში ასახული ნიუტონის მიზიდულობის კანონის მნიშვნელობა ნათლად ასახავს პოსტმოდერნისტული ეპოქის მეცნიერულ სულს, რომელსაც ბუნებრივია, სტოპარდი მიზანმიმართულად ავლენს პიესებში. ხოლო სტოპარდის „არკადიას“ და „როზენკრანცი და გილდერნსტერნი მკვდრები არიან“ კინოვერსიას შორის კავშირი ლოგიკურია, რადგან ავტორმა და რეჟისორმა საკუთარი პიესის ეპრანიზაცია 1990 წელს განახორციელა, რაც ძალიან ახლოს არის „არკადიას“ შექმნის თარიღთან. ეს ფაქტორი კი მართებულად გვაფიქრებინებს, რომ ფილმში დასმული ნიუტონური თუ მეცნიერული ინტერესები გაგრძელებას პპოვებდა სტოპარდის შემდგომ ქმნილებებში. (იხილეთ დანართი 21)

რაც შეეხება „არკადიას“ კავშირს „მოხტუნავენთან“, როგორც ზემოთ რიცხვი სამის და სამების კოლეჯის ანალიზიდან გამოჩნდა, კემბრიჯის უნივერსიტეტის სამების კოლეჯი სამი უმთავრესი გმირის აღზრდის ადგილია, რომელთა შემოქმედებაც პირდაპირ თუ ირიბად პიესის ერთ-ერთ მთავარ იდეად გვხვდინება. ხოლო ამგვარი იდეის მატარებელი გმირების კავშირი ტრინიტის ანუ სამების კოლეჯთან შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან სტოპარდის „მოხტუნავენის“ მთავარი სემიოტიკური საყრდენი, როგორც მეორე თავის ანალიზისას ვიხილეთ, ანტიკური და იუდეურ-ქრისტიანული სამკუთხედის, პირამიდის, სამების გარშემო ბრუნავს. „მოხტუნავენში“ დაწყებული სემიოტიკურ-სიმბოლური შეხედულება „არკადიაშიც“ გრძელდება და კიდევ ერთხელ ავლენს სტოპარდის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამყაროში ყველანაირი მოსაზრების სათავე სამკუთხედის, პირამიდის, სამის, ამ შემთხვევაში კი სამების კოლეჯში უნდა გეძიოთ. ხოლო რიცხვი სამის იდეისაგან

დამოუკიდებელი ყოველგვარი მეცნიერული თუ ფილოსოფიური ანალიზი, პოსტმოდერნისტული „ედემის ბაღის“, „არკადიას“ მსგავსი ქაოსის მომასწავებელია.

„არკადიას“ და ზოგადად სტოპარდის შემოქმედების ამგვარი იუდეურ-ქრისტიანული ინტერპრეტაცია მართებულად მიმაჩნია, რადგან როგორც მეორე თავში ავლიშენე სტოპარდის ფესვები იუდეურ-ებრაულ, ხოლო მისი შეგნებული ცხოვრება ქრისტიანულ-ბრიტანულ საფუძვლებზე დგას.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, სტოპარდის „არკადია“ პოსტმოდერნისტული პიესაა, რაზეც მეტყველებს არა მხოლოდ ნაწარმოების მეცნიერული სული, არამედ პიესის თანამედროვე (პოსტმოდერნისტული) დროის ინტერესი რომანტიკული-შუა საუკუნეების და რაციონალისტურ-განმანათლებლური ეპოქების მიმართ. ასევე ინტერტექსტუალობა, რომელიც პიესაში ბიბლიური ნარატივის, კერძოდ კი იოანეს გამოცხადების აპოკალიფსური ეპიზოდით ვლინდება, ისევე როგორც სიდლეი პარკის ბაღის „არკადიას“, პოსტმოდერნისტული ეპოქის „ედემის ბაღად“ გააზრება. ზემოთ ნახსენები თემები კი პოსტმოდერნისტული ეპოქისათვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხებია, რომელთაც ავტორი პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი „ტრანსამყაროს“ ტექნიკის გამოყენებით პიესის ფინალურ ნაწილში ხატავს.

## დასკვნები

კვლევამ აჩვენა, რომ პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა დიდ გავლენას ახდენს, როგორც სტოპარდის შემოქმედებაზე, ასევე თანამედროვე ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და სოციალურ ყოფაზე. ამგვარი გავლენა გამოიხატება თანამედროვე ცხოვრებაში რეალობის დადგენის პრობლემურობაშიც, ორიგინალის ასლისაგან გარჩევის, მცდარის ჭეშმარიტებისაგან განსხვავების საქმეშიც. ამგვარი გაურკვევლობის და ქაოსის შექმნას პოსტმოდერნისტულ სამყაროში ტექნოლოგიაზე დამყარებული მეცნიერებები და მასმედია განაპირობებენ, რომლის მიკროკოსმოსად ამჟრიკა, კალიფორნია, უფრო ზუსტად კი ჰოლივუდი გვევლინება. ამგვარმა მიკროკოსმოსმა თანამედროვე რეალობის კინომატოგრაფირება მოახდინა, რაც გულისხმობს რეალური რეალობის კინოს რეალობით ჩანაცვლებას, სინამდვილის ფიქციად გარდაქმნას, ანუ ეგრანის რეალობა იქცა სინამდვილედ.

კვლევამ გვიჩვენა, რომ პოლიგუდის და კინოს მსგავსად სიმულაციური სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი „დისნეის სამყაროცაა“, სადაც ადამიანი სხვადასხვაგვარი ფიქციური სინამდვილის ნაწილად იქცევა და პირიქით, იქმნება ისეთი პირობები, როცა შესაძლებელია დისნეის და კინოს ფიქციური გმირები რეალურ გმირებად იქცნენ. უფრო მეტიც, დისნეის პარკის სამყაროში რეალური ადამიანები უფრო ფიქციურია, ვიდრე მართლაც გამოგონილი, ფიქციური გმირები. შესაბამისად, დისნეის და პოლიგუდის მიერ შემოთავაზებული სინამდვილე მომავლის მიკრომოდელს წარმოადგენს.

ამგვარი პიპერრეალობის შექმნაზე ტრანსნაციონალური ფინანსური ორგანიზაციებიც ზრუნავენ. დისნეის მიკროსამყაროს მსგავსად, არსებულ პიპერრეალურ ყოფაში ადამიანის ცხოვრების, მისი თავისუფლების, განათლების და ინდივიდუალიზმის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორად ფული იქცა.

შესაბამისად, სტოპარდის პიესის გმირების, როზენკრანცისა და გილდენსტერნის ინტერესი რენესანსის ეპოქისა და შექსპირის „ჰამლეტის“ მიმართ, თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შექმნილი ქაოსურობით,

არარეალურობით და გაურკვევლობით მოტივირებული ქცევის ზუსტი ასახვაა, რადგან ახლა ადამიანები უკვე ვეღარ არკვევენ სად არის და რა არის მათი ნამდვილი (ჭეშმარიტი) სინამდვილე. აქედან გამომდინარე, სტოპარდის მთავარი გმირების ინტერესი და რენესანსისკენ მიბრუნების მცდელობა ჭეშმარიტის, გაუყალბებელის მიებას ასახავს, რომელიც თავად გმირებისათვის მაინც ფიქცია.

კვლევაში გაანალიზებული რამდენიმე თემატური მახასიათებელი კარგად წარმოაჩენს სტოპარდის პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ პოსტმოდერნისტული ელემენტების არსებობას და პროტაგონისტების კავშირს პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან, რაც კიდევ უფრო მეტად ჩანს სტოპარდის იმავე სახელწოდების ფილმში:

1. მიუხედავად იმისა, რომ პიესაც და ფილმიც შექსპირის ეპოქას ასახავს, მთავარი პერსონაჟები თანამედროვე ინგლისურით მეტყველებენ;
2. ფილმში როზენკრანცის ჭამის ეპიზოდში „ბიგ მაკის“ მსგავსი პამბურგერი ჩნდება;
3. ფილმში ჩანს რომ შექსპირის ეპოქაში მცხოვრებმა როზენკრანცმა იცის თვითმფრინავის არსებობის შესახებ;
4. გმირების მიერ მონეტების აგდების ეპიზოდში მინიშნებულია პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ფულის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, როგორც ადამიანთა ცხოვრების საზრისულად განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორზე.

თუმცა ის მთავარი, რაც ამ ორი ეპოქის კავშირს ქმნის არის რენესანსული ეპოქის დრამის „პამლეტის“ და პოსტმოდერნისტული ეპოქის დრამის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ მხატრული გააზრება, რაც შემდეგში მდგომარეობს: პოსტმოდერნისტული ლიტერატურისა და ეპოქისათვის, შექსპირისეული „მაღალი კულტურის“ გამომხატველი „პამლეტი“ და პამლეტური იდეები გაუგებარი და ხშირ შემთხვევაში მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან პოსტმოდერნისტულ კულტურულ სივრცეში „პოპულტურა“, იგივე „მასკულტურა“ შექსპირისეულ „მაღალ კულტურას“ გაუთანაბრდა, რაც კარგად არის ნაჩვენები სტოპარდის პიესაში. სტოპარდის მთავარი გმირი არა პამლეტი და მისი იდეებია, არამედ „პამლეტის“

ეპიზოდური („მასობრივი“) პერსონაჟები, რომლებიც „დაბალი კულტურის“ მხატვრული რეპრეზენტაციას წარმოადგენენ. სტოპარდის თანამედროვე გმირები „მაღალი კულტურის“ პერსონაჟების ასლებია.

სტოპარდის პიესაში პოსტმოდერნისტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი „პერფორმანსი“ მოთამაშე-გმირის თეატრის სახით არის ნაჩვენები. ამგვარი „პერფორმანსისთვის“ საჭიროა ნიღაბი, რომლითაც მთავარი გმირები სახარებისეულ „მამაო ჩვენოს“ ლოცვას ანაცვლებენ. აქ კარგად ჩანს თუ როგორ ხდება პოსტმოდერნისტულ ხელოვნებისა და ეპოქაში სინამდვილის კარნავალად გადაქცევა.

პოსტმოდერნიზმის ელემენტების არსებობა ვლინდება არა მხოლოდ პერსონაჟების კოპირებასა და პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი წარსულის ირონიზებაში, ასევე „პასტიშის“ ტექნიკის გამოყენებაში, არამედ კონკრეტული ისტორიული მოვლენის განმეორებადობასა და იმ მეცნიერულ თემატიკაში, რაც ნიუტონის და ადამ და ევას ვაშლის ეპიზოდში ვლინდება. ამით ავტორი მიანიშნებს, რომ თანამედროვე ადამიანისათვის სამყაროს ნიუტონისეულმა ანუ მექანიკურ-დეტერმინისტულმა აღქმამ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ეს სამყაროს ბიბლიურ აღქმას ჰქონდა. სტოპარდის ამ პიესაში პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა ვლინდება „მეტა“ ტექნიკის გამოყენებაშიც, რაც პიესაში „მეტათეატრის“ სახით ვლინდება.

პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ჭრილში სტოპარდის პიესების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ეს ნაწარმოებები პოსტმოდერნისტული ტექსტისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებენ. გარდა პიესისა „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდრები არიან“, პიესა „მოხტუნავენი“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს, სადაც პოსტმოდერნიზმისათვის დამახასითებელი ინტერტექსტუალობის საუკეთესო რეპრეზენტაციასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან ტექსტებთან კავშირში, როგორიც პლატონის „ტიმოთისი“ და ახალი და ძველი ადთქმაა. სტოპარდი პირამიდის სიმბოლოს გამოყენებით საკუთარი დუალისტური ბუნების პითაგორულ-პლატონურ, ასევე ოუდეურ-ქრისტიანულ მხარეს ასახავს, რაც ორივე შემთხვევაში ავტორის თეისტური ბუნების მაჩვენებელია და პიესის

თანამედროვეობის ანუ პოსტმოდერნისტულ ეპოქის ათეისტურ და პოზიტივისტურ განწყობისგან განსხვავებულია. პირამიდის სიმბოლოს ანალიზის გარდა, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა რიცხვი შვიდის და თევზის სიმბოლოს ბიბლიური და ანტიკური კონტაკიების განხილვასაც, რომელთა მეშვეობით სტოპარდი პოსტმოდერნისტულ სამყაროში ორიგინალის გარეშე სიმულაკრული რეალობის მშენებლობის მცდელობის პაროდირებას ახდენს. ამგვარი ფილოსოფია კი სამყაროს, პიესის გმირების, მოხტუნავე ფილოსოფოსების სრულყოფილი რიცხვი რვიდან, რიცხვ შვიდისკენ, ანუ სამყაროს სიკედილისა და აპოკალიფსისკენ მიაქანებს, რაც პიესაში ჯერ პავლე მოციქულის მკვლელობასთან შედარებული მკვლელობის ხოლო შემდგა კენტერბერიის არქიეპისკოპოსის მკვლელობის ეპიზოდებში გამოვლინდა.

პოსტმოდერნისტული ესთეტიკის გავლენა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებებით არ შემოიფარგლება. ის კიდევ უფრო გავრცელებულია ხელოვნების სხვა დარგებში, რაც განაპირობებს ხელოვნების „მაღალ“ და „პოპ-კულტურად“ დაყოფას. ამ კუთხით, საინტერესოა სტოპარდის პიესა „პაროდისტები“, რომელშიც ჯოისის პერსონაჟის და მისი „ულისეს“ სახით გააზრებულია მაღალი კულტურის მიზნები პოსტმოდერნისტულ სამყაროში, ხოლო დადაისტი პერსონაჟის, ტრისტან ძარას მეშვეობით „პოპ-კულტურის“ დანიშნულება და ფუნქცია. ეს ყველაფერი სტოპარდის პიესაში ისევ პოსტმოდერნისტული ინტერტექსტუალობის, ჯოისის და ოსკარ უალდის ტექსტებთან დაკავშირების გზითაა ნაჩვენები. შესაბამისად, პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში მოდერნისტული და ვიქტორიანული ეპოქის ხელოვნების მნიშვნელობაზე მითითებით, რაც პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი „ორმაგი კოდირებით“, წარსულის პაროდირების და „პასტიშის“ მეთოდის გამოყენებით არის ნაჩვენები. საბოლოოდ, ეს ყოველივე ქმნის პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს თვისებას, როცა თანამედროვე ლიტერატურა მოიაზრება როგორც წარსული ლიტერატურის კრიტიკა ან მეტათხულება.

ნიუტონის კლასიკური მექანიზმის სისტემა, თერმოდინამიკის მეორე კანონი, ქაოსის თეორია და დეტერმინისტული ქაოსი, არასრული ჩამონათვალია იმ მეცნიერული თემატიკისა, რომლითაც გაჯერებულია

სტოპარდის კიდევ ერთი მთავარი პიესა „არკადია“. ამგვარი მეცნიერული თემატიკა კი პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის და ზოგადად ხელოვნებისათვის კიდევ ერთი უმთავრესი მახასიათებელია, რომლის გამოყენებითაც ავტორი პოსტმოდერნისტულ სამყაროში წარმოქმნილი პრობლემების წყაროდ განმანათლებლურ-რაციონალისტურ ეპოქებთან ერთად რომანტიზმს და შუა საუკუნეებს მიიჩნევს.

შეიძლება ითქვას, რომ სტოპარდის „არკადია“ პოსტმოდერნისტული პიესაა, რაზეც ზემოთ ნახსენებ არგუმენტებთან ერთად ამ პიესის ფინალიც მეტყველებს, სადაც ძალიან კარგად ჩანს ერთი უმთავრესი იდეა, რომელიც თითქოს ქაოსურად არის წარმოჩენილი, მაგრამ ვფიქრობ პირიქით, ძალიან დალაგებულია ყველაფერი. იდეა ისაა, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულმა ეპოქამ მიიღო, ერთი მხრივ, განმანათლებლურ-რაციონალისტური ეპოქის იდეა, ანუ სამყაროს ტექნოლოგიურ-მეცნიერული შემცნების თეორია, ხოლო მეორე მხრივ, რაციონალიზმის საპირისპირო რომანტიკულ-შუა საუკუნეების კონცეფცია. ერთი მხრივ, ტომაზინას და სეპტიმუსის ანუ რომანტიკულ კონცეფციის გამომხატველი წყვილის და მეორე მხრივ, თანამედროვე პერსონაჟების წყვილთა ცეკვა ავტორმა ერთ სივრცეში, ერთ სცენაზე წარმოაჩინა, რომელიც თანამედროვე სცენა ანუ თანამედროვე სინამდვილეა. ამ სივრცეში პერსონაჟები რომანტიზმის ეპოქის სამოსში არიან გამოწყობილი და თანამედროვე მუსიკის თანხლებით ცეკვავენ. ამ ორი ეპოქის გაერთიანება კი პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი „ტრანსსამყაროს“ (“transworld”) მეთოდით ხდება.

## ბიბლიოგრაფია

## ტომ სტოპარდის შემოქმედება

1. სტოპარდი 1967 Stoppard, Tom, *Rosencrantz and Guildenstern are dead*, Faber and Faber, 3 Queen Square, London 1967.
  2. სტოპარდი 1972 Stoppard, Tom, *Jumpers*, Faber and Faber, 3 Queen Square, London 1972.
  3. სტოპარდი: 1993 Stoppard, Tom, *Arcadia* Faber and Faber, 3 Queen Square, London 1993.
  4. სტოპარდი: 1975 Stoppard, Tom, *Travesties* Faber and Faber, 3 Queen Square, London 1975.
  5. სტოპარდი 1968 Stoppard, Tom, *If you are Glad I will be Frank*, Faber and Faber, 3 Queen Square, London 1969.
  6. სტოპარდი 1968 Stoppard, Tom, *Enter a Free Man*, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 1968.
  7. სტოპარდი 1991 Stoppard, Tom, *In The Native State*, Faber and Faber, 3 Queen Square, London 1991.
  8. სტოპარდი 1993 Stoppard, Tom, *The Real Inspector Hound and the other Entertainments*, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 1993.
  9. სტოპარდი 1978 Stoppard, Tom, *Every Good Boy Deserves Favour & Professional Foul*, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 1978.
  10. სტოპარდი 2002 Stoppard, Tom, *Voyage, The Coast of Utopia* part I, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 2002.
  11. სტოპარდი 2002 Stoppard, Tom, *Shipwreck, The Coast of Utopia* part II, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 2002.
  12. სტოპარდი 2002 Stoppard, Tom, *Salvage, The Coast of Utopia* part III, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 2002.

13. სტოპარდი 1980 Stoppard, Tom, *Dogg's Hamlet, Cahoot's Macbeth*, Faber and Faber, 3 Queen Square, London, 1980.
14. სტოპარდი, ნორმანი 1998 Stoppard, Tom, and Norman, Mark, *Shakespeare in Love*, a screenplay, Miramax film Corp and Universal Studios, 1998.
15. სტოპარდი 2005 სტოპარდი, ტომ, არკადია, ინგლისურიდან თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა, თანმედროვე ევროპული პიესა, ანთოლოგია, „არეტე“ 2005.

დამხმარე ლიტერატურა ტომ სტოპარდის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე

16. გასოუ 1995 Gussow, Mel, *Conversation with Tom Stoppard*, Grove Press New York, 1995.
17. დიმესტენი 2008 Demastes, William W, *Comedy Matters From Shakespeare to Stoppard*, Palgrave Macmillan 2008.
18. ფლემინგი 2001 Fleming, John, *Stoppard's Theatre: finding order amid chaos*, University of Texas Press, Austin, 2001.
19. ჯელი 2001 Kelly, E. Katherine, (editor), *The Cambridge companion to Tom Stoppard*, Cambridge University Press 2001.
20. ჯენკინსი 1990 Jenkins, Enthony, *The Theatre Of Tom Stoppard*, Cambridge University Press, 1990.
21. ჰანტერი 2000 Hunter, Jim, *A Faber and Faber Critical Guide, Tom Stoppard*, Faber and Faber 2000.
22. ჰოლდენი 2007 Holden, Martin, L. *A Director's Approach to Tom Stoppard's "Rosencrantz and Guildenstern are Dead"*, B. S. M. S. 2007.

23. ბოდრიარი 1994                    Baudrillard, Jean, *Simulacra and Simulation*, Translated by Jean Baudrillard and Shelia Faria Glaser, University of Michigan 1994.
24. ბოდრიარი 1989                    Baudrillard, Jean, *America*, Verso 1989.
25. ბოდრიარი 2001                    Baudrillard, Jean, *Selected Writings*, Edited and introduced by Mark Poster, Stanford University Press 2001.
26. ბერტენსი 2005                    Bartens, Hans, *THE IDEA OF THE POSTMODERN, A History*, Routledge, London and New York 2005.
27. გრიცანოვი, მოჟეიკო 2001                    *Dictionary of Postmodernism*, Minsk, 2001.
28. დელიოზი 2002                    Deleuze, Gilles, *Desert Islands and other texts 1953-1974*, Edited by David Lapoujade, Translated by Michael Taormia, Semiotext(e) Foreign Agents Series 2002.
29. ებო 1998                            Eco, Umberto, *Faith in Fakes Travel to Hyperreality*, Vintage 1998.
30. ეპიგნანები 1995                    Appignanesi, Richard and Garret, Chris *Introducing Postmodernism*, Icon Books Uk 1995.
31. ინგესი 2008:                            Enas, Theresa, and Miller, Keith D, *Beyond Postprocess and postmodernism, Essays on the Spaciousness of Rhetoric*, Taylor & Francis e.Library, 2008.
32. კონორი 2004                            Connor, Steve, (editor), *The Cambridge Companion to Postmodernism*, Cambridge University Press, 2004.
33. ლიოტარდი 1979                            Lyotard, Jean-Francois, *Condition: A report on Knowledge*, Translated by Gepff Bennington and Brian Massumi, foreword by Fredric Jameson, Theory and History of Literature, Volume 10, Manchester University Press 1979.
34. მარფი 2008                            Murphy, Michael Patrick, *A Theology of Criticism, Balthasar, Postmodernism, and the Catholic imagination*, Oxford University Press 2008.
35. მესონი 2007                            Mason, Fran, (editor) *Historical Dictionary of Postmodernist Literature and Theater*, The Scarecrow Press, Inc. 2007.

36. ნიკოლი 2002 Nicol, Bran, (editor), *Postmodernism and the Contemporary Novel*, Edinburgh University Press, 2002.
37. ჟიჟეკი 2009 Zizek, Slavoj, *First as Tragedy, then as Farce*, Verso 2009.
38. ჟიჟეკი 1991 Zizek, Slavoj, *Looking Awry, An introduction to Jucques Lacan through popular Culture*, An OCTOMBER Books 1991.
39. ჟიჟეკი 2008 Zizek, Slavoj, *In Defense of Lost Causes*, Verso 2008.
40. რობინსონი 2000 Robinson, Dave, *Nietzsche and Postmodernism*, Icon Books 2000.
41. სერუპი 1993 Sarup, Madan, *Introductory Guide to Post-Structuralism and Postmodernism*, Harvester Wheatsheaf, 1993.
42. ჯეიმსონი 1998 Jameson, Fredric, *The Cultural Turn, selected writings on the postmodern 1983-1998*, Verso 1998.
43. ჰარასიმი 1990 Harasym, Sarah, *The Post-colonial Critic, interviews, strategies, dialogues*, Routledge New York, London 1990.

დამხმარე ფილოსოფიური ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

44. მოლინა 1962 Molina, Fernando, *Existentialism As Philosophy*, Prentice-Hall, Inc. 1962.
45. რასელი 1946 Russell, Bertrand, *A History of Western philosophy*, Routledge classics, London and New York 2010.
46. სარტრი 1965 Sartre, Jean-paul, *Literature & Existentialism*, The Citadel Press, New York 1965.
47. ფუკო 1961 Foucaut Michel, *Madness and Civilization A history of Insanity in the age of reason*. Translated from the French by Richard Howard, Vintage books, A division of Random House, New York 1961.
48. პლოტონი 1961 Hamilton, Edith and Cairns, Huntington, (editors), *The Collected Dialogues of Plato*, Including the letters, Edited by, Princeton University Press 1961.

დამხმარე ლიტერატურა ლიტერატურის თეორიაში

49. კესტლი 2007 Castle, Gregory, *The Blackwell guide to Literary theory*, Blackwell publishing 2007.
50. კულერი 1997 Culler, Jonathan, *Literary Theory: A Very Short Introduction*, Oxford University Press 1997.
51. ლეინი 2006 Lane, J. Richard, *Fifty Key Literary Theorists*, Routledge Taylor and Francis Group 2006.
52. მარინო 2010 მარინო, ადრიან, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია, ფრანგულიდან თარგმნეს რუსულად თურნავამ და ნინო გაგოშაშვილმა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2010.
53. რაიანი 1999 Ryan, Marie-Laure (Editor) *Cyberspace Textuality, computer Technology and Literary Theory*, Indiana University Press 1999.
54. რატიანი, ლომაძე 2010 რატიანი, ირმა, ლომაძე, გაგა, (რედაქ.) ლიტერატურის თეორიის ქრებტომათია, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა 2010.

სხვა დამხმარე ლიტერატურა

55. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკოლმი 1993.
56. ბარტესი 1991 Barthes, Ronald, *Mythology*, selected and translated from French by Annate Lavers, The Noonday Press-New York, Farrar, Straus &Giroux 1991.
57. ბიბლიის ამერიკა 2011 *Royal Roundup: Disney Homage to Royal Wedding Goes Viral* <http://www.bbcamerica.com/anglophenia/2011/05/royal-roundup-disney-homage-to-royal-wedding-goes-viral/>
58. ბიბლიია 2004 The King James Version of the Holy Bible, New Testament, 2004. <http://www.davince.com/bible>

59. პიბლია, საქართველოს საპატიოარქო, თბილისი 1989.
60. ბოგარდი და ოლივერი 1965 Bogard, Travis, & Oliver, William I. (Editors) *Modern Drama Essays In Criticism*, Oxford University Press 1965.
61. გარდიანი 2011 *Occupy's V for Vendetta protest mask is a symbol of festive citizenship (The real meaning of the Guy Fawkes mask seen around the world is sophisticated, self-knowing and carnivalesque)*, The Guardian 4 November 2011. <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2011/nov/04/occupy-movement-guy-fawkes-mask?INTCMP=SRCH>
62. დოუკინსი 2006 Dawkins, Richard, *The God Delusion*, Bantan Press 2006.
63. დრებლი 2000 Drabble, Margaret, (editor), *The Oxford Companion to English Literature*, Oxford University Press 2000.
64. ელმანი 1959 Ellmann, Richard, *James Joyce*, New York, Oxford University Press 1959.
65. უკრო 60ები 2012 <http://www.euronews.com/nocomment/2012/03/31/batman-stopped-by-maryland-cops/>
66. უტრიჯი 2004 Attridge, Derek (Editor), *The Cambridge Companion To James Joyce*, Cambridge University Press 2004.
67. კინგი 2010 *Japan's holographic pop*, <http://theweek.com/article/index/209301/japans-holographic-pop-star>
68. კრისტევა 2004 Kristeva, Julia, *Psychoanalysis and Modernity*, Sara Beardsworth, State University of New York Press 2004.
69. კოდრეჯიკა 2009 Codrescu, Andrei, *The Posthuman DADA GUIDY, Tzara and Lenin Play Chess*, Princeton University Press 2009.
70. კონი 1968 Cohn, Ruby, Amrstrong, George, Hiken, Arlin, (editors), *Classics for Contemporaries: Old Dramas For New Theaters*, San Francisco State College, A Random House New York 1968.
71. კოლიმები 2007 Coleman, J.A, *The Dictionary of Mythology, An A-Z of Themes, Legends and Heroes*, Arcturus 2007.
72. კნელვულფი 2007 Knellwolf, Cristina and Norris, Christopher, *The Cambridge History of Literary Criticism, volume 9, Twentieth –Century Historical, Philosophical, and Psychological perspectives*, Cambridge University Press 2007.

73. ქრეიკი 1978 Craik, T.W.(Editor) *The Revels History of Drama in English*, volume VII 1880 to the present day, Methuen & Co Ltd London, Barnes & Noble Books New York 1978.
74. ჯონი 1964: Coe, Richard N. *Beckett*, Oliver And Boyd, Edinburgh and London 1964.
75. ჯონი 1964: Coe, Richard N. *Ionesco*, Oliver And Boyd, Edinburgh and London 1961.
76. ლივენსონი 1999 Livenson, Micheil, (Editor), *The Cambridge Companion To Modernism*, Cambridge University Press 1999.
77. მარკუსი 2004 Marcus, Laura, and Nicholls, Peter, *The Cambridge History of Twentieth-Century English Literature*, Cambridge University Press 2004.
78. ნელვინი 2009 Nelvin, Vos, *Inter-Action Relationship of Religion and Drama*, University Press Of America 2009.
79. ოუტკა 2009 Outka, Elizabeth, *Consuming Traditions, Modernity, Modernism, and The Commodified Authentic*, Oxford University Press 2009.
80. რისენკიუსტი 2009 Resenquist, Rod, *Modernism, The Market And The Institution of The New*, Cambridge University Press 2009.
81. ტეილორი 1963 Taylor, John Russell, *Anger and After, A Guide To The New British Drama*, Penguin Books 1963.
82. ფირბერი 1999 Ferber, Michael, *A Dictionary Of Literary Symbols*, Cambridge University Press 1999.
83. ვუკო 2002 Фуко, Мишель, *ИНТЕЛЛЕКТУАЛЫ И ВЛАСТЬ*, Практис, Москва 2002.
84. ვრანკლინი 2007 Franklin, Coroline, *Byron*, Routledge Taylor and Francis Group 2007.
85. ყიასაშვილი 1972 ყიასაშვილი, ნიკო, (რედაქტორი) *ქართული გერბებისა და მემკვიდრეობის ისტორია*, ტბილისი 1972.
86. პაველი 1995 პაველი, ვაცლავ, ძაღლი უძლოთა, თარგმანი ზეინაბ სარაძისა, გამომცემლობა „ლიცეუმი“, ტბილისი 1995.
87. ჰოლდს沃რთი 2008 Holdsworth, Nadine, and Luckhurst, Mary, *A Concise Companion to Contemporary British and Irish Drama*, Blackwell publishing 2008.

88. Յալոյշյած բյուրությունը 2012 James Bond and The Queen Video at London Olympics Voted Top Moment That Changed U.K. TV  
<http://www.hollywoodreporter.com/news/poll-james-bond-queen-video-374324>

## მხატვრული ლიტერატურა

89. ეკო 2011 ეკო, უმბერტო, ვარდის სახელი, თარგმანი ხათუნა  
ცხადაძესი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2011.

90. ნიცშე 1993 ნიცშე, ფრიდრიხ, ახე იტელდა ზარადუხტრა,  
წიგნი ყველასთვის და არავისთვის, გერმანულიდან თარგნა ერეკლე  
ტატიშვილმა, საგამომცემლო საზოგადოება „ფილოსოფიური  
ბიბლიოთეკა“, თბილისი 1993.

91. შექსპირი 1987 შექსპირი, უილიამ, პატლეიტი, თარგმანი ივანე  
მაჩაბლისა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი მესამე,  
ნიკო ყიასაშვილის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „ხელოვნება“,  
თბილისი, 1987.

92. ხვედელიძე 2005 ხვედელიძე, ბ (რედაქტორი) ალენი, ვუდი,  
ჯუგელმანსის შემთხვევა, ახალი თარგმანები, ლიტერატურული  
ალმანახი, გამომცემლობა „ახალი თარგმანები“ და გამომცემლობა  
„დიოგენე“ 2005.

93. ჯოისი 2012 ჯოისი, ჯეიმზ, ულისე, თარგმანი ნიკო  
ყიასაშვილის, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2012.

ფილოსოფიური ლიტერატურა ქართულ ენაზე

94. გათრი 1983 გათრი, უილიამ, ბერძენი ფილოსოფოსები თელებიდან  
არისტოტელებიდან, თარგმანი გია ნოდიასი, „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი 1983.

95. თევზაბე 2008 თევზაბე, გურამ, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარხილით ფიჩინოდან იაკობ მოქმედდე), გამომცემლობა „ნეკერი“ თბილისი 2008.
96. თევზაბე 2009 თევზაბე, გურამ, ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწილი I. განმანათლებლობა, გამომცემლობა “CARPE DIEM”, თბილის 2009.
97. თევზაბე 1995 თევზაბე, გურამ, ანტიკური ფილოსოფია, „მეცნიერება“, თბილისი 1995.
98. მამარდაშვილი 2011 მამარდაშვილი, მერაბ, ცნობიერების გობოლოგია, ლექციები, მოხსენებები, ინტერვიუები, სტატიები. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2011.
99. პლატონი 1994 პლატონი, ტიმე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა „ირმისი“, 1994.
100. პლატონი 1966 პლატონი, ფედო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნაკადული“ 1966.
101. პლატონი 1964 პლატონი, ნადიმი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1964.
102. პლატონი 2002 პლატონი, პერძენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა დამატებით და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“ 2002.
103. პლატონი 2003 პლატონი, სახლმწიფო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“ 2003.
104. წმინდა ავგუსტინე IV Св. Августин, *O Троице* (Книга первая)

<http://svd.catholic.by/library/Atrinitatep1>

## დანართი 1




(უოლტ დისნეის ერთ-ერთი სიმბოლო მიკი მაუსი)



(რონალდ რეიგანი)



(ნაწყვეტი კ/ფილმიდან „კაცილამურა“)



(კ/ფ „ტრუმენის შოუ“ მთ. როლმი ჯიმ კერი)

## დანართი 2




(პრინც უილიამის და ქეით მიდლიტონის ქორწილი. 2011 წელი)

დანართი 3




(მონტგომერი, მერილენდის შტატი, აშშ, 2012 წელი)

#### დანართი 4



(ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი. ლონდონი, 2012 წელი)

## დანართი 5



(თუფაქ შაქურის კონცერტი. კოაჩელას ფესტივალი, კალიფორნია, აშშ, 2012 წელი)

**დანართი 6**



(პეტრუნე მიკუს 3D პოლგრამის ტიპის კონცერტი, ტოკიო, იაპონია, 2010 წელი)

დანართი 7



(გ/ვ „გარსეპლავთა ომები“, რეჟ. ჯორჯ ლუკასი. 1977 წელი)



(გ/ვ „სიმონა“, რეჟ. ენდრიუ ნიკოლი, 2002 წელი)

## დანართი 8



(ფოტო ფილმიდან „ვ ესე იგი გენდება“)



(2011 წლის საპროტესტო აქციები „დაიკავე უოლ სტრიტი“)



(ფოტო ფილმიდან „ვ ესე იგი გენდება“)

დანართი 9




(გ/ვ „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“, რეჟ. ტომ სტოპარდი)

დანართი 10



(ევ „როზენკრანცი და გილდენსტეინი მკვდრები არიან“, რეժ. ტომ სტოპარდი)

დანართი 11



(ვოტო „ბრიტანეთის მუზეუმის“ ვიდეო რგოლიდან, 2012 წელი)

**დანართი 12**



(ე/ვ „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“, რეժ. ტომ სტოპარდი)

**დანართი 13**



(გ/ვ „როზენკრანცი და გილდენსტეინი მკვდრები არიან“, რეჟ. ტომ სტოპარდი)

დანართი 14



(პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი)

დანართი 15



(ლონდონის ნაციონალური თეატრი, „მოხტუნავენი“, 1972-73 წელი)

დანართი 16



(ქალღმერთი აისისი)



(მარიამ ღვთისმშობელი)



(დოთი მური, „მოხტუნავენი“, რეժ. დევიდ ლევოქსი, 2004 წელი)



(ნოემლა პუსენის “et in arcadia ego” 1638-9 წელი)

დანართი 19



(ნაიშვანშტაინის ციხე, ბავარია, გერმანია)



(უოლტ დისნეის ლოგო)



(დისნეის სამყარო, პარიზი, საფრანგეთი)

დანართი 20



(„სითო კორპ ცენტრი“, ნიუ იორკი, აშშ)



(„ტრამპ თაუერი“, ნიუ იორკი, აშშ)

დანართი 21



(გ/ვ „როზენკრანცი და გილდენსტეინი მკვდრები არიან“, რეժ. ტომ სტოპარდი)